

ԵՍ ՆԱԾԿՈՒՄ ԵՆԻՆՈՒՄ ԵՆԻՆՈՒՄ

1976 7

7/1976

საბჭოთა ხელოვნება

შინაარსი

| | |
|--|-----|
| შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბასტიონები მოსკოვში (მესაველი წერტილი) | 2 |
| იური რიბაკოვი — დიდი ხელოვნება | 4 |
| საუბარი სსრკ კულტურის სამინისტროში | 19 |
| ხელოვნების ბაზოჩენილ ოსტატთა შთაბეჭდილებანი რუსთაველის თეატრის საბასტიონლო სპექტაკლებზე | 29 |
| ლენინგრადის გოგაძის სახელობის აკადემიური დიდი დრამატული თეატრი თბილისში (ტ. ტუესტონოვოვის საუბარი) | 54 |
| ნათელა ურუშაძე — თუ გოვლოვად ამოხსნი ავტორს | 36 |
| ლამარა ლონღაძე — დომიტრი ალექსიძე | 42 |
| ნანა შირცხულავა — იკავთ ნიკოლაის პორტრეტები | 46 |
| კიტი მაჩაბელი — მხატვარი-კინორეჟისორი რეჟისორი იაშვილი | 48 |
| სანდრო თუმეშაიშვილი — ფილმის მრავალსახეობა (მუსიკა, ხმაური, სიტყვა) | 55 |
| ლიანა მიქაძე — იმიტა ბრძოლდება | 58 |
| ქსენია ჭიჭია — კინების მიკსაჟი | 62 |
| სოლომონ ხუციშვილი — შეხვედრები და ჩანაწერები | 64 |
| ოთარ ჭავჭავაძე — კმედი კართული მხატვრული ხელოვნობის სათავეებთან | 66 |
| კარლო ბაკურაძე, გურამ კვიციანი — იხებ კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ | 71 |
| სპარტაკ რეხვიაშვილი — გლონიას მოიხმება | 78 |
| ლადო გუღიაშვილი — მოგონებების წიგნი | 82 |
| გიორგი ვეიხაშვილი — ალეჩე კაშიუს პრესა „ბავშვობა“ | 83 |
| გია დავითიშვილი, გურამ აბულაძე — კალაში, ჭაჩა, რეკლამა | 94 |
| ლენინი პასტერნაკი — შეხვედრები ლემ ტოლსტოისთან | 97 |
| ბრუნინა | 110 |

საპარტეზლო სსრკ კულტურის სამინისტროს
ქოველთვიური ქარნალი

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ჟორნალისა

მთავარი რედაქტორი:
თამარ გილაძე
სარედაქციო კოლეგია:
აკაკი ბაჩაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ჯუჯუა თითქმინა
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ ბაბუნიანი,
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ჯორჯ ნიშანაძე,
გივი ორჯონიძე,
ნათელა ურუშაძე,
რეჟისორი ჩხიძე,
ანტონ ფულუკიძე,
ნიკო ვახვახაძე,
ნოდარ ჯანაშია.



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბასტიონები მოსკოვში

მოსკოვში, 18-დან 31 მარტამდე მიაკოვსკის სახელობის თეატრში მიმდინარეობდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. მოსკოველებმა ნახეს რუსთაველის თეატრის ექვსი სექტაკლი: დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დინაცვალი“ (რეჟისორები თ. ჩხეიძე და რ. სტურუა), შ. დადიანის „გუშინდელი“ (რეჟისორი თ. ჩხეიძე), პ. კაკაბაძის „შპრპშპრა“ (რეჟისორი რ. სტურუა), გ. ფანჯიციძის „მეშვიდე ტა“ (რეჟისორი გ. ჭავჭავაძე), ბ. ბრეტის „პაპასნიშური პარცინი წრა“ (რეჟისორი რ. სტურუა), ა. გელმანის „ღასაწაწისი“ (რეჟისორი რ. სტურუა).

გასტროლების პერიოდში რუსთაველის თეატრმა მონაწილეობა მიიღო თეატრის საერთაშორისო დღისხალში მიძღვნილ საღამოში, რომელიც 27 მარტს გაიმართა სრულყოფილად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებაში. წარმოდგენილი იყო ნაწევები სექტაკლიდან „სამანიშვილის დინაცვალი“.

30 მარტს რუსთაველის თეატრის მსახიობებმა გვირ-

გვინებით შეამკეს რუსთაველის ძეგლი, რომელიც აღმართულია „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩის სკვერში. ამავე დღეს ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართა რუსთაველის თეატრის საღამო, სადაც წარმოდგენილი იქნა ნაწევრები სექტაკლებიდან: „დასაწყისი“, „კავკასიური ცარცის წრე“, „სამანიშვილის დინაცვალი“, „უვარუვარე“, საღამო ნიჟავადა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს ვ. პაიუროვსკის.

31 მარტს საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენლობაში მოეწყო რუსთაველის თეატრის კოლექტივის შეხვედრა მოსკოვის ინტელიგენციასთან, იმავე დღეს ბაბუშკინის სახ. კულტურის სახლში რუსთაველის თეატრის წარმომადგენლები შეხვედრენ ამავე სახლთან არსებული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლის (ხელმძღვანელი რევაზ ჯანიაშვილი) წევრებს.

რუსთაველის თეატრის სექტაკლებმა აღაფრთოვანა მსოფლიო, დიდი გამოხმაურება ჰპოვა პრესასა და მოსკოვის თეატრალურ წრეებში.

ესოდენ დიდი წარმატებით ჩატარებული გასტროლე-



სავასტროლო სპექტაკლების აფიშები.

ბის ასახვის ნიშნით უფრანალი „საბჭოთა ხელოვნება“ აქვეყნებს ხელოვნებაოპცოდნეობის დოქტორის ი. რიბაკოვიძის ვრცელ სტატიას „დიდი ხელოვნება“, რომელიც სპეციალურად ჩვენი უფრანალისათვისაა დაწერილი, აგრეთვე რუსთაველის თეატრის სპექტაკლების განხილვის სტენოგრაფიას; ამ განხილვაში, რომელიც 30 მარტს ჩატარდა სსრკ კულტურის სამინისტროში, მონაწილეობდნენ: სსრკ კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ს. პსტახოვი, რსდსრ დამსახურებული მხატვარი ბ. პუშკინი, მოსკოვის სატირის თეატრის მთავარი რეჟისორი მ. კლუჩევი, ხელოვნებაოპცოდნეობის დოქტორები პ. რუდნიცი და მ. სანინინა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრკ სახალხო არტისტი მ. თაბთაძევილი.

აქვე მკითხველებს ვთავაზობთ ხელოვნების გამოჩენილ ოსტატთა შთაბეჭდილებებს, ამონაწერებს ცენტრალური და რესპუბლიკური პრესიდან.



დიდი ხელოვნება

იური რიბაკოვი

რუსთაშველის თეატრს მოსკოვში გასტროლებზე ყოფნისას უზარმაზარი წარმატება ხვდა, რომელიც გამოვლინდა პირველსავე საღამოზე — სპექტაკლ „კავკასიური ცარცის წრის“ მსვლელობის დროს. თეატრი, ვგონებ, არც ელოდა ასეთ წარმატებას. ამას, ალბათ, არც მაყურებელი ელოდა. წარმატება შეუწინაღებლად იზრდებოდა, მატულობდა, პირველი აქტის ბოლოს კი დაერწმუნდით — რუსთაველის თეატრმა განსაკუ-

თრებული, პრინციპული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვა თეატრალურმა კრიტიკოსებმა, ანტრაქტებში, ჯერ ნიშნის მოგებით გადახედეს ერთმანეთს, შემდეგ კი ფრთხილად ისევ ერთმანეთზე მოსინჯეს, შეამოწმეს თავიანთი თავი: ხომ არ ვცდებით — ფიქრობდნენ ისინი. თითქოს ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ამ მაღალსა და წმიდა ხელოვნებასთან მიულოდ-

მოსკოვი. მთავრობის სახელობის თეატრის წინ გასტროლების დღეებში.



ნელი შეხვედრით აღძრულ სიხარულს ნუთუ თქვენც ჩემსავით განხილეთ?

„მედღე უჩვენეს“ „ყვარყვარე“ და „სამანიშვილის დედინაც-კალო“, „დასაწყისი“ და „გუშინდელი“ — შესანიშნავად შერჩეული სპექტაკლები, საიდანაც ნ.თალად გამოჩნდა დღე-იანადი რუსთაველის თეატრის ტრანატი და სერიოზულობა, თუკა კოლექტივმა თავისი რეპერტუარის მიხედვით ნაწილი წარმოვიდგინა. თეატრმა ხშირ თბილისში დატოვა არა მარტო უკანასკნელ ხანებში დადგმული სხვა სპექტაკლები, არამედ ზოგიერთი აქტიორიც, რომლებსაც კარგად ვიცნობ წინამორბედი შეხვედრებიდან. ამჯერად მოსკოვში არ ყოფილან შესანიშნავი მსახიობები — ზ. კვერენჩილაძე და ე. მალაღაშვილი. ე. მანჯავიძე კი მხოლოდ ერთ როლში კიხილეთ. მიზანშეწონილია, რომ რუსთაველის თეატრი ახლო მომავალში კვლავ ეწვიოს მოსკოვს და მყურებელს აჩვენოს უკანასკნელი წლები უკლა თავისი სპექტაკლი.

ახლა კი იმე მივებრუნდეთ მიაკოვსკის სახელობის თეატრის დარბაზს, სადაც რუსთაველელთა გასტროლების დროს მებეჭდოდი მრავალ გამოჩენილ მოსკოველ რეჟისორს, დრამატურგს, მსახიობს...

დავასტუმროვებ თქვენს თეატრს, რომელიც გვერდითაა ჩვენს მოვიდოდა სცენის ზიდანამა, ფერსაცხე ყურადღებით, შესანიშნავად აქტიურულმა მანერამ — მკვეთრმა, თამაშმა, მარ-თალმა. გავიტაცა რეჟისორულმა მუხებარებამ, თავისუფ-ლებამ, სცენური გამოიმსახველობის თანამედროვე საშუალებათა გამოყენებამი რომ იჩინა თავი, და ბოლოს, ამ გასტრო-ლებამ ცხადმაყო, რომ რუსთაველის თეატრი თავის ხელოვნებას მიიჩნევს მშობელი ხალხის სულიერი ცხოვრებისათვის აუცი-ლებელ, ღირვალე საქმედ სცენურ ფერადონების, მისი ნაკარების მიღმა არ დაარგულია ის დრამა და სერიოზული აზრები, თეატრს გამიზნული რომ აქვს მყურებელსათვის. ნამდვილ ხელოვნებაში ხომ განყოფილია საშუალებება და მისხნები, ფორმა და შინაარსი, აქ ყოველივე ეს ერთმანეთთან შერწყმულია და შეუღლებული.

ის, ვინც თვალყურს ადევნებს რუსთაველის თეატრის ცხოვ-რებას უკანასკნელი ათი-ათხუთმეტი წლის მანძილზე, დამე-დინსნება, რომ დღევანდელი წარმატება კანონზომიერი შე-დეგია მსატრული განვითარების ხანგრძლივი და რთული გზისა. ამ ხნის მანძილზე თეატრმა თავის შემოქმედებით პრეტიაზმი ბეკრი რამ უარყო, ბევრი რამ ნიოთვა კიდევ. ეს იყო არა მარტო რთული, არამე მტკივნეული პროცესი. ძალ-ღვი დიდი იყო ამ თეატრის გარდასულ დღეთა დიდება, მკლავ-რი და შეფინიერი იყო მისი ტრადიციებიც. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ეს უბრალო ჭეშმარიტება ნათელია სხვათა წინაშეცხევაში, საკუთარ თავზე მსჯელობის დროს კი მას ხში-რად ივიწყებენ ხოლმე ადამიანებაცა და თეატრებიც.

ესე არ გამოვიძი, თითქმის რუსთაველის თეატრს უარი ეთ-ქვას საკუთარ პრინციპებზეც. ეს არ მომხდარა. მან უარყო 30-40-იანი წლების მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც დღეი-სათვის მოძულდნენ, ვეღარ გამოხატავენ მყურებელთა გან-წყობალებებს, კერ პასუხობენ მის ესთეტიკურ წარმოდგენებს.

წარსულს ჩაბარდა მონუმენტურ-რომანტიკული ფორმები-ცა და ტრადიციული ზეყვეულობაც. მაგრამ მოქმედებენ ზუსტ ფსიქოლოგიურ ანალიზთან შეწინააღმდეგებელი მკვეთრი სცე-ნური ფერები. მოვიდა და დამკვიდრდა თავისუფალი დამოკი-ვადებულება პირობითი, მეტადორული ხერხებისადმი. ამასთან, აალი ფერები თავისთვის კი არ არსებობენ, არამედ ეხმარე-ბიან თეატრს მასურებელთათვის გასაგებ და ახლობელ მსატრ-რულ ენაზე განიხატოს და გამოთქვას ის, რაც დღეს ადულ-გულთ დამაინებს.

მოსკოველმა კრიტიკოსებმა კარგად იციან, რომ თეატრის დღევანდელი წარმატება დაკავშირებულია ორი რეჟისორის — რობერტ სტურუასა და თენერ ჩხეიძის სახელებთან. ისინი კი მიწადეგეს არიას ბიულეთი თეატრისა, რომლის სპექტაკ-ლებში დაისხა რუსთაველის თეატრის ახალი გზა.

უბრალოდ, მის მიწადეგებს ბედმა უფრო მეტად გაუღმა — მათ დამოუკიდებელი მუშაობა დროულად დაიწყეს, მაშინ თო-ბა დაუგროვდათ შემოქმედებითი მუშაობის გარკვეული გა-მოცილობა. დაიხ, დღევანდელი წარმატებები უშუალოდ შეკავშირდება იმ პერიოდს, როდესაც რუსთაველთა სცენა-ზე (დამბეიდა „ბებერი მუწურნევი“ და „სიბრძნე სიერუი-სა“, მომზიბილეთი „ჭინჭრაკა“ და „ანტიგონე“, რომელიც დღესაც რეპერტუარშია. ვინცნ, აქედან იღებენ სათავეს თა-მამი სახიდანება „კაკავასური ცარცის წრისა“, ღირიკული სცენა „სამანიშვილის დედინაცხელისა“, სტრუული ძალა „ყვარყვარესი“ და „გუშინდელის“ გონივრული, ჭკვიანური დატინვა.

ამ შექმნებს არა აქტი ისტორიული შეფასების პრეტენ-ზია, ვინაიდან წერილის ავტორის არ უნახავს ყველა სპექტაკ-ლი. მაგრამ ის, რაც მან იცის, საფუძვლის აძლევს, რომ რუს-თაველის თეატრის განვითარების ამგვარ გუნზე, ამგვარ ხაზზე ილაპარაკოს. დღეს ბედნიერად შეერწყა ერთმანეთს ტრადი-ციები, დამდგმელთა ნოვატორული გაბედულება და დასის ვეებერული აქტიური პოტენციალი. ვიმოთბენ — მართა-ლია, მოსკოვს არ უნახავს რუსთაველის თეატრის დღელი და-სი, ნავარის ის, რაც უნახეთ, სახელები საქმიანობის ამდროთა-ნების და აღტაცებისათვის. ახლა კი უფრო კონკრეტულად, სპექტაკლებზე ვილაპარაკოთ.

საკატროლო რეპერტუარი ყველაზე ადრინდელია „სამა-ნიშვილის დედინაცხელი“, დადგმული რ. სტურუასა და თ. ჩხეიძის მიერ ეს სპექტაკლი თბილისში მაქვს ნახავი. მას დღემდე არ დაუტარებავს თავისი მომზიბილეთიც. აქ ჯერ კიდევ ერთიერიისაგან ვერ გამოხრჩევ ამ რეჟისორთა ტრანაქს. ისინი ერწვიან, ამდღებენ ერთმანეთს. მაგრამ ეს მაინც არ არის სასაჩი, მოწადეული ნამუშევარი. გაწვეულია რეჟისურა, რომელსაც აქვს დრამატურგიული მასალის მყარი და და-მოუკადეცილი აქქის უნარი. თუკა, ერთგვარი გაუბედობა მორიდება გამოსჭვივან პირობითი ხერხის გამოყენებაში. თვით პრელოგი—ექსპლადი და კლდამვილის სახლ-მუხეუმ-ში დღეს სპორირების მოკლებული, მსატრული ნახის მიღმა დარწინილი წანათვის მოაბჭიდილებას სტრუებს. სპექტაკლის მსატრული არსი, მისი რეჟისორული სტრუქტურა კი ავგუ-ლია მტკიცედ და საფუძვლიანად.



ამ სექტაკლში ბევრი რამ გიზიდავს — რევისურაცა და მსახიობებიც: გ. გვეგეკორი, ბ. ზაქარაძე, რ. ჩხიკვაძე, კ. საკანდელიძე, სხვებიც. ვიხიდავს განსაკუთრებული შეგრძნება დროისა, ბუნებრივი გადასვლა საწყისი სცენიდან ცოცხალ, დრამატულ მოქმედებაში...

სცენაზე სულ თიხი თუ ხეიო მსახიობია. შენ კი მთელი სისასისო შეაგზნებთ საქორწილო ღრეობას. თუმცა ეს არ არის მთავარი. აქ არსებითია ის ზუსტი და დამოუკიდებელი რეჟისორული ზედვა, საიდანაც გამოსჭვივის დრო, სინამდვილე... მაინც რას ვლენს სექტაკლი? სამართლიანობის მთელ სიმწვავეს, აუღენს კეთილსა და საოცრად აღამაინაურ თვალსაზრისს: გარემოება ისეთნაირ მდგომარეობაში ჩააყენებს თვით ყველაზე მგრამობიარე, კეთილგანწყობილ პიროვნებას, რომ მან უსტოოესი აღამაინებიც კი შეიძლება დაუნდობლად გასწოროს.


რეჟისორებსა გამოამდგანეს განსაკუთრებული, ვიტყოდი — სოფერნიზებული ვაგება აღამაინისა. სექტაკლში არცერთი აგრსონაჟი არ ამდგანენებს პოროტებს, არ არის დახატული სატირულ ფერებში. ისინი ისეთს არაფერს აცეთებენ, რაც ვსაკაცინბა. თითოეული გმირი დახასიათებულია, ნაჩვენება თაჯისა სოციალური და აღამაინური პიროვნებად. აღამაინი და ესტრიადა, აღამაინი და დრო... დიას, თითქოს უმნიშვნელო ამზიდან ამოზრდილია დროის მთელი სოციალურ-ისტორიული კომპლექსი.

დაიდგემებმა ძალზე ზუსტად განსაზღვრეს თავიანთი სექტაკლის ფანრი მათ ტრაგიკული ნოველა დადგეს. ნოველური ჰინაინებით ვახსილია არა მარტო სიუჟეტი, არამედ, უპირველესად, მასათები. ვანივთარების ლოგიკა გზადაგზნ მგვეთრად ტკდება. არსებითი და მნიშვნელოვანი სწორედ ამ ტქილეღმზა ჩასაიდულოებელი. კეთილი, მორცხვი და თავაზიანი პლატონი, გ. გვეგეკორის შესრულებით, ისეთნაირად ვაჰქინვარდება, რომ სრულიად ივიწყებს მამის მიმართ თავის მოვალეობას. კარგავს უზრატო აღამაინობას. მ. გვეგეკორი ვანსაკვირვებელი ტალანტის მსახიობია. მისი არტისტული მოქალაქობა, თამამი ფორმებისა და პარტნიორთა ელვარე არტისტული ოსტატობის ფონზე სახიფათოდაც კი ვეჩვენება.

ზოგჯერ გგონია, რომ მას პარტნიორებთან შეპირისპირებისას ლალატობის მსატერული ძალა. მაგრამ არა, გ. გვეგეკორის საუქელანანდ და აუქქარებლად შეფყავართ თავისი გმირის მსატერულ არსებაში; იგი გვიმხებლებს ყურადღებას და მოგვიწოდებს: აღამაინს ღრმად ჩაუკვირდიოთ! თავდაჭერილია და ზუსტი გ. გვეგეკორის სვლა დრამატული აფეთქებისაკენ. რიგ დარწმუნებულია ფსიქოლოგიური სიმართლის ძალაში, პოულობს კიდევ თავისი ფაქტის ფსიქოლოგიური დაკვირვებების გამოსავლინებელ მთავრსა და მკვეთრ ფორმებს.

რუსთაველის თეატრის აქტიორთა კოლექტიური პორტრეტის დახატვას რომ შევედგომიდი, მაშინ, ალბათ, გ. გვეგეკორზე ვიტყოდი, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფაქტისი ანალიტიკოსია და რომ ამ თვისებით იგი აწონასწორებს აქტიორული ქმედების იმ მქუხარე გამოვლინებებს, დღეს აკვირვად რომ არის დამახასიათებელი ზოგერთი მისი კოლეგისათვის.

„სამაინშვილის დედინაცვალიში“ გ. გვეგეკორი ანივთარებს მშვიდი აღამაინის ხ.ს.ნათს, თავის არცთუ შესაშვრ ბელა რომ შეგვხვება. იგი ენერგიულად და საქმიანად სწყვეტს მის წინ წამოჭრილ კიდევ ერთ პრობლემას — საცოლეს ეძებს მამისთვის. აქტიორის სურს, რომ ჩვენ სწორად გავვუთ მის გმირს. რა თქმა უნდა, დამდგმელთა სურვილიც ასეთია. კარგი აღამაინი ტარდაიქმნება ცხოველად მაინც როგორ ხდება ეს, რა მოიყვანს მას აქამდე? მდგომარეობა, სიღარიბე. მაგრამ როგორ არის გამქედანებული თვით სიღატაკე? რამ წარმოშვა პლატონის გამოუვალი მდგომარეობის ესოდენ მწვავე შერქნება? სცენაზე თითქოს არცა განსაკუთრებით მინიშნებულთი სიღარიბის გამომხატველი რაიმე სწორედ ამაშია გ. გვეგეკორის აქტიორული ტალანტის საიდუმლოება. მან აღამაინი აღამაინის ხასიათი წარმოაჩინა. მის სოციალურ მდგომარეობაზე მივგანინებებს სიმორცხვე და მინავანი პირმოთნობა. ეს ჩანს გ. გვეგეკორის სიარულში, ცხენზე უკდომამიცა, ასეთია თვით „ცხენიც“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შიშველი თავის ქალითა წარმოდგენილი. ერთი სიტყვით, აქტიორიცა და დამდგმელებიც თანაურძნობენ პლატონს. სექტაკლის სოციალური არსი სწორედ ამ თანაგრძნობაშია გადმოცე-




მული. აქ პერსონალურად არავის არ ასამართლებენ, აქ არც არავინაა დამნაშავე. დანაშაული მიუძღვის დროს, სიღარიბეს, რომელიც თვით ყველაზე კეთილ ადამიანსაც კი აიძულებს მოიქცეს თავისი სინდისის, ადამიანობის, მოვალეობის საწინააღმდეგოდ.

როცა პლატონი ოჯახის მომავალი მემკვიდრის — კარში-დამოს შემცილებლის გაჩენის ამბავს შეიტყობს, მაშინ იგი საშიში ხდება. აქ ვლინდება გ. ვეგეტორის ტემპერამენტი. ამ დროს მისი გმირი შემზარავიკაა და საცოდავიც.

ბ. ზაქარიაძე მამის — ბეკინა სამანიშვილის როლს თამაშობს. მსახიობი შეუმჩნეველი სიზუსტით ხატავს ისეთი ადამიანის პორტრეტს, რომელიც ანგარიშს არ უწევს მდგომარეობას, არ ათვალისწინებს ცხოვრებისეულ პირობებს. იგი ბატონ-პატრონია და როგორც მოისურვებს, ისე უნდა რომ იცხოვროს. შვილის მორჩილებასაც ჩვეულ ექსპლუატაციას უწევს. მისგან გამოსჭვივია აზნაურული საოჯახო ჩვევების გამოძახილი. მერე კი სცენაზე გაჩნდება რ. ჩხიკვაძე — მსახიობი, რომელმაც ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვა მოსკოვში. იგი სხვებზე მეტადაც იყო დატვირთული — ყვარყვარე, აზდაგი, კირილე. სამი ბრწყინვალე როლი.

თავიდან გგონია, რომ მეტისმეტია თავგასულობა და ორთმტრიალი კირილესი, რომ ყოველივე, რასაც აკეთებს მსახიო-



სცენები სპექტაკლიდან „დასაწყისი“.

ბი, ოდნავ გადამეტებულია და არაა საჭირო სპექტაკლის სტილისტური სიმუშობრისათვის. მაგრამ მერე ხვდები, რომ სავე-ბით სწორნი არიან არტისტიც და დამდგმელებიც. ეს ქართველი ნოზხდრევი (ეს პარალელი შეუძლებელია არ წარმოიშვას) იმავე პირობებში ჩამოყალიბდა, როგორმაც პლატონი. ოლ-ონდ, სხვაგვარია მისი რეაქცია. სახლიდან გამოვარდნილი კი-რილვ თავისუფალია და კიცხავს პირობითობებს. მისი რეაქ-ცია და ქცევები სტიქიურია. იგი ეწაფება ისეთნაირ სიამოე-ნებებს, რომლებიც მისაწვდომია მისი გაუნათლებელი, უღრან;

ლაშინდენ და დასრულებული სახე მიიღეს ახალგაზრდა დამ-დგმელთა შემდგომ ნამუშევრებში. ამ სპექტაკლში რეჟისორებმა ძალზე რთული ჟანრი დასძლიეს. სხვა საგასტროლო სპე-ქტაკლებმა კი დაგვიდასტურეს, რომ რ. სტურუა და თ. ჩხეი-ძე სავეებით ფლობენ ტრაგიკომედიის ჟანრს. ისინი თამამად და თავისუფლად იყენებენ თეატრალური ფერების იმ რთულსა და ნაირგვაროვან შენაძნობს, რომლითაც წარმოისახება ის რთული პრობლემები, ამ რეჟისორების მხატვრულ ძრწამსსა და მოქალაქეობრივ შეგნებას რომ ალღუევენ.



სცენები სპექტაკლიდან „მეშველ ცა“.

სულისთვის. იგი განთავისუფლებულია სიღარიბის შერძინე-ბისგანაც, აგრერიცად რომ თრგუნავს პლატონს. განთავისუ-ფლებულია იმ გზავიადებული კეთილზნობისგანაც, ადგილო-ბრივ ინტელიგენტებს რომ ახასიათებთ.

სპექტაკლის ქლერადობაში ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გამომსახველი „ნოტა“ — კ. საკანდელიძის არისტო. მსახიობი თამაშობს თავაზიანსა და მორიდებულ ადამიანს, იგი ყურადღებანი და მოკრძალებული. მაგრამ ყოველივე ამის მიღმა ანგარება მიმაღული. არისტოს ამ საწყალი ქა-ლის გათხოვება უნდა. საკანდელიძის გმირს თითქოს ესმის კიდევ, რომ მონაწილეობს საექუო საქმეში, მაგრამ რას იზაჲ — ასეთია ღარიბი კაცის ხვედრი! კიდევ კარგი, რომ ყველა-ფერი წსრივშია, დაეცლია ყველა ჩვევა.

ერთი სატყუი, ამ სპექტაკლით ნიჭიერმა ახალგაზრდა რეჟისორებმა სერიოზული განაცხადი გააკეთეს. მათ სწო-რედ აჲ ჩამოუყალიბდათ უაღრესად სერიოზული დამოკიდე-ბულება ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნებისადმი.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ თავმოყრილია ის მრავალი და არსებითი მხატვრული ხერხი და პრინციპი, რომლებიც სწრაფად განვითარდნენ — მომწიფდნენ, გაღრმავდნენ, გაშა-

თ. ჩხეიძის მიერ დამოუკიდებლად დადგმული „გუშინდელ-ნიც“ ხომ ტრაგიკომედიაა (დღეს რუსთაველელთა ყველა საუ-კეთესო სპექტაკლი ერთიან წიგნად მესახება). ამ სპექტაკლში „სამანიშვილის დედინაცვალთან“ შედარებით გაზრდილია მო-ქალაქეობრივი სიფხიზლე და გამბედაობა რეჟისორისა, ხელი რომ მოჰკიდა ცნობილი ქართველი მწერლის შ. დადიანის ნაწარმოებს — აღქმისა და ქლერადობის თვალსაზრისით ამ არტუთ ისე იოლ პიესას, რომელსაც უბრალოდ, რეჟისორული ინტერპრების გაფარჯიშების მიზნით ვერ დადგამ. აჲ უსათუოდ უნდა გაგანდეს ზუსტი მოქალაქეობრივი პოზიცია. ეს სპექ-ტაკლი არა მარტო ავლენს, არამედ მხატვრულად ასაბუთებს, შესანიშნავად იცავს თავის პოზიციას. პირველსავე წაშეში, როცა სიჩუმით მოცულსა და ცარიელ სცენაზე ნელ-ნელა ბრუ-ნავს უზარმაზარი მაგიდა-ნასუფრალი, როცა სცენაზე ასევე ნელ-ნელა ფხიზლდება, გონის მოდის და მოცოცავს სპექ-ტაკლის ზოგიერთი პერსონაჲ, იჲმნება საოცრად ზუსტო ატმოსფერო, იჲმნება მთელი იმ სამყაროს, იმ დროის კვლო-მის მკვეთრი და გულსაკლავი სურათი. ასეთი შთაბეჭდილება მიღწეულია არა მარტო აზრის, არამედ საშუალებების სიუსე-ტიტაცო. თ. ჩხეიძე მხატვრული ინფორმაციის მაქსიმუმს გვაწ-


ედის მინიმალური საშუალებებით, რაც ნამდვილი რეჟისორული ტალანტის უტყუარი მაჩვენებელია.

თვალნათელი გრძნობა და გესმის, რომ მათ შორის აღარ არიან ცხოვრების ბატონ-პატრონები, აქ ყველა და ყველაფერი გუშინდელია. ბორგავენ... ხანას, გზასა და გამოსავალს ამოდებენ... მერე კი იშლება და ვითარდება ტრაგიკომედიისათვის გეზო და მახასიათებელი მოქმედება. ამჟამად რუსთაველის თეატრისათვის სწორედ ეს ჟანრი ყველაზე ახლობელი, რადგან დღეს ტრაგიკომედია თქმის გაცილებით უფრო მეტ სა-

დელი ბედისა და დღევანდელი ქვეშაირების დასამკვიდრებლად.

განსაკვივრებლად ტოლფასოვანი და მწყობრია ამ სპექტაკლის აქტიორული ანსამბლი, რომელშიც მთავარ გმირთა შემსრულებლებიდან ვერ გამოარჩევ ვერავის. აქ ყველა დაცაბულ, ციებ-ცხელებით გამსჭვალულ ატმოსფეროში ცოცხლობს. ყოველი მსახიობი ზუსტია თავის მოქმედებასა და გამოსახველობაში.

ჟანრი ლოლაშვილი მაზრის უფროსის როლში არარაობაა



შუალებას იძლევა, ისევე როგორც თავის დროის ყოველი ჟანრი (ოღესდაც ტრაგედიას ეჭვარ ძალაუფლება) და ადამიანსაც სხვადასხვა მხრიდან გვაჩვენებს.

ეს სპექტაკლი ტრაგიკომედიისათვის დამახასიათებელ მრავალ ნიშანთვისებას შეიცავს. აქ სატირული ფერებით დახატულია ის, ვინც ამას იმსახურებს, თანაურდნობენ იმას, ვინც უძღურია. აქ შეიგრძნობ ისტორიულ მოძრაობასა და ისტორიული სიმართლის საბოლოო დღესასწაულსაც, თუმცა დღესასწაული ბოლომდე მიყვანილი არცაა. სპექტაკლის შიგნით ჩასაიდუმლოებულია კეთილი და ოპტიმისტური ადამიანური საწყისი, რომელიც გამოიკვეთება მეტისმეტად მზიარული გარემოს ფონზე. საწყისიდანვეა გაანალიზებული ამ როული სატუაციის მთელი შეუსაბამობა, სიტუაციისა, რომელშიც ადამიანები საკუთარი ნებასურვილით არიან მოხვედრილნი. მაგრამ ამ ხან საშინელი, ხან მზიარული, ხან კი სევდიანი ცხოვრების მიღმა ამოზრდილია შერძნება ხალხის სიმართლისა. სპექტაკლი ბადებს კულტურისა და ისტორიის მილიანიობის შერძნებას. ის, რასაც აქ ჰგობენ, ნიპოლისტურად კი არაა უარყოფილი, არამედ უარყოფილია დღევან-

ანსახეურებს. მისი აზრები და გონება ისეა დაცარიელებული, რომ მოსაზრებაც კი არ ჰყოფნის მოჩვენებითი ყოყმანობის წარმოსაჩენად. თავადი კოწიას როლს ამაღლებულად თამაშობს იშვიათი მომხიბვლელობის მსახიობი კახი კავსაძე. აქ ძნელია გარკვევა — თუ რა ფერებით ოპერირებენ მსახიობი და რეჟისორი, კაცსავე თუ თანაურდნობენ თავიანთ გმირს. აქ ერთიცაა და მეორეც.

გ. ხარაბაძე გლეხის როლში თამაშობს დამცირებასაც და შინაგან უპირატესობასაც დანარჩენებზე, აქვლანებს მესაკუთრულ გრძნობასაც და შეკლბისადმი ზიზღსაც. ყველაფერი ეს აღრეულია ამ ზუსტსა და გამოსახველ ხასიათში.

და აი, კიდევ ერთი პერსონაჟი — უტყვი გოგონა (მ. ჯანაშია), განცვიფრებული, შემინებული თვალებით რომ შეჰყურებს ამ უკნურ ღრეობას, გატიალებასა და სასოწარკვეთას.

ასეთი შთაბეჭდილებები გარეგნული გამოსახველობის საშუალებებით კი არ იქმნება, არამედ ხასიათების ფსიქოლოგიური წყობით, მიზანსცენებით, სპექტაკლის მთელი რეჟისორული პარტიკურით.

მ. ჩაჩავა, ჯ. ლაღანიძე, ლ. ძივრაშვილი, მ. გამეცემლიძე.




მ. თავაძე, ლ. ლამბაშიძე, ნ. ფაჩუაშვილი, ლ. გუდაძე ქმნიან უაღრესად ზუსტსა და სახიფათო პორტრეტებს, რომლებიც ერთად იმდროინდელი ცხოვრებისა და ჩვევების უაღრესად შთამბეჭდავ სურათს ხატავენ.

სპექტაკლის ამოცანაა — დაგვიანახოს როგორი არ უნდა იყვნენ ადამიანები და როგორი არ უნდა იყოს მათი ურთიერთობები. სპექტაკლის მიზანია — დამკვიდროს სრულიად სხვა სოციალური და ზნეობრივი ნორმები. ამ წარმოდგენის სცენური გამომსახველობა და ფერთა სიმდიდრე ჰარმონიულად ერწყმის ღრმა და სასოგადოებრივად მნიშვნელოვან აზრს. ისევე, როგორც ნამდვილ ფერწერაში, ერთმანეთისაგან განუყოფელია შინაარსი და კოლორიტი, ასევე, რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში ღრმა აზრი გამოსჭვივის ყოველი მიზანსცენიდან, პლასტიკიდან, ფსიქოლოგიური წიაღსვლებიდან, კონტრასტული ფერებიდან...

სარისკო იყო სპექტაკლ „დასაწყისის“ („პრემია“) ჩვენება მოსკოვში, ვინაიდან ეს პიესა მაღალ დონეზეა განსახიფრებული სამხატვრო თეატრში, ამას წინათ კი იგი ტელევიზიითაც

გაჩვენა ლენინგრადის დიდმა დრამატულმა თეატრმა. ნილია ფილმიც. თითქოს ყველაფერი ამოწურულია... აქედან გამომდინარე, რატომღაც მეგონა, რომ რუსთაველის თეატრის რეპერტუარში ეს სპექტაკლი შეტანილია რუბრიკის — „თანამედროვე პიესა“ შევსების მიზნით. ბევრს გონა ასე და ვინც არ დაესწრო ამ წარმოდგენას, ბევრი დაკარგა კიდევ, ზეფისორმა რ. სტურუამ დაგვიანახა, რომ ა. გელმანის პიესა მარტო სიუჟეტით არაა მნიშვნელოვანი და რომ იგი სცენისათვის არც ისე ერთნიშნადია, როგორც გვეგონა. აღმოჩნდა, რომ ეს პიესა შეიცავს ნაირგვაროვან ნიუანსებსა და ელფერებს, რომლებიც რეჟისორს პიესის პრობლემებზე საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევენ. რ. სტურუას რეჟისორული ტრაქტოვკა და მსახიობთა თამაშიც შეიცავს არსებით სიახლეს. რუსთაველის თეატრში ეს პიესა გაცილებით უფრო ფხიზლად, დაუნდობელი სიმკაცრით წაუკითხავთ. საგულისხმოა სპექტაკლის ოპტიმისტური გადაწყვეტაც. ეს ოპტიმიზმი კი ამოზრდილია ურთიერთობების უაღრესად მართალი, პატიოსანი, შეუღამაზებელი და მკაცრი ანალიზიდან. ეს ურთიერთობები ყალიბდებიან იმ სიტუაციაში, რომლის წინააღმდეგ მშენებელთა ბრიგადირი ილაშქრებს. გამართლებულია ისიც, რომ აქ არ ასახელებენ ბრიგადირის გვარს, ამით მოხსნილია ხასიათის ეროვნული საზღვრები. რუსთაველელთა სპექტაკლში გაჩნდა კიდევ ერთი სიუჟეტი: თავიდან, როგორც წესი, პარტკომის მთელი შემადგენლობა მონოლითურ მთლიანობაშია ხოლმე წარმოდგენილი, რომელიც თანდათან, საქმის მსვლელობის შესაბამისად, დაიშლება ცალკეულ კვადრებად, ბანაკებად. რუსთაველელთა სპექტაკლში კი თავიდანვე უთანხმოებას აქვს ადგილი. აქ არჩევითი ორგანოს წევრებს შორის არ არსებობს არავითარი კავშირი. არავითარი მნიშვნელობას არ ანიჭებენ თვით პარტკომის მდივანსაც. ამით შექმნილია აბსოლუტურად რეალური, ცხოვრებისეული სიტუაცია — როცა ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელშია. რუსთაველელთა სპექტაკლში ბრიგადირის სიმართლედ თანდათან იც-





რებს ძალას, თუმცა, იგი თავის გამარჯვება ბოლომდე მაინც არ დაიჯერებს — გაცხარებით ხევს თავის რვეულებს და მიადის. ასეთია სპექტაკლ „დასაწყისის“ ცხოვრებისეული საჩუქელი.

რ. სტურუა ამჟღავნებს კიდევ ერთ სიუჟეტურ ხაზს — იგი ყურადღების ცენტრში მოაქცევს არა მარტო ბრავადირ პოტაპოვის ამბავს, არამედ პარტიული კომიტეტის მდივნის ამბავსაც, რომელიც ჩვენს თვალწინ ვითარდება.

პარტკომის წევრები სხდომისათვის ზანტად იკრიბებიან, რადგან წინასწარვე იციან, რომ ესეც ფორმალური თავშეყრა იქნება, — მოვა მმართველი და ყველა საკითხს, ჩვეულებისამებრ, მელიდურად და სწრაფად გადაწყვეტს. და აი, სცენაზე მონუმენტური, თავდაჯერებული ადამიანი შეუძღის. ეროსი მანჯაგალაძის შესრულებით ესაა მასშტაბური მუშაი, ადამიანი, რომელსაც ხელწევრება მრავალრიცხოვანი კოლექტივის ხელმძღვანელობა. იგი ხომ ყველაფერს თავის თავზე იღებს. პარტკომის სხდომაზეც ისე მოდის, როგორც თავის სახლში. იგი აქაც ყველას მაგიერ თვითონ გადაწყვეტს ყველაფერს. უმაღლეს თამებდომარის სკამს დაიკავებს, პარტკომის მდივანს კი

ადგილს მიუჩენს სდღაც — მაგიდის კუთხეში. თვითონ წარმართავს ყოველივეს, დანარჩენები — დამსწრები არიან. დასაწყისში არც არავის მიუცქევია ყურადღება პრემიების უარყოფის ფაქტისთვის. აქ ყველას დაკარგული აქვს მოვლენათა დამოუკიდებელი შეფასების უნარი — მერე რა, რომ რაღაც მოხდა, ამისათვის არის მმართველი — მას განა ასეთი საქმეები მოუგვარებია? სპექტაკლი იწყება საგანგებოდ ხაზგასმული უდიდძამო ყოველდღიურობის გამომხატველი რიტმით. მაშინ, როდესაც რეჟისორები, ჩვეულებრივად, ამ სპექტაკლს იწყებენ და ლოგიკურადაც, მღელვარე მოვლენით, რომელსაც პრემიების უარყოფის ამბავი წარმოქმნის. რ. სტურუა კი წარმოდგენას იწყებს ანტიმოვლენით. აქ არაფერი არ მომხდარა და არც შეიძლება რომ მოხდეს. მმართველმა რამდენიმე წუთში ეს საკითხიც გადაწყვიტა და ბრავადირის ალღურსით უბიძგა გასასვლელისაკენ... გგონია, რომ სადაც არის, სპექტაკლი დამთავრდება. მაგრამ არა. მთავრდება რეჟისორის მიერ გონივრულად აგებული მხოლოდ ერთი ეპიზოდი. მომდევნო სცენებმა მთელ მოქმედებას ნერვიული, არაორგანიზებული მსვლელობა მისცეს. ეს, რა თქმა უნდა, შთაბეჭდილებათა,

სცენები სპექტაკლიდან „გუშინდელნი“






რადგან არაორგანიზებულობა დამდგმელის მიერ მშვენიერადაა ორგანიზებული. აქ სწრაფად ირკვევა, რომ ბრიგადირს გამოცდილი დემაგოგების, სიმართლის გამყალბებლების სახით ჰყავს ძლიერი მოწინააღმდეგენი. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ ეს არაა დანაშაული და შეცდომები მხოლოდ ერთი კაცისა. ეს უკვე სისტემად ქცეულა მანკიერებაა. მართალია, ყველა არ მონაწილეობს სიყალბესა და მიწერებში, მაგრამ ისინი შეეჩვივნენ ამას, შეეპყვნენ ატმოსფეროს, რომელიც მუშაობის ამგვარმა სტილმა წარმოქმნა.

რეჟისორული აზრის მომდევნო სვლა განპირობებულია

შემდეგი ვითარებით — კონფლიქტი მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ აწყობილ სისტემას უჩნდება ბზარი, რომელიც თანდათან ფართოვდება მშრომელი ადამიანის მიერ მოტანილი უბრალო ფაქტებისა და იმ რწმენის ზემოქმედებით, რომელიც ითხოვს თვალის ასვლას, საქმის რეალური მდგომარეობის დანახვას. დროა ბოლო მოეღოს უსინდისობას. ბოლოს და ბოლოს, სიცრუისგან ხომ იღლება, იქანცება ადამიანი. დიას, ჟ. ლოლაშვილი ამ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც ითვალისწინებს. მისი გმირი რამდენჯერმე წასვლასაც კი დააპირებს — აქ გამოცდის წინაშე მისი რწმენა, რომელიც ჩვენს თვალწინ მტკიცდება, ბრძოლაში იბადება და ყალიბდება. ესაა კი-





დეე ერთი ზუსტი და სახოვანი აქტიორულ-რეჟისორული შტრიხი.

სპექტაკლის შინაგან მოქმედებას შევყავართ პასიური ერთ-სულონების რღვევის პროცესში, ვგადავთ დაჯგუფებებში გადაზრდილ წინააღმდეგობათა ზრდას...

მმართველმა იგრძნო, რომ პკარგავს თავის შეუცილებელ გავლენას... მდივანმა კი ძალაუფლება მოიპოვა და დეპატრონა თავმჯდომარის სკამს. აქ ვაღამწყვეტი შნიშვნელობა ენიჭება ეკონომისტს, რომლის სახეა მარინე თბალელი საოცარი სისუსტით ხატავს. ამ პატარა ეპიზოდში მსახიობმა გეომამეღვანა ადამიანის სასიათის რაღაც არსებითი — სიმართლის ძალა, თუ შეიძლება ასე ითქვას. ადამიანმა დანახა რეალური ფაქტები და დაუკურა კიდევ მათ. ცხადია, მას უკვე ვეღარ შეაღდენ, რადგან სწამს, რომ მისი სჯერათ.

საგვემო განყოფილების გამგევეც სჯერა, რა თქმა უნდა, თავისი პოზიციისა. მაგრამ ჯემაღ დაღანიძე თავისი გმირის ოღნდე ისტერიულ ტემპერამენტში ამქვანეებს მერყეობასაც, შიშსაც. ესეც საოცრად ზუსტი ფერია — ხომ შესვედრიღხართ ამგვარ ადამიანებს, რომელთა ძალა ყვირილშია. თუ მართალი ხარ, მაშინ ხმაღაბლა შეიძლება ადამიანთა დარწმუნება.

ბადრი კობახიძეს მიერ შესრულებულ დისპეტჩერს სულ სძინავს. განსაკუთრებულია მისი ძილი. იგი დისპეტჩერული მოვალეობისგან როღია გაღადღილი, თუმცა ესეც დამკანცველია. იგი დაღლიღია საკუთარ თავთან, საკუთარ შვიღთან დაუსრულებელი კამათისაგან, საღაც მას, და ეს მან კარგად იცის, წაგებული აქვს პოზიციები. ოღონდ მეტისშეუბად ძნელია ყოვეღივე ეს გაუზიღო საკუთარ თავს, ძნელია წინ აღუდგე ინერციას. ამიტომაც მიმართავს ხრიკებს, თავს იტყუებს, თამაზობს მოჩვენებით საქმიანობას. ახლაც ზის და სძინავს. მთელი მისი გამომეტყველება კი გვაჩვენებს, რომ მას ეს საქმეც მორიგ ყალთბანღობად მიანჩნია — დაე, ამ ამბავმაც უჩემოდ ჩაიაროს. მერე კი, როცა დანახავა, რომ შეიძლება სინარათის თქმა, დაიკურს კიდევ სინარათის მხარეს.

საგულისხმობა სპექტაკლის ფნალი, საღაც კახი კავსამე ამბობს თავისი გამარჯვების დამგვირგვინებელ პატარა მონოლოგს. მისმა გმირმა საქმე რთული შინაგანი ბრძოღით მოიგო. გადაწყვეტიღება მიიღო, ნაბიჯიც გადაღდა, მაგრამ ინტონაციებში მაინც არ იგრძნობა კმაყოფილების, სიხარუღის ნოტა. იგი საკამარისად ჭკვიანია მიისათვის, რომ გაიასროს თავისი დანიშნულება და მიხედეს, რომ ეს მხოლოდ ბრძოღის





დასაწყისია და რომ მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის.

მიღის ბრიგადირი, რომელმაც გაიგო, რომ მისმა ბრიგადამ მაინც მიიღო პრემია, ხევის გაანგარიშებებით აჭრებულულ თავის რვეულებს, მიღის ფრთამოტეხილი, მხრებჩამოყრილი. მან არც ის იცის, რომ დღეს მას პარტიულმა კომიტეტმა დაუკირა მხარი. სპექტაკლის ბოლოს კი მმართველი ისევ გაიბრძოლებს — ბრიგადირისა და პარტიკომის წინადადებას მიიღებს ისე, ვით მორიგ ფანდს. ალბათ, მერე იგი ისევ შეეცდება პოზიციების გამაგრებას...

ერთი სიტყვით, ამ სპექტაკლის თეატრალურ ფორმას ქმნის და აყალიბებს ზუსტი და ნაცნობი ცხოვრებისეულობა, ხასიათების ფსიქოლოგიური წვრილმანები, რის გამოც დაძაბულად აღდგნებ თვალყურს არა მარტო სიუჟეტის მსვლელობას, არამედ სპექტაკლის შინაგან მოქმედებასაც, რაც მსახიობებისა და რეჟისორის დიდი ოსტატობის მარჯვენაა.

სპექტაკლ „დასაწყისში“ რუსთაველის თეატრი წარმოსდგა არა მარტო როგორც ფაქიზი ფსიქოლოგი, არამედ როგორც მებრძოლი პუბლიცისტი, რომელიც მანკიერებათა მხილებით სახავს ვითარების გამოსასწორებელ, სიმართლის აუცილებლობით ნაკარნახევ გზებს.

თანამედროვე თემაზე შექმნილი რუსთაველელთა მუორე სპექტაკლი „მეშვიდე ცა“ (რეჟისორი გ. ქავთარაძე), სამწუხაროდ, უფერულია. მიუხედავად ამისა, მაინც ღირდა ამ სპექტაკლის დადგმაცა და საგასტროლო რეპერტუარში მისი შეტანაც. საპირისპირო შუხედულება პრინციპულად მცდარი: თვალსაზრისი იქნებოდა, რადგან თანამედროვე მასალის დამუშავება ნებისმიერი თეატრის უპირველესი მოვალეობაა. აქედან გამომდინარე, მიუეხალბეი გ. ფანჯიკიძის ნაწარმოებზე მუშაობის ფაქტს. მით უფრო, რომ თანამედროვე პიესის წარმატება მეტისმეტად რთული, ძნელი ამოცანაა. ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით.


სცენები სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“.




ჩემი აზრით, სპექტაკლ „მეშვიდე ცის“ ნაკლი ისაა, რომ აქ თვით პრობლემა არაა ნათელი. თანამედროვე საწარმოო თემა კი მხატვრულობის ხარისხში აკყავს, უპირველესად, სი-ცხადესა და მკაფიობას. აქ კი გაუგებარია შემდეგი სვლა — მხატვრის სამქროს ინტენიერი, სამაგალითო მუშაკი, თვალსა-ჩინო პიროვნება, კარგი ადამიანი, სამსახურში სავსებით კა-ნონზომიერად რომ აწინაურებენ და წარადგენენ კიდევ კმი-რის წოდებაზე, რატომღაც იმდენად მკვეთრად შეიცვლის სა-ხეს, რომ მას ზურგს შეაქცევს უკლებლივ ყველა.

რა თქმა უნდა, ასეთი რამ სავსებით დასაშვებია და შესაძ-

ლებელი — ადამიანს რაღაც მოუვიდა და მან ხელი მიჰყო თავისი უფლებების ბოროტად გამოყენებას. ამით თეატრს სურდა წამოეჭრა ადამიანური და სამსახურებრივი მორალის განუყოფლობის, ზნეობრივი პრინციპების ერთიანობის პრო-ბლემა, მაგრამ ეს ამოცანა ძნელი ამოსაკითხია ამ სპექტაკლის ტექსტიდან, მისი სტრუქტურიდან. როგორც ჩანს, რეჟისორა მეთი მომთხოვნელობით უნდა ემუშავა, რათა მსახიობთა წი-ნაშე დაესვა უფრო ზუსტი ამოცანები. ზოგჯერ ნათლად ხელავ, რომ რეჟისორულ ნებას ერთმანეთთან არ დაუკავშირებია სცე-ნაზე მყოფი ადამიანები. ამასთან, მხატვრული ინფორმაციის





ატმოსფეროც მეტისმეტად განმუხტულია. და მაინც, კვლავ ვიმეორებ — არ შეიძლება ამ სპექტაკლის იგნორირება, მასში დადებითი თვისებებიც აღინიშნება.

„ყვარყვარე“ რ. სტურუამ ჩაიფიქრა და განახორციელა როგორც თავისებური, მძაფრი და მკვეთრი სპექტაკლი — პლაკატი, მიმართული პოლიტიკური სპეკულაციის, ავანტურისმი-სა და მიმტმასნელობის წინააღმდეგ. სპექტაკლი აღშფოთებუ-ლი და პრისხანე ხმით გვიამბობს იმ მოვლენებზე, რომლებიც ატარებენ ზოგადაკცობრიულ ხასიათს. რეჟისორი აფართოებ-ს სპექტაკლის აზრსა და ჩანაფიქრს, როცა მასში შეაქვს სურა-

თი ბ. ბრეხტის ცნობილი პიესიდან „არტურო უის კარდრა“, რაც უფრო მეტად აზუსტებს სპექტაკლის მიზანს.

ეს ძალზე რთული სპექტაკლია როგორც რეჟისორული, ისე აქტიორული ხორცშესხმის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის იგი მთავარი როლების შემსრულებლებს, ვინაიდან ძალზე ძნელია იმ შინაგანი პულსის, იმ მრავალნი-ა-რი ფერების მიგნება, რომლებიც სპექტაკლის დინამიურობას იწვევენ.

„ყვარყვარე“ იშვიათი ნიმუშია ესოდენ მძაფრი პოლიტიკე-რის სპექტაკლისა. ეს ეპირი კი ძალზე ძნელი დასაძლევია,

სცენები სპექტაკლიდან „სამანიშვილის დღინაეცალი“.





ვინაიდან, სპექციფიკურ დრამატურგიასთან ერთად, იგი მოითხოვს განსაკუთრებულ მსახიობებსაც, რომლებიც გამოიმსახველობით სარწმუნოების მდიდარ არსენალს უნდა ფლობდნენ.

ძნელად მოიძებნება ყვარყვარეს როლის შემსრულებელი, რადგან მას უნდა გააჩნდეს შემოქმედების უდიდესი ძალა, ტემპერამენტი, ფანტაზია, შინაგანი სიმართლე. რამაზ ჩხიკავაძე დაჯილდოებულია ყველა ამ თვისებით, ზოგჯერ გგონია, რომ მეტისმეტადაც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ მსახიობს ყველაფერი შეუძლია. განსაცვიფრებელია მისი პლასტიკა, ხმა, ტემპერამენტი, გამჭრიახი, გინიერი გამოხედვა, დრო და დრო მთელი სისასვეთი რომ გამოაჩენს ხოლმე ყვარყვარეს ნიღაბსა თუ აზღაყის სულს.

რეჟისორმა სპექტაკლი დაასახლა აუარებელი ზუსტი და მკვეთრი დეტალით და ამით მთელი მოქმედება ფანტასმაგორიულობით გამსჭვალა. ესაა სწორი გადაწყვეტა, რადგან ყვარყვარეს ბუნებას ვერ გააანალიზებ ფსიქოლოგიური თეატრის ხერხებით. პოლიტიკური ავანტიურისტიკის თავგადასავლები და გარდასახვები სწორედ ასე უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც საზარელი სისხმარი, როგორც მასობრივი ჰიპნოზის შემთხვევა. მერე კი, როცა გონს მოიღწე — ყვარყვარეს რომელიმე ძველ სკივრში უკრავენ თავს, ზიხლით დაიფერთხავენ ხელებს და წაგლეფ.

სპექტაკლი ფსიქოლოგიური ანალიზის, ადამიანის სულის შინაგანი მოძრაობის ნაცვლად ავლენს სიტუაციათა მოძრაობას, სახანათის განვითარებას. აქ რეჟისორი რ. სტურუა და მსახიობი რ. ჩხიკავაძე ერთნაირად ბრწყინავენ.

ესაა ერთი გმირის სპექტაკლი: ალბათ, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მისი დადგმა, რადგან მაშინ დაირღვეოდა მთლიანობა, დაიმშლებოდა კონცენტრაცია რეჟისორული აზრისა... ოლინდ, მგონია, რომ აქ ვარემო ყოველთვის არაა ბოლომდე დაზუსტებული. იქნებ, კვდებო, მაგრამ მაინც ვიტყვი — ისტორიული, სოციალური და ყოფითი ძვრები შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო მკვეთრი, გავრცობილი, მკაფიო. ან, იქნებ, ცოტა მეტი უნდა იცოდეს საქართველოზე, ვიდრე ჩვენ ვიცით. მით უფრო, რომ არ გვესმის ქართული ენა, ვერ შევივრძნობთ

ქართული მეტყველებისა და აქტიორული ინტონაციის იმ თავისებურებას, რომლითაც ესა თუ ის ფრაზა წარმოითქმება.

ასეა თუ ისე, სპექტაკლი „ყვარყვარე“ შევა რუსთაველის თეატრის ისტორიაში და მრავალჯნის იქცევა ანალიზის საგნად. რამაზ ჩხიკავაძის ესოდენ საინტერესო ნამუშევარი კი შესესებ ქართული სცენის მიღწევათა ოქროს ფონდს და მასში სამუდამოდ აღიმეჭვლება.

ახლა კი ვილაპარაკოთ „აკაკასიური ცარცის წრეზე“, რომელიც უმაღლე შეიყვარა მაცურებელმა. აუდიტორია აღფრთოვანებას სანგრძლივი და მქუსარე აპლოდისმენტებით გამოხატავდა. სუსტ სპექტაკლებზე, ანტრაქტებში სიჩუმე სუფევს ხოლმე. სეირნობენ მშვიდად და დაბალი ხმით საუბრობენ. „აკაკასიური ცარცის წრეზე“ კი მხიარული გუგუნნი, ჭრიაშული იღვა — ადამიანები ხმამაღლა და მგზნებარედ ლაპარაკობდნენ. ეს ნამდვილი ზეიმი იყო თეატრისა.

როგორც კი გააყანელის გამოშვებები დაიწყო ახმანდა, სცენაზე ბრბო შემოიჭრა და უმაღლე დაიწყო კიდეც ცეკვადობით გამსჭვალული სანახაობა. დასაწყისი უკვე რაღაცას მოასწავებდა, ბევრს გეპირდებოდა. სპექტაკლის დასასრულს კი კაიარებთ — „აკაკასიური ცარცის წრე“ მარტო ქართული სცენის ისტორიაში როდი შევა, იგი მთელ თანამედროვე საბჭოთა თეატრს ასახელებს. თვით რეჟისორი რომერტ სტურუას კი ამ დადგამა დიდი სახელი მოუხვეჭა მოსკოვის თეატრალურ წრეებში.

მაინც რითი გავგახარა ამ სპექტაკლმა, რა დავინახეთ მასში? უპირველესად ვიტყვი, რომ იგი შემთხვევით არ გაჩენილა, მისი წარმძღვრები რუსთაველის თეატრის განვითარების მთელმა მსვლელობამ შეამზადა. მართალია, თეატრს არა ერთხელ განუცლია წარუმატებლობის გულსატკენი პერიოდები, მაგრამ უახლესი ისტორიიდან მაინც ჩანს ჩამოყალიბება სწორედ იმ თვისებისა, აგრერიკად რომ აყვავდა „აკაკასიური ცარცის წრეში“.

მალაღსა და ნამდვილ ხელოვნებაში ყველაფერი როდი ემორჩილება მკაცრ განხილვასა და ზუსტ ანალიზს — გაუთვითცნობიერებელი რჩება მსატერული შთაბეჭდილება და ემოციუ-



რი სული სპექტაკლისა. უნებურად მაგონდება მონაყოლი „პრინცესა ტურანდოტის“ პრემიერაზე, რომლის დადგმა ე. ვახტანგოვა 1922 წლის განახორციელა. მოსკოვს შიდა და სცილდა, მაგრამ ის, ვინც წამოიწია ეს სპექტაკლი, დღესაც განიცდის ამ დღესასწაული აღძრულ სიხარულსა და სიამოვნებას. გაუფიქრებელია სწორედ ეს „ნალექი“, რომელიც, ცხადია, სუფიტიდან არ წარმოქმნილა. სიხარულის, სიამოვნების, გამაზრებელი ბედნიერების სული რეჟისორამ წარმოშვა. ან, ავიღოთ, თუნდაც, გ. დანელიას მშვენიერი ფილმი „ბრ დადარდო!“ — მხარული და ნაღვლიანი, მიამიტი ბრები და მაღალი გემოვნება — ასეთია „კავკასიური ცარცის წრე“ შთაბეჭდილების ახედს.

მიგნებები, გამოზონებლობა, არტისტიზმი, მუსიკის ბრწყინვალეობა და მომხიბვლელი პლასტიკა, თამამი, გაბეული ხერხები და მაღალი გემოვნება — ასეთია „კავკასიური ცარცის წრე“.

ეს სპექტაკლი უსათუოდ უნდა ჩაიწეროს, საჭიროა მისი გადაღება, კინოფორზე აღებდნა. დასურვებულად შეიძლება ამ სპექტაკლის აღწერა, ვინაიდან მასში არ მოქმედებდა შეუცხებელი დროის არც ერთი წამი, ყოველ წამში ხდება რაღაც მნიშვნელოვანი, რაღაც არსებითი. უნიკალურია მსატერული დატვირთვა ამ სპექტაკლისა. იგი გამჭვავებულია გრძნობისა და აზრის გამომხატველი მრავალი ელემენტით. ამიტომაც, რომ მაყურებელს, სულიერი განწყობიდან გამომდინარე, საერთო შთაბეჭდილებებთან ერთად, ამ სპექტაკლიდან გამოაქვს რაღაც თავისი, მხოლოდ მისთვის ძვირფასი რაიმე.

როგორ მდიდრულად და როგორ მკაცრად, როგორი უბრალო საშუალებებითაა აქ ყველაფერი გაკეთებული. გამოდის ძიძა (ლ. ბურბუაშვილი), გამოდის „თითის წყერებზე“, თითქმის როგორც ბალერინა და მაშინვე გინდდება ზუსტი შეგრძნება მიღებულობისა. მას ეს ჩველი ბავშვი, რომელიც მინდობილი ჰყავს, ჯამაგირისოფენად უყვარს. ჯამაგირი კი მეტისმეტად მიიერ აქვს. გამოდის ფერეტიორი (გ. საღარაძე) და მღერის... მაშინვე იგრძნობთ, რომ იგი ბრყვია და განსახიერება თავგებდობისა და სიბილწის...

გამოდის გრუშე (იხა გიგოშვილის მიერ შექმნილი შესანიშნავი სახე) და მიაპყრობს მზერას იმ ბუნქებს, საცვალს რომ რეცხავდა. ამ ბუნქნარს თქვენც დანიხავთ, დანიხავთ მრეცხავ გრუშესაც, საცვლებიც დატვირთული კალთის სიმძიმესაც უშაღვე იგრძნობთ.

შესანიშნავი წამყვანი — ჯანრი ლოლაშვილი ეს გატაცებით მღერის იმაზე, თუ რა ძნელი უარის თქმა სიკეთის ცდუნებაზე. შემდეგ კი დღეილი გრუშე ოღრო-ჩოღრო ხიდით გადვილის უფსკრულს: წამყვანი მიკროფონის ზონარს გაუწვდის და მორე ნაპირზე გამოიყვანს.

აი, სპექტაკლის კიდევ ერთი შემარწმუნებელი წამი — გრუშე ბავშვი შეძლებული დედაკაცის კარმადამოსთან მიივლიდა და მოკვერცხლა ცეკვა-ცეკვით. ამ საჩინო ცეკვაში სიხარულიც იყო და თავისუფლებაც, შეიფიქრებდა და სინდისის ქენჯნაც. გარბის გრუშე, მაყურებელმა კი წინასწარ იცის, რომ იგი დამარულდება, უსათუოდ დაბრუნდება.

დასურვებულად შეიძლება ამ სპექტაკლზე კომპარაკი... ყველაფერს, ალბათ, ვერც ჩამოთვლი. აი, თუნდაც, კონცერტების-ტერი ლეილა სიმეშვილი — უბრალოდ რომ გამოდის სცენაზე, თავს ღირსეულად უკრავს მაყურებელს და მიუჯდება ფორტეპიანოს, საგანგებოდ გამოწყობილი. დიახ, ესეც როლია,

სცენური ეფექტია. ასე გგონია, რომ მასთან ერთად ჩვენი თიხი ცხებიან კლავიშებს...

გრუშე (მ. გამეშვილი) განსახიერება ცოდვისა... გრუშეს ძმის (ჯ. დანიანი) კი ჩინებულად გამოუდის ყველაფერი — ცოლაც დაამშობინა და დასაც მიურჩინა ადგილი. თვითმკაცროფილება მან მთელი თავისი გოლიათური ფიგურით, ცეკვა-ცეკვით გამოხატა.

მთელი სპექტაკლი — რეჟისორული ფანტაზიისა და აქტიორული მიგნებების ზეიზია, თვატარლობის დღესასწაულია. გურამ საღარაძე სამ როლს ანახიერებს. სამაჟორე ქმნის უაღრესად ზუსტ, ფერსაცხე, შთაბეჭდვად პორტრეტს: კაიფიერ და ლალო ბერს, თავად ყაზბეგს — უფსურს, ძლიერს, უღმობელს და ფერეტიორს — ავხორცს, ურეშსა და მიქნის, ტლანქი იუმორისკენაც რომ აქვს მიდრეკილება.

დავით პაპუაშვილი — მეტისმეტად უცნაური ჯარისკაცი. პრიმიტიული მისი გონება უშაღვე ხდება ანდაკის სფოფიზმ ტყვე.

ისევ გრუშეზე: შთაგრდება პირველი აქტი, გრუშე ბატარი მიმოცის იშვილებს. სანდობა, სადღვომო ბატკანი... გრუშე და წამყვანი მღერის სევედანასა და ნახ „აილიუას“ — ადამიანურობის, ერთგულების, სიყვარულის და უშაღვესი მოვალეობის ამ საგალობელს. რარიც მშვენიერია მათი სიმღერა!

აი, ახდაკი! იგივე, მაგრამ სრულიად სხვა რამაც ჩნკვაკე ფილოსოფოსი, ბრძენი, არშიცი, ლოთი... ყოველივე ამის მიღმა კი გამოსტვივის სამყაროს გამაფრებელი აღქმა. მის კონტრიახ თვალგის, არაფერი ეპარება — სიყვარულიცა და სიმუღილიც.

ვერაფერს ვიტყვი, თუნდაც, რ. ჩხიკვაძის სიმღერაზე, სახარესეთი მომხდარ ამბავს რომ ვეატყობინებ. ამ სიმღერას მქუსარე თვაცია ახლდა... როგორი მწვავე ნაღველითაა გამსტვალული მისი რეპლიკები ორბარი ცვეკვლებისკენ მიმართული.

მთელ ცხოვრებას გაიღოს გრუშე ვანაძე, ბავშვით ხელში, და ასე გვთვინა, რომ იგი შენც დაგაცავს, შენც გიშველის. მიჰყავს ახდაკს სასამართლო განხილვები და ასე გგონია, რომ იგი შენც გასწავლის ცხოვრების აღქმას, ამ რთული და მშვენიერი სამყაროს შესახებ გაგაგებინებს რაღაც არსებითსა და მნიშვნელოვანს.

დიახ, ეს სპექტაკლი გასხივონებულა სიხარულითა და ბედნიერებით, რადგან გამსტვალულია სიკეთისა და სიმათლის ურყევი რწმენით. თავისი ოპტიმიზმით, თავისი არტისტული სტიქით ეს სპექტაკლი უაღრესად ხალხურია, ერთგულია.

და ბოლოს, კვლავ შთოცვივებდებთან სპექტაკლის მონაწილენი... ისევ მღერის ჟ. ლოლაშვილი სახეიმი და ოღნავ სევედიან სიმღერას. ისევ გამოდის, თავს გვიხრის იხა გიგოშვილი... ჩვენს წინაშეა ყველა ის, ვინც მაყურებელს აჩუქა ესოდნ დიდი, ჭეშმარიტად მსატერული სიხარული.

ნამდვილ ხელოვნებაში ყველაფერი ახლდება ხოლმე. ეს ცნობილი თვატრიც ამჯერად წარმოსდგა სრულიად ახალ ხარისხში, რაც მის შემოქმედებას საკავშირო მწიფებლობას ანიჭებს.



საუბარი სსრკ კულტურის სამინისტროში

0. სტანოვი:

სსრკ კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს
უფროსის მოვლეობის შემსრულებელი

ძვირფასო ამხანაგებო!

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის აკადემიუ-
რი დრამატული თეატრის სახელმძღვანელო კოლექტივს
მოსკოველები უკვე მერვედ ხვდებიან. ეს, მერვე შეხვე-
დრაც დიდად სასიხარულო მოვლენაა. მერვედ ახარებთ
მოსკოველებსა და ჩვენი დედაქალაქის სტუმრებს თქვენი
სპექტაკლებით. ამჯერად მოსკოვის საგასტროლო სეზონი
თქვენ გახსენით. დიახ, თქვენა ხართ პირველი კოლექტი-
ვი, ვინც თავისი სპექტაკლებით წელს გვეწვია, რუსთავე-
ლის თეატრია მოსკოვის საგასტროლო განაჯგუფების პი-
რველი მერცხალი. კულტურის სამინისტრო ამას დიდ
მნიშვნელობას ანიჭებს.

1975 წლის მიწურულს კოლეგიაზე განვიხილეთ მოს-
კოვში ჩვენი ქვეყნის თეატრების გასტროლების საკითხი
და მივიღეთ ვრცელი დადგენილება, რომლითაც ხაზგას-
მულად აღინიშნა საგასტროლო მოღვაწეობის დიდი მნი-
შვნელობა და, ამიტომ, მთელი ჩვენი საქმიანობა იქით-
კენა მიმართული, რომ ამ მიზნით დავსახოთ ქმედითი
ღონისძიებები და წარმატებით განვახორციელოთ ისინი.

18-დან 31 მარტამდე რუსთაველის სახელობის თეატ-
რმა მოსკოვში გამართა 16 სპექტაკლი. ეს იყო თქვენ-
მეტრ შესანიშნავი შეხვედრა მოსკოველ მაყურებელთან,
ეს იყო მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობისათ-
ვის დაუფიქვარი თექვსმეტი საღამო.

სსრკ კულტურის სამინისტროს თეატრებს სამმართვე-
ლო კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ მოსკოვის
საგასტროლო სეზონი თქვენ გახსენით ჩინებული სპექ-
ტაკლებით, — ჩინებულია თქვენი დასი, ჩინებულა თქვე-
ნი რეჟისურა, მრავალფეროვანია თქვენი რეპერტუარი.
გასტროლების წარმატებით ჩატარებას დიდად შეუწე-
ყო ხელი თქვენი თეატრის ხელმძღვანელობის მიერ საქ-
მის უნარიანად ორგანიზებამ და იმ მხარდაჭერამ, რომე-
ლსაც თეატრის მიმართ იჩენს რესპუბლიკის კულტურის
სამინისტრო.

ამას წინათ სსრკ კულტურის სამინისტროს დრამატუ-
ლი თეატრების სამხატვრო საბჭომ განიხილა დიდი პრობ-
ლემა, რომელიც ახლა ჩვენი ქვეყნის მთელ თეატრალურ
საზოგადოებრიობას აღუღვებს. ესაა ჩვენს თეატრებში
სამსახიობო ხელოვნების, თანამედროვე სამსახიობო
ოსტატობის პრობლემა. გაიმართა საფუძვლიანი საუბა-
რი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თვალსაჩინო თეა-
ტრალურმა მოღვაწეებმა — რეჟისორებმა, მსახიობებმა,
ხელოვნებათმცოდნეებმა, კრიტიკოსებმა. ამ საუბარმა მი-
გვიყვანა იმ დასკვნამდე, რაც თქვენ ერთხელ კიდევ და-
ვიმტკიცეთ თქვენი ხელოვნებით — სცენის მეუფე მსა-
ხიობია.

თქვენი თეატრის წარმატების პირველი წინაპირობა
ისაა, რომ დასი ძალზე საინტერესოდ გყავთ დაკომპლე-
ქტებული, გყავთ შესანიშნავი ახალგაზრდა რეჟისორები,
მძაფრად გრძნობთ თანამედროვეობას.

საინტერესო რეჟისორებისა და მსახიობების შემოქ-
მელებითი თანამოღვაწეობით, მხატვრული სახის შექმ-
ნაზე თავდაუზოგავი შრომით თქვენ გვაჩვენეთ ჭეშმარი-
ტი თეატრალური სანახაობა, შესანიშნავი თეატრალური
წარმოდგენები, რითაც აგვალეღვეთ და განუზომელი
სიხარული მოგვანიჭეთ. მინდოდა კიდევ ერთხელ
მადლიერების გრძნობით აღმნიშნა, რომ მეორე და მე-
სამე პლანის მსახიობებიც იმდენად შთაბეჭდავნი არიან,
დღესან დაამსხვორებმა მაყურებელს. ეს იმაზე მტკე-
ველებს, რომ თეატრის მთელი დასი საინტერესოა, ერ-
თხელ კიდევ დასტურდება ვახტანგოვის დებულება, რომ
თეატრი კოლექტორი ავტორია.

თქვენი გასტროლების დღეებში თეატრების სამმარ-
თველოს თანამშრომლებს, შეიძლება ითქვას, მოსვენება
არა გვქონდა — იმდენი მოზოგენელი გყავდა, ყველას
უნდოდა თქვენს თეატრის მთელი დასი საინტერესოა.
გავგიჟიდა „მოიერიშეების“ მოგერიება, მაგრამ დიდი
სიხარული განვიცადეთ იმით, რომ მოსკოველებს თქვენი
სპექტაკლებით ამდენი სიამოვნება განაცდიდნენ.

გისურვებთ შემდგომ შემოქმედებით წიხსელას, ახალ
წარმატებებსა და გამარჯვებებს.

მე ძლიან მძიმე დღეში ვარ, რადგან მიხდება საუბარი
პრობლემებზე, რომლებიც თეატრალურ ხელოვნებაში
ყველაზე ნაკლებადაა შექმნილი — ესაა მხატვრობა

ეს ხელოვნება ყველაზე უფრო მკვერმეტყველურად მოწმობს, რომ რუსთაველის სახელობის თეატრის გამოჩენილი ფუძემდებლები და დიდოსტატები, სულ ცოტა ხნის წინათ რომ ამშვენებდნენ მის სცენას, ამაოდ არ დამწვრდნენ. მათი საუკეთესო ტრადიციები ორგანულად შეითვისა შუათანა (ახლა უკვე უფროსმა!) თაობამ. თეატრმა ძალღონით აღსავსე და პროფესიულად დაოსტატებული ახალგაზრდა კვლავ აღზარდა. თეატრის რეპერტუარი სერიოზული და მნიშვნელოვანია. იგი კოლექტივის დაძაბულ შემოქმედებით ძივებს მოწმობს. ყოველივე ეს რუსთაველის სახელობის თეატრის შემდგომ წარმატებათა საწინდარია.

„პრადა“, 2 აპრილი, 1976 წ.



თეატრში. დღეს მე ვისაუბრებ რუსთაველის თეატრის მხატვრობასა და მის მხატვრებზე.

ახლა, როცა ვიხილავთ შესანიშნავი თეატრის კოლექტივის გასტროლებს, პირველი სიტყვები, რომელთა წარმოთქმაც მინდა, მაღლობის სიტყვებია. გმადლობთ იმ უზარმაზარი სიხარულისათვის, რომელიც მოგვანიჭეთ თქვენი სპექტაკლებით. რა სასიხარულო ფაქტია, რომ თქვენმა სპექტაკლებმა კემწარბიტი შემოქმედებითი ტვობა განგაცდევინა. ბუნებრივია, სხვადასხვა სპექტაკლზე სხვადასხვანაირი იყო ჩვენი ვაცდებები, ზოგჯერ განსაცვიფრებელ და სუნთქვისშემკვრელ რასმე ვხედავდით, — ამ შემთხვევაში ვასაოცარი კოლექტივის საერთო სახეზეა საუბარი. ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ გვეყურია და არსებითადაა საჭირო საუბარი ამ კოლექტივის ცალკეულ წევრთა დიდ ნიჭიერებაზეც, მთლიანად კოლექტივზე, მის თვალსაჩინო ოსტატობაზე.

აქ უკვე ითქვა, და, ალბათ, კვლავაც იქნება საუბარი თეატრის ქმნილებების კემწარბიტი ეროვნულობაზე, ღრმა გაგებით ეთნოგრაფიულობაზე, შემოქმედებაზე, რომელიც ნამდვილად ზოგადკაცობრიული, მსოფლიო მოვლენაა, დიხა, მსოფლიო, — არ მეშინია ამ სიტყვისა, — რადგან მე სწორედ მსოფლიო კლასის ხელოვნება ვნახე.

კიდევ, აი, რისი თქმა მინდა: ესაა განსაცვიფრებელი უნარი იმისა, რომ თეატრის ნამუშევრებში ერთმანეთს ორგანულად შეეკისოვა ყველაზე განსხვავებული, თითქოსდა შეუხამებელი ელემენტები. სხვაგან და სხვა დროს თითქოსდა ერთმანეთს შეუთავსებელი ეს ელემენტები აქ ორგანულად შეერწყა ერთმანეთს, — თითქოსდა ასეც იგულისხმებოდა, ასეც უნდა ყოფილიყო და სხვაგვარად ვერ წარმოიდგინებოდა.

კიდევ, ვიტყვი: ჩვენ, თითქოს, დავივიწყეთ მშვენიერი სიტყვა — ელვანტურობა. როცა აქ სპექტაკლებს ვუყურებდით, მასხენდებოდა გობოედოვი: «вкус, батюшка, отменные манеры». და, მართლაც, ყოველ სპექტაკლში საუკეთესო მანერები, დახვეწილი თავდაპირა იგრძნობა.

ჩვენ შეეჩვიეთ მოკლე, ორმოქმედებამ სპექტაკლებს. მაგრამ ვსხედვართ ოთხსაათიან „კავკასიური ცარცის წრეზე“ და უტყბ გულსიტყვილით ვამჩნევთ, რომ მთავრდება, დათავრებული იგი! ეს არანაყველებრივი, ნატრფი გემოვნების შედეგი გახლავთ.

* * *

ნუცა ჩხეიძე გინახავთ სცენაზე? არა? მაშ თქვენ მოკლებული ხართ უდიდეს ტკობას, გამოწვეულს მსახიობის თამაშსაგან, მაშ თქვენ არ გინახავთ ვერძოლი განწყობის მსახიობი, მაშ თქვენ არ გინახავთ ნამდვილი, გულიანი თამაში სცენაზე, მსახიობის ღრმა გარდასახვა, როცა იგი სცენაზე ხარჯავს თავისი არსების დიდ ნაწილს. გინახავთ ნუცა ჩხეიძე, „იმედის დაღუპვაში“? გინახავთ მისი ზეინანი? გინახავთ მისი კრწინინა? გასოფო, დღღა, რომელმაც შვილი ძალით გაისტუმრა ზღვაზე თევზის საჭურად და ქართული ატყა. გასტუმრა ქარიშხლის ღმერთი და დღღა, რომელმაც შვილი ძალით გაავად ზღვაზე? როგორ იწვლიდა დღღა, როგორ პატარავდებოდა ქარიშხლის გაძლიერებისა და სასოწარკვეთის, გაფითრებულს ტუჩები რომ უთრთოდა, მხრებში რომ ჩაკარგულიყო და მთელი არსებით ელოდა მოსალოტებულ და გარდაუვალ საშინელებას. გასოფო, ენაჩაყარდნილი, ხელსაც რომ ვერ სძრავდა და უხმოდ, გამშრალი, დაფუჭული რომ იდგა სცენის შეუაღულში მარტოდ მარტო, გაფითრებულ სტეკიასთან შეჭიკრული, ოღონდ უმოძრაოდ, მთელი თავისი განწირული, მშობლიური არსებობით... რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს სცენა? მგინია, ძლიერ დიდხანს. ქარიშხალი კი ეკლუმებს აწყდებოდა...

„ვისაც ჩვენი ქვეყანა უყვარს, მისთვის გული შესტკივა, მისთვის ზრუნავს და ფიქრობს, მეც მისი უღრმესი პატივის მცემელი ვარ. პატივისცემით ნინო ჩხეიძე“.

ნინო-ნუცა ჩხეიძე ყოფილთვის მორბამლებული იყო. ერთხელ ვისოფო, გამოეთქვა თავისი აზრი ორ მარგარიტა გოტიეზე — თავისი შესრულებით და ვერცო ანჯაფარძის მარგარიტაზე. თქვენ როგორ გაიარებთ და ახლა როგორია-მეტქა გრე დავითიანზე.

ზეინანის როლის შესრულების შემდეგ, თავის საიუბილეო საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი, კლასებში სავარძლზე მიხედვებულიყო და ძალას იკრებდა, როგორც ფსუზე წამომდგარიყო. ღონეგამოცლები, გაფითრებული, იკრებდა ძალას დიდი, ძლიერ დიდი ჩვენი თანამედროვე მსახიობი...

* * *

როგორც იქნა, გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ოქსში, გიორგი და დავით ერისთავების სახლში მოწყობილიყო მეგობარი-



პრინცაოს სატყვეები
საჩხეროდან.

ლითონის იარაღ-სამკაული მოხდენილი და თავისებური ფორმებით ხასიათდება, რაც უთუოდ ადგილობრივი მეტალურგების დიდ ოსტატობასა და დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს; მხატვრული მელთიონობა ამ დროს უკვე პირველ ნაბიჯებს დგამს. მართალია, ამ პერიოდის ნაკეთობანი არცთუ ისე ბევრია ცნობილი, მაგრამ ისინი ცხადყოფს, რომ ლითონის მხატვრულ დამამუშავებს საკმაოდ მაღალი დონისათვის მიუღწევია. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს საჩხერაში (სადაც მტკვარ-არაქის კულტურის ხანაში მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი უნდა არსებულებოდა) აღმოჩენილი ლითონისტარიანი ორი სატყვეარი. ორივე სატყვერის სახელური რელიეფური ორნამენტითაა შემკული. ერთ-ერთ მათგანს ბრტყელი ტარი აქვს, რომელსაც მიუღლივრებუ პირიზონტალურად განლაგებული ტაღლისებრი რელიეფური ხაზები გაუყვება. უფრო რთულია მეორე სატყვერის მრგვალი ტარის შემკულობა. მასზე ვერტიკალურად განლაგებულია კარგად შესრულებული წრული ორნამენტი. ვადა შემანიშნავად გამოყვანილი სპირალურით აქვს შემკული. ეს სახელური, ჩანს, ცვილის მოდელის დაკრევის წესით უნდა იყოს ჩამოსხმული. იგივე წესითაა დამზადებული აფხაზეთის ერთ-ერთ ადრეულ დოღმენში აღმოჩენილი ორი კავი, საკმაოდ რთული ორნამენტით შემკული მასირი.

როგორც ჩანს, ამ პერიოდში ლითონის სამკაულის შესამოხად სხვა ტექნიკასაც იყენებდნენ. ქვატყელების ერთ-ერთ საზარხში აღმოჩნდა სპილენძის თხელფორფიტოვანი დიადემა, რომელსაც ზურგიდან ამოყვანილი ღვინისებრი შემწილი სახეები ამკობს: ასტრალური ნიშნები, ფრინველები (წერო) და ირმის გამოსახულებები ორნამენტი მარტივი ტექნიკითაა შესრულებული, მაგრამ ჩანს იმ ტექნიკური ჩვენების პირველი ცდები, რომელსაც შემდგომში საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ მხატვრული მელთიონობაში.

მხატვრულ ხელოსნობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძვირფასი ლითონი. რა თქმა უნდა, ოქრომჭედლობის განვითარება მელთიონების დაწინაურებაზე განაპირობა. ოქროს და ვერცხლის ნივთები ჩვენში პირველად მტკვარ-არაქისის კულტურის გვიანდელ საფეხურზე გაჩნდა, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში. ნიშნად მოიხსენიება, რომ უადრესი ნივთები წარუბრედ საჩხერის ძეგლებზე აღმოჩნდა. აქ ნაპოვნი იყო მარტივი ტექნიკით დამზადებული ოქროს მათულის ორი რგოლი, ერთი მათგანი შედარებით მოზარდი სპირალს წარმოადგენდა, მეორე კი უზრავლო რგოლს.

ოქრომჭედლობის აღმავლობა საქართველოში, და საერთოდ კავკასიაში, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან შეინიშნება. ამის ერთ-ერთი პირობა წინა აზხასთან მჭიდრო ეთნო-კულტურული კონტაქტები უნდა ყოფილიყო. ოქროსა და ვერცხლის ნივთები ნაპოვნი იყო თრიალეთის

ადრეულ ყორღანებში. ერთ-ერთ ყორღანში იგი მოჩნდა თხელი, თანაზომიერი სივრთის ოქროს ფირფიტის სამი რგოლი. მართალია, ეს რგოლები სადაა და მათ არავითარი დამატებითი დამუშავების კვალი არ ატყვიათ, მაგრამ მათი დამზადების ტექნოლოგია საკმაოდ მაღალი ყოფილა. თრიალეთის IV ყორღანში ნაპოვნი იყო მარტივი ტექნიკით დამუშავებული ვერცხლის ნაწევარსპირალური, მასიური ხვია. ადრეული ჯაგუის ყორღანებში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის ნივთებიდან უნდა აღინიშნოს ოქროს ორფოლუტიანი საკინძი. მისი თავი ბრტყელია და ამობურცული, იგი წურტილების ორი მწვერვითაა შემკული. მსგავსი საკინძი, ოღონდ რამდენადმე უფრო მასიური, ნაპოვნი იყო თეთრ წყაროში, ზღვრზე გათხრულ ერთ-ერთ ყორღანში. ანალოგიური ფორმის ვერცხლის საკინძი, სულ ახლახან აღმოჩნდა კახეთში, წნორთან გათხრულ ყორღანში. ეს საკინძები თავისი ფორმით მოვეგებებენ მტკვარ-არაქის კულტურისათვის დამახასიათებელ საკინძებს საკინძებს. როგორც ცნობილია, საკინძები, რომლებსაც ორფოლუტიანი თავი აქონდა, საერთოდ ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ მტკვარ-არაქისის კულტურისათვის დამახასიათებელი სპილენძის საკინძები ბრტყელი, ბოლოებდახვეული თავით ორიფოლუტიანი, განსხვავებული ფორმისაა და, ჩანს, რომ იგი ადგილობრივ ჩამოყალიბებული ტიპი უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წნორის ყორღანში ნაპოვნი ლომის ოქროს ქანდაკება. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენში, და საერთოდ ამიერკავკასიაში, ამ პერიოდის სკულპტურული გამოსახულება აღმოჩნდა. ფაფარი მას რელიეფური ზოლებითაა და ბრტყელობით აქვს გამოყვანილი. ვერ ვიტყვით, თითქოს ეს ქანდაკე კარგად გადმოსცემდეს ლომის რეალურ გამოსახულებას. იგი განსხვავდება ძველი აღმოსავლეთის ამ პერიოდის ნამუშევართაგან (აქ იგი საკმაოდ რეალისტრადაა გადმოცემული). საგრძობი სხვაობაა აგრეთვე მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილ, ოქროს ფირფიტაზე გამოკვეთილ ლომის ფიგურებსა და ვერცხლის მუჭულზე ლომის გამოსახულებას შორის. მაიკოპთან დაკავშირებით არაერთგზის აღინიშნა, რომ ლომი კავკასიური ფაუნისათვის დამახასიათებელი ცხოველი არ იყო. წნორის ყორღანში ნაპოვნი ლომის ქანდაკება, რომლიც შესრულების ტექნიკა საკმაოდ მაღალია, ვერ გადმოსცემს ამ ცხოველის დამახასიათებელ ნიშნებს, მის სიძლიერეს. ამიტომ არ არის გამართლებული ვიფიქროთ, რომ ეს ქანდაკება ადგილობრივი ოსტატის მიერ იყო გამოკვეთილი.

ამრიგად, ათავჯლორი ხელოვნებას ჩვენში საუფუძველი ჩეუვადა ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში, მტკვარ-არაქისის კულტურის გვიანდელ საფეხურზე. მართალია, ამ პერიოდის ნაწარმი ჯერ კიდევ იმფათად გვხვდება, მაგრამ III ათასწლეულის მეორე ნახევარში საიუველირო





საქმის თანდათანობითი აღმავლობა შეინიშნება, ჩანს, კავკასიაში ამ დროისათვის ეს საერთო მიუღწეა იყო. როგორც ცნობილია, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მაიკოპის კულტურის შესანიშნავი ოქრომჭედური ნიმუშები აღმოჩნდა (მაიკოპის და ნოვოსვობოდნაის ყორღანები, სტარომიშასტოვსკოვეს განძი და სხვ.). ეს ძვირფასი ნივთები, მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე, იმთავითვე ძველ აღმოსავლეთს დაუკავშირეს, ზოგამ — შუმერულსა და ელამს, ზოგამც ხეთურსა და ეგვიპტურ სამყაროს. კავკასიურ მასალაში საიუველირო საქმის არავითარი წინამორბედი საფუძვრი არ შეინიშნება, თუმცა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, შესანიშნავ საიუველირო ხელოვნებას წინა აზიამაც სათანადო წინამძღვრები არ გააჩნია. მაგრამ კავკასიის ოქრომჭედლობის ადრეულ ნაწარმზე ნათლად შეინიშნება სამხრეთიდან მომდინარე საიუველირო ხელოვნების გავლენა. მაიკოპის სკულპტურულ გამოსახულებებს, სამკაულს, ძვირფასი ლითონის ჭურჭელსა და სხვ. გარკვეული ანალიზები მოჰყოფება ძველ აღმოსავლურ ხელოვნებაში (ური, ტრ.თა, ალაჯა-ჰუიუკი და სხვ.) ეს კონტაქტები ასლო აღმოსავლეთთან ძირითადად ამიერკავკასიის გზით ხორციელდებოდა და, როგორც ჩანს, ჩვენში საიუველირო საქმის აღმავლობას ბიძგი ამ ურთიერთობამ მისცა.


მხატვრული ხელოვნობის აყვავების პერიოდში ჩვენში მტკვარ-არაქსის კულტურის მომდევნო, შუაპრინჯაოს ხანაში იწყება. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის საქართველოში მოსახლე მიწათმოქმედი საზოგადოება გარკვეულ კრიზისს განიცდიდა. თანდათანობით იცვლება მეურნეობის ხასიათი, იზრდება მესაქონლეობის, გან-

საკუთრებით მეცხვარეობის როლი; ძველ აღმოსავლურ მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი მასობრივი ადგილები მიტოვებული იქნა: ბარში მოსახლეობა თანდათანობით თხელდება, ხდება უფრო ინტენსიური ათვისება მიწისა და მისი ზოლისა. ეცემა მტკვარ-არაქსის კულტურა და მის ნაცვლად აღმოსავლეთ საქართველოში და მის მიმდებარე ოლქებში ასალი, თრიალეთის კულტურა ვრცელდება. ამ კულტურის არსებობის ხანში, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში, ვითარდება მეტალურგია, ხელოსნობის სხვადასხვა დარგები, განსაკუთრებით ოქრომჭედლობა, შემოდის დაკრძალვის ასალი, რთული და თავისებური წესი და სხვა. ადგილობრივი, ძველი ტრადიციების განვითარებამ და ძველ-აღმოსავლურ სამყაროსთან ეთნოკულტურულმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო თრიალეთის კულტურის მატარებელ ტომთა დაწინაურებას. ეს კულტურა სამკაოდ და ტერიტორიის მოიცავდა — მიუღწეა აღმოსავლეთ საქართველოს მიმდებარე ოლქებითურთ, მისი გავლენა, ჩანს, არარატის ველზე ვრცელდება და სამხრეთით ყარსის მხარემდე აღწევს.

სადღესოდ, თრიალეთის კულტურიდან ძირითადად სამარხებია ცნობილი, ნამოსახლარი ადგილები ჯერჯერობით თითქმის არ არის მივსვლული. განსაკუთრებით აღსანიშნავია თრიალეთის მალაშმითან ზოლში, წალკისა და გომარეთის პლატოებზე, მესხეთის მდინარეული ყორღანები. ეს ყორღანები იდგი ზომისაა; ზოგი ქვაყრილიანი „დასაკრძალავი დარბაზით“, ზოგიც მიწაყრილიანი, დრმა სამარხი ორმოთი. მესხეთის ყორღანებში, ცენტრალურ ნაწილში, მოზრდილი ქვებისაგან ნაგები დასაკრძალავი კამერა იყო მოთავსებული. ზოგჯერ მიცვალებულს ხის ოთხთავა ეტლთან ერთად ასაფლავებდნენ. საერთოდ, თრიალეთის ყორღანების დასაფლავების წესი მოგვაგონებს წინა აზიაში გავრცელებულ დაკრძალვის რიტუალს.

აღსანიშნავია თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ხის ოთხთავა ეტლი. ამ ეტლის მთავარი ხელნის ორივე წინა ნაწილი მთავრდება ხარის თავის გამოსახულებით. მკვეთრადაა გამოსახული მისი პირი, ცხვირი და ტუჩები. თვალის ადგილას ოვალური ნახვრეტია. ცხოველის თავი თითქმის წინ წაწვდილია და დაძაბული. იგი ნატურალისტურადაა გადმოცემული, თუმცა გარკვეული ნიშნები სტილიზაციისა კარგად შეინიშნება. სტილის მიხედვით, იგი თითქმის უკავშირდება თრიალეთის ვერცხლის სარწყულზე და სასმისზე მოცემულ გამოსახულებებს. ხელნას ბოლოები მთავრდება რელიეფურად გამოიყვანილი ვოლუტისებრი სპირალით. ეს მოტივი კარგადაა ცნობილი თრიალეთის შუაპრინჯაოს ხანის მასალებში (ოქროს სასმისი, თიხის ჭურჭელი და სხვ.). ჩანს, რომ ამ პერიოდში ხის მხატვრული

ოქროს საყინი თრიალეთის IV ყორღანიდან. ხარის თავის გამოსახულება ხის ოთხთავა ეტლის მთავარ ხელნაზე.





შავკრიალა თიხის ჭურჭელი თრიალეთის ყორღანებიდან.

მოხატული თიხის ჭურჭელი თრიალეთიდან.

შავკრიალა თიხის ჭურჭელი თრიალეთის ყორღანებიდან.

დამუშავების ტექნიკა საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა.

თრიალეთის ამ დიდი, მდიდრულ ყორღანებში აღმოჩნდა სწორედ მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშები. საერთო აღმავლობამ ტექნიკისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგში, განაპირობა უფრო სრულყოფილი და მაღალხარისხისოვანი პროდუქციის მიღება; ჩარჩის გამოყენება, თიხის უკეთ დამზადება, უფრო კვალიფიცირებული ხელოსნების მომრავლება და სხვ. დაწინაურდა კერამიკული წარმოება, თიხის ჭურჭელი უფრო სრულყოფილია და მრავალგვარი. მართალია, თრიალეთური კერამიკა ისევ შავკრიალაა, ზოგჯერ გარდისფერი სარჩულით, რაც ძველი ტრადიციებიდან უნდა მიმდინარეობდეს, მაგრამ ჭურჭლის ფორმა, მისი ორნამენტი და საერთოდ ხარისხი საგრძნობლად განსხვავებულია. თრიალეთის ყორღანებში თიხის ჭურჭლის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა მოზრდილი, მოხდენილი ყელმადალი დერეგები, შავკრიალა ზედაპირით. ეს ჭურჭელი, უპირატესად, შემკულია ფაქონი წერტილოვანი ორნამენტით გამოყვანილი გეომეტრიული სახეებით (სამკუთხედები, რომბები, ჯვარი, სვასტიკა და სხვ.). გვხვდება აგრეთვე წვრილად ნაკაწრი ორნამენტი (ურთიერთმკვეთი ხაზები, ბადეები, სამკუთხედები და სხვ.) მხოლოდ ერთ შავკრიალა ჭურჭელზე აღმოჩნდა წერტილებით გამოყვანილი ცხოველის გამოსახულება. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება რელიეფური ორნამენტი.

თითქმის ყველა დიდი მდიდრულ ყორღანში შავკრიალა კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ორატობის მოხატული ჭურჭელი: ერთი — წითელი,

შავი საღებავით მოხატული, მეორე კი — ღია, მოთეთრო-მოყვითალო ზედაპირით, მუქი საღებავით შემკული. წითელ ფონზე, შავი საღებავით მოხატულ ჭურჭელზე, უპირატესად გვხვდება ვერტიკალურად ან პორიზონტალურად განლაგებული, ტალღოვანი ხაზებით ამოკეხული შვერონები, ფართო ლენტები და სხვ. ცხოველური ორნამენტი ამ კერამიკაზე იშვიათია, უპირატესად ფრინველის გამოსახულებაა. წითელი, შავად მოხატული კერამიკა კარგადაა ცნობილი ამ პერიოდის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

კერამიკის ეს ტიპი ადგილობრივ უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ, ამავე დროს, გარეგან იმპულსებსაც უნდა ჰქონოდა გარკვეული როლი. ამის შედეგი უნდა იყოს, ალბათ, ამ კერამიკაზე ზოგიერთი ორნამენტული ელემენტის გამოჩენა, რაც წინა აზიის სხვადასხვა კულტურისათვის იყო დამახასიათებელი.

მეორე ჯგუფის კერამიკა ღია, მოყვითალო ზედაპირით, მუქი საღებავით მოხატულ, თრიალეთის მდიდრულ ყორღანებს გარდა სხვაგან ჯერჯერობით ცნობილი არ არის. აქაც გვხვდება ტალღოვანი ხაზის მოტივი, სამკუთხედები, რომბები, კონცენტრული წირები, უწყვეტი სპირალები, ჰაღრაკული მოტივი და სხვ. აღსანიშნავია ერთი მოზრდილი ჭურჭელი (ყორღანი XVII), რომელსაც ზედა ნაწილში თავშემკვეთი განლაგებული მოზრდილი სპირალები ამკობს. თრიალეთის ამ კერამიკის შესახებ, ძირითადად, ორნამენტის საფუძველზე, აღინიშნა, რომ მას წინააზიური პარალელი მოეძებნება. მართლაც, უპირატესად ორნამენტის ხასიათის ნხრევ, მას მოეძებნება გარკვეული ანალოგები წინააზიურ მასალაში და ეს ძვე-

ბრინჯაოს შუბისპირა მესხეთიდან





ლაღმისავლურ სამყაროსთან ამ პერიოდში არსებული ახლო კონტაქტების შედეგი უნდა იყოს მაგრამ როგორც ტურქულის ფორმა, რომელიც თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელ მოუხატავ კერამიკას უახლოვდება, ისე დეკორი, სადაც, სამხრეთული გავლენის მიუხედავად, ამჟამად შეინიშნება გარკვეული თავისებურება, რაც მათ ადგილობრივ წარმომავლობას უნდა მიუთითებდეს; თუმცა, როგორც ჩანს, ამ შესანიშნავება, პარადელმა კერამიკა თრიალეთის კულტურაში ფეხი მაინცდამაინც ვერ მოიკიდა.

მართალია, თრიალეთის დიდ მდიდრულ ყორღანებში ლითონის იარაღი შედარებით იშვიათია, მაგრამ მათი დახვეწილი ფორმა, დამზადების ტექნიკა უთუოდ მელითონების მაღალ დონეზე შეტყვევებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ყორღანებში აღმოჩენილი შუბის პირები, რომლებიც მოხდენილი ფორმით გამოირჩევიან. ერთ მათგანს მასარის ბოლოზე ოქროს სალტე აქვს, დანარჩენ ორს კი ვერცხლისა. თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში ვერცხლის კოხტა სატყვეარი აღმოჩნდა. მოხდენილი ფორმებით გამოირჩევა აგრეთვე თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს სხვა იარაღიც: სატყვერის პირები, საძებრებელი მასვილი და განსაკუთრებით კი თავისებური ფორმის, შედარებით მოზრდილი ცულები. ამათგან აღსანიშნავია თბილისის ტერიტორიაზე (დრმაღლებში) აღმოჩენილი ერთი ცული, რომელსაც ყუხაზე აქეთ-იქით სამ-სამი რელიეფური რგოლი ახსი.

მაგრამ განსაკუთრებულ განვითარებას თრიალეთის კულტურის ხანაში ოქრომჭედლობა აღწევს. ხელოსნობის ეს დარგი, რომელსაც მაინც და მაინც დიდი წინამძღვრები არ გაჩანია, ამ დროს არაჩვეულებრივ აყვავებას განიცდის. რთული და ფაქიზი, შესანიშნავი მხატვრული ხელოვნებით შესრულებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები უკვე ხელოსანთა მაღალ ოსტატობას მოწმობს. სწორედ ამ ოსტატებმა ჩაუყარეს საფუძველი ქართულ ოქრომჭედლობას, რომელმაც შემდეგში, წინაფეოდალური ხანის მთელ მანძილზე შეინარჩუნა დამოუკიდებელი ხასი. თანდათანობით ყალიბდება საიუველირო ხელოვნების თავისებური მხატვრული სტილი. ინკრუსტაციის და გრანულაციის გამოყენება, პუნსონი, ფილიგრანი და სხვა ზოგიერთი ხერხი ის ნიშნავს, რომელიც ქართულ უძველეს ოქრომჭედლობას თავისებურ

სახეს აძლევს. მხატვრული ხელოსნობის დაწინაურება, რა თქმა უნდა, შედეგი იყო გვაროვნული საზოგადოების მიერ მიმდინარე რღვევის პირინცისა, რომელიც ამ დროისათვის უკვე საკმაოდ შორს იყო წასული. გვარში ახალი, ენობრივად უფრო ძლიერი არისტოკრატიული ფენის წარმოქმნა, მათი გავრდილი მოთხოვნილება და დანეწილი გემოვნება განსაზღვრავდა ძირითადად ოქრომჭედლური ხელოვნების განვითარებას.

ოქროსა და ვერცხლის ნაწარმი გამოირჩევა მრავალფეროვნებით, სირთულით, მხატვრული დამუშავების ტექნიკის მაღალი დონით.

ოსტატი ახალი პლასტიკური ფორმების ძიებაშია, მაგრამ მთავარ ყურადღებას მაინც გარეწულ შემკულობას აქცევს. იგი ამუშავებს რთულ ორნამენტულ სახეებს, ფართოდ იყენებს ფერად ინკრუსტაციას, გრანულაციას, პუნსონურ ტექნიკას, რელიეფურ სახეებს და სხვ. ამის საფუძველზე ყალიბდება ახალი, თავისებური, ფერადიანი დეკორატიული მხატვრული სტილი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ტექნიკური ხერხი ძვირფასი ლითონის უფრო ადრეულ ნაწარმზე ჩანს (ოქროს ორგოლტიან საკინძებზე, საჩანაგეტის ოქროს მილაკზე და სხვ.). შედარებით მარტივი ტექნიკითაა დამუშავებული თრიალეთის მდიდრულ ყორღანში აღმოჩენილი, ოქროს თხელი ფორტიცისაგან ნაკეთები ბირთვისებრი მძივები, სხვადასხვა გარსარავები, მილაკები და სხვ. მაგრამ, ამგვ დროს, გვხვდება სხვადასხვა სახის, რთული ტექნიკური ხერხებით დამზადებული ნაწარმი. როგორც ირეკვა, საიუველური საქმეში უკვე ფართოდ გამოიყენებოდა „ოქროს კვეთის“ პროპორციის პრინციპი.


დამუშავების სირთულითა და მხატვრული საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ოქროს სასმისი. იგი დამზადებულია ოქროს მთლიანი ფურცლისაგან, სახარაო ჩარხზე, მას ორმაგი კედლი აქვს, რომელიც თანდათობით ვიწროვდება და დაბალ, აქურულ ქუსლში გადადის. გარეთა კედელი შეკეთულია წვრილი, გრუხილი მავთულისაგან მავთულები სპირალებით, რომლებიც ჩასმულია სერდოლიკის, ლავარდის და კერამიკული მასის მრგვალი თვლები. ოქროს ფონზე ფერადი ქვეებით ინკრუსტირებული სასმისი მდიდრულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთივე რთული ტექნიკაა გამოყენებული საკინძების ოქროს თავებისა და მსხვილი ბირთვისებრი მძივების დასამზადებლად. ოქროს მრგვალი მედალიონები შემკულია ზემოდან დადებული რელიეფური სპირალებითა და კოლები მავთულით. მეტად მდიდრულ შთაბეჭდილებას ტოვებს თრიალეთის VIII ყორღანში ნაპოვნი აქატის კულონი. მარღვიანი აქატი, მეტად ფაქიზად დამუშავებული, ჩასმულია ოქროს ფორტიცის ბუღში, რომელიც სერდოლიკის თვლებითაა შემკული. ჯერ კიდევ ადრე აღინი-

ცული თბილისიდან.



შნა თრიალეთის კულონის გარკვეულ სიახლოვე მესობოტამიაში, ურუკში ნაპოვნ კულონთან. მართალია, ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო დიდი ზომისაა და მოყვანილობითაც განსხვავებულია, მაგრამ ტექნიკურად მათ შორის მაინც ბევრი საერთო შეინიშნება; ურუკის კულონიც გარედან შემკულ ოქროს ბუდეშია ჩასმული. აღსანიშნავია აგრეთვე თრიალეთის ყორღანებში ნაპოვნი ხის პატარა ყუთები, შემკული ოქროს ტიხრებში ჩასმული სერდოლიკისა და მოთეთრო ფერის

ფირფიტა, პუნსონით შემკული. ნაპოვნი აგრეთვე ოქროს და ვერცხლის კოხტა სასმისები. მაგრამ თრიალეთის ყორღანებში ნაპოვნი ძვირფასი ლითონის ჭურჭლიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი ვერცხლის ჭურჭელი: სარწყული და სასმისი. სარწყული ვერცხლის ფურცლისგანაა შეკრული, რომელსაც ძირზე და პირზე ოქროს საღებავები დაუყვება. პთელ კორპუსზე გამოსახულია ნადირობის რიტუალური სცენა. ცხოველები და მცენარეები დაბალი რელიეფითაა




ქვის სხვადასხვა ფორმის თვლებით. ინკრუსტაციის ტექნიკა თრიალეთში საკმაოდ მაღლა იდგა. ამით ეს ნაკეთობანი მესობოტამიურ ნაწარმს მოგვაგონებს, სადაც ინკრუსტაციით შემკობის წესი ფართოდ იყო გავრცელებული. გვხვდება აგრეთვე დაბალი რელიეფით ამოყვანილი გეომეტრიული ორნამენტით შემკული ფირფიტები, შტანდარტები და სხვ.; ამგვარივე ტექნიკითაა შემკული კონუსური მოყვანილობის შტანდარტი ლომის გამოსახულებით. აღსანიშნავია ოქროს ფირფიტისაგან ნაკეთები ცხოველის, ირმის მსგავსა ფიგურა. ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ვერცხლის მრგვალი

ამოყვანილი. კიდევ უფრო საინტერესოა და მნიშვნელოვანი სასმისი, რომელიც აგრეთვე ვერცხლის მთლიანი ფირფიტისგანაა ნაკეთები. მას ცილინდრული მოყვანილობა აქვს. შემალგებული ფეხით. ჭურჭლის ტანზე ორ რიგად, დაბალი რელიეფით გამოყვანილი რთული კომპოზიციისაა მოცემული. ქვედა ფრისზე ერთმანეთის კვალდაკვალ გამოსახულია ირმების ერთი რიგი. ზედაზე კი რთული რიტუალური სცენა. ერთმანეთის მიყოლებით დგას ადამიანის ოცდაორი ფიგურა, რომლებიც ჩამკლულია და სახის ნაკვთებით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყველა მათ-

განს ხელში უჭირავს მაღალი სასმისი. ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია სკამზე მჯდომარე ასეთივე ფიგურა, რომლის წინ მაღალი, სამფეხა საკურთხეველი დგას. უკან მოცემულია სიცოცხლის ხის გამოსახულება. საინტერესოა ამ ფიგურების ჩაცმულობა. მათი სამოსი, მართლაც, გარკვეულ მსგავსებას ამფლანებს ძველდომოსავლურ, ასურულსა და ხეთურ ტანსაცმელთან, მაგრამ, ამავე დროს, რიგი თავისებური ნიშნებიც ახასიათებს. თასზე აღბეჭდილი გამოსახულების შინაა-

ბენ. ზოგი, პირიქით, მაიკოსა და თრიალეთის შორის კავშირს ვერ ნახულობს და ცალკე „კავკასიური“ სტილის გამოყოფის საფუძველს ვერ ხედავს. ვფიქრობთ, რომ ჯერჯერობით მაინც გაჭირდება მაიკოსისა და თრიალეთის ერთმანეთთან დაკავშირება და აქ საერთო სტილის არსებობის დამტკიცება.

ოქრომჭედლური ხელოვნების განვითარება თრიალეთის კულტურაში, უთუოდ, ძველდომოსავლეთთან, უპირატესად, შუმერებთან ახლო ურთი-



ვერცხლის სასმისი თრიალეთიდან.

ოქროს მძივები და კულონი თრიალეთიდან.

ცხოველის ოქროს ჭანდაცემა თრიალეთიდან.

ოქროს თასი თრიალეთიდან.



რისი შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგი მასში ხედავს რელიგიური ხასიათის რიტუალს, დაკავშირებულს ნაყოფიერების ღვთაების კულტთან, ზოგიც ფიქრობს, რომ თასზე გამოსახულია მთავარი სატომო ღვთაების წინაშე შეკრებილი სათემო ღვთაებები და სხვ.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თრიალეთის ვერცხლის სარწყულსა და სასმისზე მოცემული გამოსახულებები მაიკოსის კულტურისათვის დამახასიათებელ, ცხოველთა გამოხატვის მხატვრული სტილის განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს და ცალკე ცხოველთა გადმოცემის „კავკასიური“ სტილის არსებობას ვარაუდო-

ერთობამ განაპირობა, მაგრამ საიველირო საქმე აქ შემდეგში ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აღის და თავისებურ სახესაც ღებულობს. სწორედ აქ იღებს დასაბამს ქართული ოქრომჭედლობა. ახლამწვლია დროის ამ დიდ მანძილზე თვალი გავადევნოთ მისი განვითარების საფეხურებს, მით უმეტეს, რომ თრიალეთის მომდევნო პერიოდში გვიან-ბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვირფასი ლითონის მხატვრული ნაწარმი ნაკლებად გვხვდება. ოქრომჭედლობის ხელახალი აყვავება იწყება ანტიკურ ხანაში, რომელიც თავისი ფესვებით, ჩანს, თრიალეთის კულტურას უკავშირდება.

ისემ კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ

კარლო ბაკურაძე, გურამ ჭეიშვილი

ამ ბოლო ხანებში, როგორც ცნობილია, დიდად გაიზარდა ფართო საზოგადოების ინტერესი ჩვენი ეროვნული კულტურის ძეგლებისადმი, მათი მოვლის, კონსერვაციისა და აღდგენის საკითხებისადმი. ეს საკითხები მსჯელობის საგნად ხდება სხვადასხვა კრებებსა და კონფერენციებზე. ამის შესახებ დროდადრო წერილებიც ქვეყნდება პერიოდულ პრესაში.

ამგვარი ინტერესი ბუნებრივია: იგი გამოწვეულია, ერთი მხრივ თვით ძეგლთა უაღრესად დიდი მხატვრული და ისტორიული ღირებულებით. მეორე მხრივ, იმით, რომ მათი მოვლა-აღდგენის საქმე ჯერ კიდევ ვერა დგას სავესებით დამაკმაყოფილებელ დონეზე, ბევრი ძეგლი მძიმე დღეშია და სასწრაფო შევლას ითხოვს.

ამიტომ ამ საკითხებზე მსჯელობა საჭირო და სასარგებლოა. აუცილებელია კრიტიკული წერილები, რომლებშიაც მზილებული იქნება ყველა ნაკლი — ეს მხოლოდ სარგებლობას მოგიტანს. მაგრამ, რა თქმა უნდა, კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხთა გაშუქებისას ცალმხრივობა არ უნდა გამოიყონოთ და ის მაინც არ უნდა უგულვებელყოფთ, რაც ამ დარგში კარგი კეთდება: ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიან ამ საქმეს, ბევრი რამ წინაშეგდგომი უკვე გაკეთდა კიდევ და ეს მიღწევებიც ცნობილი უნდა იყოს მკითხველთათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა წარმოდგენილი იყოს ვითარების ობიექტური სურათი.

სამწუხაროდ, პრესაში გამოქვეყნებული ყველა წერილი როდი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას — ზოგი მათგანი მცდარ წარმოდგენას ქმნის რესტავრატორთა მიმომ და თავდადებულ შრომაზე. ვგულისხმობთ თ. ფირალიშვილის წერილს „სამჭიოთა ხელოვნების“ 1975 წლის პირველ ნომერში. უპირველეს ყოვლისა, გაოცებთ ის, რომ ავტორი არსად არ

ასახელებს არც მხატვარ-რესტავრატორსა და ხშირად არც საკონსერვაციო სამუშაოების შესრულების დროსა და ადგილს. იქნება შთაბეჭდილება, რომ ფრესკების კონსერვაცია ხორციელდება სტიქიურად, ერთი-ორი „უცნობი“ რესტავრატორის ნებასურვილით და რომ საქმის კურსში არ არის არც კულტურის სამინისტრო და არც შეენიერებათა აკადემია, კერძოდ კი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი.

ავტორი აკრიტიკებს სარესტავრაციო საქმეს და კუსტარულს უწოდებს მას. „როგორ შეიძლება, — ამბობს ის, — ფრესკათა რესტავრაციის მეცნიერული ნიადაგის შესახებ სერიოზული მსჯელობა, როდესაც არც ერთი ძეგლი რესტავრაციის ჩატარებამდე დაზიანებათა მიზეზის, ხსიათის მიხედვით არ მოწმიდება! არ ხდება დადგენა იმის სრული სურათისა, თუ ამა თუ იმ ძეგლს სად რა სახის დაზიანება გააჩნია“ და ა. შ. (გვ 8).

შეფერება თუ არა ყოველივე ეს სინამდვილეს? შევეცდებით, მოკლედ გავაწინოთ მკითხველს საქმის ვითარება. 1951 წელს საქართველოში დაარსდა სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნო, რომელიც აწარმოებდა ძველი ქართული არქიტექტურისა და ფერწერის საკონსერვაციო სამუშაოებს“. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა იმ დროისათვის უკვე სახელმძღვანელო მხატვარ-რესტავრატორი შ. აბრამიშვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართული ფრესკების დაცვის საქმეს შესწირა. სამხატვრო აკადემიის ფერწერის კურსის დამთავრების შემდეგ ის პროფესიულ ოსტატობას იმაღლებს ჩვენი ქვეყნის (მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის) სარესტავრაციო სახელოსნოებში და იქ მიღებულ გამოცდილებას, შემოქმედებითად, ჩვენს პირობებს უფარდებს. აკად. ი. ჯავახიშვილისა და აკად. ჩ.უბინაშვილის დაჯალბებით ის მოგზაურობს საქართველოს მთასა და ბარში, ავლენს, წმენდს და იკვლევს ისტორიულ პირთა ქტიტორულ პორტრეტებს, იღებს მათ ფერწერულ ასლებს. მაგრამ მისი მთავარი სახ-

რუნჯევი მანძე კვლის მხატვრობის დაცვა-გამაგრებაა. მის მიერაა გაწმენდილი და გამაგრებული გელათის, ატენის, ვარძიის, ნეკრესის, ვინწყვის და მრავალი სხვა ძეგლი, ახლა, როცა მას შემდეგ მრავალმა წელმა გასვლი, ჩვენ სხარეულით ვრწმუნდებით ჩატარებულ საკონსერვაციო სამუშაოების მაღალ პროფესიულ დონეში.

გარდა ამისა, შ. აბრამიშვილის მიერ მოხსნილია დასალეუად განკურნული გველეშის, ბერძუნების, ხობის, ვანის და სხვა გველეშისათა ფრესკების ფრაგმენტები, რომლებიც ახლა საქართველოს მუზეუმებს ამუშვენებს. ყოველივე ამას ის თავის მოწაფეებთან ერთად სწირად შეტად მიიმე პირიბობები აკეთებდა. შ. აბრამიშვილი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა რესტავრატორთა აღზრდას. გარდა პროფესიული ოსტატობის გადაცემისა, იგი დაუცხრომლად უნერგავდა მათ ძეგლებისადმი სიყვარულსა და მოწიფებას.

ბოლო წლებში რესტავრატორთა აღზრდასა და დაოსტატების საქმეს უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეცა. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დაარსდა მონუმენტური და დაზღური ფერწერის რესტავრაციის განყოფილება, რომელიც მალე ახალგაზრდა სპეციალისტებს გამოუშვებს. სახელმწიფო მხატვარ-რესტავრატორთა მუშაობაში მითავითვე დიდ ყურადღებას ექცევა თეორიულ კვლევას, არქივები ლიტერატურულად, გრაფიკულად და ფოტო-მასალებში მოპოვებას.

პრაქტიკულ სამუშაოთა დაწყებამდე ვსწავლობდით კვლის მხატვრობის მდგომარეობას, საყენებოდ შედეგები სემეზზე გადაგვიქნა და დაზიანებები, ფრესკის ავადმყოფობათა სახეობები. დოკუმენტური ფოტოფიქსაცია წარმოება მუშაობის დაწყებამდე, რესტავრაციის პროცესში და დამთავრების შემდეგ. ყოველდღიურ ფრესკების ასლებს, ვიწერდით მოსაზრებებს და სხვ. ამ საქმეში ყოველთვის დიდ დახმარებას ვვიწვევდნართა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერთან-მშრომლები, რომლებიც ჩვენთან ერთად იზიარებდნენ სარესტავრაციო საქმის სინალებსაც. ასე იყო გელათში, მანგლისში, ტბენში, ყარწყვისში. ტიმოთესუნაში კი სამუშაოთა დამთავრებამდე ჩვენთან იყო ხელოვნებათმცოდნე ე. პრივალოვა, რომელმაც რესტავრატორებთან ერთად გამოსცემდა მოამზადებულ კვლევით კვლის მხატვრობის ალბომი.

ასეთმა სისტემატურმა შემოქმედებითმა თანამშრომლობამ ხელი შეუწყო როგორც საკონსერვაციო საქმის, ისე სამეცნიერო ანგარიშების სრულყოფას. სახელდობრ, ტიმოთესუნის სამუშაოები აღწერილია დღიურებში, ვრცელი სამეცნიერო ანგარიში კი აკისრულია სამ წიგნად. ზუსტად აზომილი და გაზომილადია თბილისი მხატვრობის იკონოგრაფიული სქემა 1:25 მასშტაბში.² რესტავრატორთა საკავშირო ყრილობაზე 1973 წელს წავიკითხეთ მოხსენება ტიმოთესუნის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ფრესკების კონსერვაციის შესახებ.³ დროდრო ვაქცევებთ სტატიებს სპეციალურ კრებულებში,⁴ ხოლო ვრცელი მოხსენება ძველი ქართული კვლის მხატვრობის დაცვის პრობლემების შესახებ წავიკითხეთ რესტავრატორთა მსოფლიო კონგრესზე ვენეციაში 1975 წელს.⁵

სარესტავრაციო პროცესების ამ მოკლე აღწერითაც, ვფიქრობთ, ნათელი უნდა გახდეს მკითხველისათვის თუ რამდენად მართებულია ო. ფირალიშვილის განცხადება, რომ „დღემდღე

კონსერვაცია-რესტავრაციის საქმე ხორციელდება ყოველგვარი მცენერული დაკვირვების გარეშე“ (გვ. 8).

ამ რამდენიმე წლის წინათ სახელოწიწი შეიქმნა საკვლევი ლაბორატორია. იგი აერთიანებს ტიპიკოსებს, ფიზიკოსებს, მიკრობიოლოგებს, რომლებიც, სხვა პრობლემებთან ერთად, ინტენსიურად მუშაობენ კვლის მხატვრობის დარეშიც. ამჟამად ისინი ფრესკების პიგმენტთა შემკავებებებს ანალიზებენ თხელფენივანი ქრომატოგრაფიის მეთოდით. მათ მკიდრო მეცნიერული კამპირი აქვთ ცენტრალურ საკვლევ ლაბორატორიებთან. ინფორმაციები ლაბორატორიის კვლევების სამუშაოების შესახებ იბეჭდება სპეციალურ ლიტერატურაში.

აქვე გვინდა დაავიწყებოთ, რომ სანამ ჩვენ სახელმწიფო ლაბორატორია დაარსდებოდა, კვლევა კვლევითი სამუშაოს მოსკოვის ცენტრალურ ლაბორატორიაში ვაწარმოებდით. ვიკვლევდით ფრესკის ფერისკანს, შემკავებებებს და ვცდიდით სხვადასხვა გამწმენდ და გამამაგრებელ ნივთიერებს.

ო. ფირალიშვილი უმართებულად აუწყებს მკითხველს: „აქტით „მიღებული“ რესტავრაციის შემდეგ არაინ იცის თუ აღდგენილ ძეგლში დროთა განმავლობაში რა პროცესები წარმოიშობა“ (გვ. 10). ამას წერს ო. ფირალიშვილი, მაშინ, როცა ჩვენ სარესტავრაციო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ, ძეგლში, ჩვეულებრივ, გტოვებთ ხარაჩოების ნაწილს მაშინ, ფრესკების მდგომარეობის პერიოდულად შესამოწმებლად. დიდ ხნის წინ გამაგრებულ მხატვრობაზე დასაკვირვებლად კი ლითონის მსუბუქი ასაწყობი ხარაჩოებითა და კიბეებით ვსარგებლობთ (ასე შევამოწმეთ 1974-75 წლებში ხობის, გელათის, ნეკრესის, დერჩის და სხვა ფრესკები).

წერილის ავტორი გვიმტკიცებს იმ უდავო ტემპირიტებას, რომ ყოველად დაუშვებელია საიმედოდ გადაუხურავ ძეგლში საკონსერვაციო სამუშაოების წარმოება და ამ წესის დარღვევის ერთ-ერთ მაგალითად ყინწვისას ასახელებს: „აქ — წერს იგი — საზარავის სრული რემონტი მხოლოდ 1974 წლის ბოლოს დამთავრდა, მოხატულობის რესტავრაცია კი რამდენიმე წლის წინათ ჩატარეს. მრავალი წლის მანძილზე წყლის ყინვით ყინწვივანი ინტერიერი ისეა გაფენებული, რომ ნესტი ყოველგვარი ხელსაწყოს გამოუყენებლად შეიგრძნობა“.

სინამდვილეში ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია ჯერ კიდევ 1939 წელს გადაიხურა საიმედოდ კრამიტით ძველ ლითონების მიუხედავად. 1963-65 წლებში იქ წარმოება კვლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები, 1974 წლის ზაფხულში კი კრამიტი განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით თუნუქის სახურავით შეცვალეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში იქ წყლის გაყინვის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. კვლევას გასწვრივ მოწყობილია წყლის გადაწყვენი კივებები, ეკლესიის ახლოს მოჭრილია ხედიმეტი ხეები. მოწყობილებულია პაერის ვერტიკაცია, ინტერიერი გათმორბილია და იქ ნორმალური ბუნებრივი ტემპერატურულ-ტენიანობითი რეჟიმი.

საერთოდ, ძველთა დაცვის სამმართველო, სარესტავრაციო სახელმწიფო კვლევითი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ძეგლების, განსაკუთრებით კი მოხატული ეკლესიების სახურავების დროულად მოწესრიგებას. ხანდახან ეს მტად რთულ და საავარო პირობებში სრულდება. ასე მაგალითად, 1969 წელს ზათარაში სასწრაფოდ შეკვდა გრივალისაგან დაზიანებული ხობის, წალენჯიხის, მარტვილის და სხვა ეკლესიების სახურავები.



რაც შეეხება ზემო კრიხის მთავარანგელოზს, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, სადაც მართლაც გადასურებუ ძველი წარმოება ფრესკების კონსერვაცია 1949 წელს, როცა სარესტავრაციო სახელსონო ჯერ არ იყო შექმნილი. რესტავრატორმა აქ თაბაშირით გაამაგრა წვიმით გაქვინთილი კამარის მოხატულობა და გაასკივრა არაა, რომ ის მალე ჩამოცვივდა. ეს რესტავრატორი თვით თ. ფირალიშვილი გახლდათ. ესა და მის მიერ ორიოდე სხვა ამგვარივე „წარმატებით“ შესრულებული საკონსერვაციო სამუშაო ხელს არ უშლის მას განაცხადებს: „თვითონაც ვცავე რამდენიმე ძველის კონსერვაცია, რამაც მიმღებე კომისიის მოწონება დაიმსახურაო“ (გვ. 8). მაგრამ ობიექტურობა მიითხოვს აღვნიშნოთ, რომ აღიარებს: „გულსტაკავალით განვიციდი მაშინდელ თვითდაჯერებულებს... ფრესკაზე რესტავრაციის საქმე კუსტარულობას ვერ ითმენს“. გაუგებარი რჩება, რატომღა მოიწონა მიმღებმა კომისიამ მისი კონსერვაცია?

თ. ფირალიშვილი დიდად მოწოდებულ ლაპარაკობს ყინვისის ანგელოზის შესახებ. თავის სტატეას ის სწორედ იმის განცხადებით იწყებს, რომ თითქოს რესტავრატორებმა გააფუჭეს ეს გენიალური ნაწარმოები, „რომ ყინვისის ანგელოზი დაღეს ის აღარ არის, რაც რესტავრაციამდე იყო: ჭკუყისაგან გაშინდეს, დაზიანებული, ფერგადაცლილი ადგილები შეკვსეს, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ერთგვარად დაზარალდეს კიდევ“ (გვ. 8) და არც ახლა ამოიბის ვინ და როდის ჩაიდინა ეს.

სინამდვილეში კი 30-იან წლებში, როცა ჩვენთან ჯერ არ იყო შექმნილი სპეციალური სარესტავრაციო სახელსონო, ყინვისის ფრესკები ნაწილობრივ გაწმინდა შ. ამირანაშვილის მიერ მოწვეულმა რესტავრატორმა ე. დომბროვსკიამ. საკონსერვაციო სამუშაოები მან სწორედ ყინვისის ანგელოზის წმენდით დაიწყო. ეს სამუშაო მტკად რთული აღმოჩნდა, რადგან ფრესკა მილიანად დაფრული იყო ფრინველის სკორით და საუკუნოვანი ჭკუყით. ამავე დროს რესტავრატორს არ გააჩნდა სათანადო პირობები და საკონსერვაციო მასალები. ამიტომ ფრესკის ზედაპირზე დარჩა საფრინველი კირიდან ფენა, თუმცა თვით ფრესკა ოდნავადაც არ დაზიანებულა. იქვე მყოფი, მაშინ დამწყები რესტავრატორის შ. აბრამიშვილის მოთხოვნითა და პროფ. შ. ამირანაშვილის დასტურით ფრესკის წმენდა შეჩერებულ იქნა.

მხოლოდ 1963-65 წლებში, როცა დიდი ხნის წინ გადახურული ცვლების ინტერიერი უკვე საკმაოდ გამოძირილი იყო, ამ დროისათვის ცნობილი და სახელმწიფო რესტავრატორი შ. აბრამიშვილი იწყებს ფრესკების წმენდას და გასაფრებს (მასთან ერთად მუშაობს ახალგვრდა მხატვარი-რესტავრატორი ე. ბაკურაძე).

ის, რაც თავის დროზე ვერ შეძლო ე. დომბროვსკიამ, ბრწყინვალედ განახორციელა შ. აბრამიშვილმა. მან უდიდესი სიფრთხილითა და ოსტატობით მოაცილა ფრესკას ფრინველის კანსრეს ჩაკერული ფენა და ყინვისის ანგელოზს ფერთა პირ-პირდელი სიკაშკაშე დაუბრუნა რამაც ხელთაყვანებამიციდებოდა, ასლების გადმომღებთა და რესტავრატორთა საერთო აღტაცება გამოიწვია.

რაც შეეხება ფერგადაცლილი ფრესკების ტიპებით შესყებას, სრულ პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. საბედნიეროდ, ამის მოწმები არიან რესტავრატორები, მხატვრები, იმ სამუშაოს მიმღები კომისიის წევრები. ამის დამტკიცება თვით ადგილზეც დიდ სიძნელეს

არ წარმოადგენს. რად უნდა მოვცხოთ ჩირქი ქართული ფრესკების რესტავრაციის პატრიარქს, ხელოვნების დამსახურებულ მილავას განსვენებულ შ. აბრამიშვილს, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი იყო როგორც უაღრესად ფრთხილი და კეთილსინდისიერი ოსტაკი?

თ. ფირალიშვილი შედეგ წერს: „აქენის ფრესკებში ერთ-ერთ ანგელოზს რესტავრაციის შედეგად თავი აქვს მიხატულა“ (გვ. 12).

ფაქტიურად კი კედლის თაბაშირით შესყებულ ფრონზე აღდგენილი იყო ანგელოზის თმის მცირე ნაწილი საძველად, ფრესკაზე შეუხებლად. ხარაოს ხელმოკრულ აგვის დროს კი რესტავრატორებმა ეს ადგილი კედლისფერი ნეიტრალური ტონით ჩააქრეს და ფრესკას პირვანდელი სახე მისცეს.

აგტორი სტატეას ამთავრება ყინვისის მხატვრობის რენესანსული ტენდენციებისა და მისი ტექნოლოგიური თავისებურებების განხილვით, რაც, მისი აზრით, ვერც რესტავრატორებმა და ვერც მცნებურ-კონსულტანტებმა ვერ გაითვალისწინეს, რადგან, თურმე, „შუასაუკუნეების ქართული ხელოვნება რენესანსული მორაობის ასპექტში არასოდეს გააზრებულა“ (გვ. 11). თვითონ კი აი რას წერს:

„ყინვისის მხატვრობის შემქმნელი რენესანსული მსოფლ-შეგრძნვის ხელოვნება. იგი ადამიანური სილამაზის პრობლემას (კონტრაპოსტი) ისე წყვეტს, როგორც იტალიური აღორძინების კორიფეგებმა ორი-სამი საუკუნით გვიან განახორციელეს. ეს ფაქტი საკართველოში რენესანსული მსოფლ-შეგრძნვის ისეთი წინააღმართულებობაა, რასაც ჩვენი კულტურის ისტორიის მართებული გაშუქებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს“ (გვ. 12).

აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე!

ნუთუ თ. ფირალიშვილმა არ იცის, რომ ფიგურის ამგვარი რთული მიბრუნება (რომელსაც ის რატომღაც კონტრაპოსტს უწოდებს) სრულებითაც არაა ამ ეპოქის და, მით უმეტეს, ყინვისის მხატვრის კუთვნილება? ეს ტრადიციული იკონოგრაფიული პოზაა, რომელიც უცვლელად მეორდება IX-X საუკუნეებიდან მოყოლებული ბიზანტიურ, რუსულ, ქართულ ფრესკებსა, მოსაიკებსა და მინიატურებში. და რომ დღურმეს ტრადიციული პოზა სწორედ ბიზანტიური ხელოვნებიდან შეითვისა.

ყინვისის ფრესკების რენესანსულობა თურმე ტექნოლოგიამიც გამოიხატა:

„მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩრქეს, — ვგაფრთხილებ აგტორი, — რომ მხატვრობის ტექნიკა თანადროულ ესეთეგვრი იდენტა გამოთქმის საშუალებაა და რომ იგი დროთა განმავლობაში სასოფლოებრივი ელემენტების მიხედვით იცვლებოდა“ (გვ. 12).

ამ „თეორიის“ განსამტკიცებლად ის ახსადგება, რომ ყინვისისამდვილი მთელი ქართული კედლის მხატვრობა ე. წ. წმინდა ფრესკითაა შესრულებული. ხოლო ყინვისისა კი — შერეული ტექნიკით. რომ ფრესკით შესრულებული მხატვრობა საიმედოდ იყო დაკავშირებული ბაქაშთან და „ასეთი სიამე დაკავშირებული ქრისტიანული რელიგიის მარადილობის დეიტი იყო ნაკარანხევი“ (გვ. 11). (საინტერესოა, პომპეის ფრესკები რომელი რელიგიის დეიტი იყო ნაკარანხევი?)

აგტორი მიმდევნო გვერდზე ამტკიცებს, რომ, მისი, „დაკვირვებით“, ძველი მხატვრები ფერში კირს ურევდნენ, ყინვისის მხატვარი კი ამას უარყოფს და მკაცრადაც ისყება:

„მშრალ ზედაპირზე კირის შეურევლად დაღებულ ფერ-



ში მეტად ეფექტურია და ამასთანავე მარადისობის სქოლასტიკურ იდეას არ პასუხობს — კვლიდან ადვილად ცვივა“ (გვ. 12).

ამგვარად, გამოდის, რომ კარგად შემორჩენილი ფრესკები მარადისობის სქოლასტიკურ იდეას პასუხობენ და კვლიდან ადვილად ცვენილი კი რენესანსულია?!

სინამდვილეში სულ სხვანაირ გარემოებასთან გვაქვს საქმე. ფრესკის ტექნიკით წიგნის დროს ხმარობდნენ მხოლოდ წმინდა მინერალურ საღებავებს და ერთდროედენ ისეთთა ხმარებას, რომელთაც კიროთან ნათესაობა ჰქონდათ და ბათქაშითა შეერთებისას ახალ კიმიურ შენაერთებს, მაგ. ტყვიის თიორას წარმოქმნიდნენ. და თუ მაინც ხანდახან არღვევდნენ ამ წესს, არა იმიტომ, რომ „იმქვეყნიური ასოციაციები“ გამოეწვიათ, არამედ რათა ტონი გაელაგებინათ ამ ფერთა ფერვის უნარი გაუმარდათ.

ამასთანავე, ფერები „კვლიდან ადვილად ცვივა“ არა „მარადისობის სქოლასტიკურ იდეასთან“ შეთანხმებლობით, არამედ ბიგმენტთა შემავაჯირბეული ემულსიის გამოფიტვით. ყინწივის ფრესკები 1963-65 წლის კონსერვაციის შემდეგ შესანიშნავად გამაგრდა და უკვე აღარ ცვივა კვლიდან. მაშ, ისინი აღარ არის რენესანსული და ახლა უკვე „მარადისობის სქოლასტიკურ იდეას პასუხობენ“?

ყინწივის მხატვრობა, ისევე როგორც X-XIII სს. ყველა ქართული ძეგლი, მშრალი, ე. წ. სეკოს ტექნიკითა შესრულებული, მთ შორის ბეთანიაც, რომელსაც ავტორი, რატომღაც, წმინდა ფრესკას უწოდებს. ფრესკის ტექნიკა მთელი ინტერიერის „შავი პირის“, აროისი ერთი ამ ორი ფენით დაფარვას მოითხოვს. რაზეც შემდეგ ყოველდღე ნაწილ-ნაწილ ელესება ერთი თხელი ფენა და ოდნავ შემზობის შემდეგ მამინვე მეთორ, წმინდა პირი“ — ინტონაცია, რომელიც უნდა მონატროს მხატვარმა გამზობისას. ეს მონაკვეთები დახლოებით 3-4 გვ მია. ამ მონაკვეთების ნაწარგებს შორის გადანაღუსი წიბურები თიქქმის ყოველთვის ჩანს. აუცილებელია გრაფიები, ნაკაწრები, რაც კვლეულზე მიდებულ შეყავზე მასვილი იარაღის დაჭერით რჩებოდა ბათქაშზე და სხვ.

ყოველივე და მამასიათებელია შერეული ტექნიკისთვისაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ფრესკას ე. წ. სეკოს ტექნიკით ამთავრებდნენ. ასე ხატავდნენ იტალიური მძალურ რენესანსის ოსტატები. ისინი ფრესკით დაწვეულ მხატვრობას კვერცხის ტემპერით ასრულებდნენ.

ასეა მოხატული ალავერდის ტაძრის საკურთხელის კონქი-ოც.

ყინწივის მხატვრობა, ყველა სხვა ნიშნებთან ერთად, იმიტომაც არ შეიძლება იყოს შერეული ტექნიკით შესრულებული, რომ იქ ბათქაშის ერთადერთი ფენა და ნალესობის რიგთა მხოლოდ პორიზოტული ნაკერები, რომლებიც სვეთა რეგისტრებს სრულებით არ ემთხვევა. აქ მთელი ინტერიერი შეღესითა ერთიანად და მოხატვა ლესვის დამთავრებისა და ბათქაშის სრული გამზობის შემდეგა დაწვეული.

ფრესკული ტექნიკა კი საქართველოში მხოლოდ XIV საუკუნიდან გვხვდება (ლიხნე და სხვა). ამიტომ ის ვერ იქნება „ტრადიციული“ ყინწივის მხატვრობისთვის, რადგან მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ ხდება ცნობილი.

მით უმეტეს არ შეეძლო ყინწივის მხატვრობა ესაბა შერეული ტექნიკით, რადგან იგი კიდევ უფრო გვიანდელია.

ამ ტექნიკის ერთ-ერთი ადრეული და მავაივი ნიმუშია XV

საუკუნის მოხატულობა ალავერდის ტაძრის საკურთხელის კონქში.

ო. ფირალიშვილი კი აცხადებს: „მთ ერთობლივად (ყინწივის ჩვეულების მხატვრებს) ტრადიციული ფრესკული ტექნიკაც უარყოფით და პროგრესულ იდეათა ხორცშესხისათვის ფრესკისა და სეკოს შერეული ტექნიკისათვის მიუმართავთ“ (გვ. 12).

სამწუხაროა არა მარტო ის, რომ ტექნიკის ამ მცდარ გაგებაზე ის „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის რენესანსული ტენდენციების თეორიას აგებს, არამედ განსაკუთრებით ის, რომ კივ-ნაგს რუსტავატორებს, მათ „მოხატულების ტექნიკური შესრულების თავისებურება“ ვერ გაიგებს და განაგებოდ არ გაფრთხილდნენ (გვ. 11), მაშინ როცა, მხატვარი-რუსტავატორები სწორად ჩაწვდნენ მხატვრობის სპეციფიკას და სწორი მეთოდებიაც გაამაგრეს ის.

მსგავსი მავალითები კიდევ ბევრი შეიძლება მოვიყვინოთ ავტორის სტატიიდან:

„ბუნებრივი ცისფერისადმი ტრფალით, შერეული ტექნიკით და მრავალფენიანი ფერწერით ყინწივის ჩვეულების მხატვრებმა ამქვეყნიური მშენებრების იდეებს მიუხედავად, ხოლო უღალატეს დამკვიდრებულ ტრადიციას, რომელიც მხატვრობის გამძლეობასა და იმქვეყნიური ილუზიების შექმნას უპირველეს ამოცანად თვლიდა“ (! გვ. 12).

ან კიდევ, რომ კირმრეული ფრეზები მორწმუნეს „ასოციაციებით იმქვეყნიურ წარმოდგენებს უღვივებდა“, კირმრეული კი „იმქვეყნიურს“.

ვევობოთ, კომენტარები ზედმეტია!

საბოლოოდ კვლავ გვინდა აღვნიშნოთ, რომ სარესტავრაციო საქმეში ყველაფერი როდია მოგვარებული. მასაც გააჩნია ხარვეზები და ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობთ მათ გამოსწორებას, ყოველთვის ვიზიარებთ საკონსერვაციო საქმეში ჩახედული და ქართული კულტურის ძეგლების გულშემატკივარი ადამიანების რჩევა-დარიგებასა და შენობებს. ჩვენი წერილის მიზანია გაცანოს დანტრესებულ მეთხველთ ამ დროში არსებული რეალური ვითარება.

შენიშვნები

1 ამჟამად ჩვენ მხოლოდ ფრწერის კონსერვაციის საკითხებს შევხვებით.

2 ესა და ყველა სხვა ძეგლის ლიტერატურული და გრაფიკული მასალები ძველია და ცკვის სამპროექტოს არქივში ინახება.

3 Бакурадзе К. Н., Ченшиян Г. Д., Реставрация древнегрузинской монументальной живописи XII—XIII вв. в храме св. Николая в с. Тимотесубани Грузинской ССР. Реставрация и хранение музейных художественных ценностей 2(6) Москва, 1974.

4 Бакурадзе К. Н., Ченшиян Г. Д., Укрепление живописи XII в в аварийных церквях Салетини. Реставрация и хранение... 3(6) Москва, 1974.

5 კ. ბაკურაძე. მხატვარ-რესტავრატორის პრაქტიკიდან. ძეგლის მეგობარი, № 36.

К. N. Bakuradze and G. D. Cheishvili. Restoration of ancient monumental painting in cult buildings. ICOM Committee for Conservation 4 th Triennial Meeting, Venice 1975.



სოფელი გლოლა.

„გლოლისა მოიჭადა“

მხედრობის ისტორიიდან მთის რაიონი

სარტაკ რეხვიაშვილი

რაკველში უძველესი დროიდან ცნობილი იყვნენ, როგორც საუკეთესო მჭედლები. ამაზე მეტყველებს ისტორიული წყაროები, ხალხური თქმულება-გადმოცემანი და ლეგენდები. სოფელ ჭიორას სამხრეთით თავს დაკუთრებს მთა ლოდორა. ლეგენდის თანახმად, ამ მთის გამოქვაბულში ოდესღაც სამჭედლო ყოფილა გამართული, მოიხსენიება ვინმე მჭედელი ჯავარ ჯოდორიანი, რომლის ნაჭედი ოქროს ხატი ბოლო დრომდე ინახებოდა გამოქვაბულში წარწერით: -მე ვარ ხატი გაჭედილი ჯავარ ჯოდორიანისაო“. ამ ადგილებში ხშირად პოულობდნენ ჯაჭვის რგოლებს, ხატებს, რკინის და ბრინჯაოს სხვადასხვა საგნებს.

მჭედლობა მაღალ დონეზე მდგარა აგრეთვე შოდის მთაში. აქ განსაკუთრებით დაწინაურებული ყოფილა ოქრომჭედლობა, სალოცავებში ნახულობდნენ დიდი ოსტატობით ნაჭედ ხატებს. ამბობენ, ხატებს ბერები შოდაში ჭედდნენო. შემდგომში ამ ხატების დიდი ნაწილი ღებობას

და ჭიორის ველესიებში გადმოტანათ. საინტერესოა, რომ ხატების აშოების მჭედლობა და შემკულობა მათი გამჭედის ვინაობასა და გაჭედვის დროს გვამცნობს.

მიქელ მთავარანგელოზის ხატზე ეკითხულობთ:

„(ქ. წმინდაო მთავარანგელოზო მიქელ). მეოხ ექმენ წინაშე შენ ქრისტეს ნ (აზარეველისა?) გარაყანიძესა მიქელს და ფურთუხს და იოვანეს და ძეთა მათ დღესა მას განკითხვისას, რომელთა შეამკობინეს ხატი ესე)“

მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ხატის წარწერა ასე იკითხება (მ. ბროსეს მიხედვით): „წმინდაო მაცხოვარო მაცხოვრებლო, წმინდანო მთავარანგელოზნო... სოფელსაო მეოხ მექმენ... რვი და გაბრიელ გვედრები (კოდელი... ჯოდინას ძესა, დღესა მას განკითხვისას... სად სულისა ჩემისა, გვსმან... ვის ჩემსას ქრისტეს იმერით... დელთ...“

...მე არაგვეს რ... ჭედვა ჩემითა ოქროთა. არავის რ...“

გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი, ვერცხლისა, 32, 5x28 სმ., ტლანქი ხელობისა, გვაუწყებს: „წმინდაო გაბრიელ, შეიწყალე ოქროსმჭედელი.“

წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა 40, 5x28 სმ. წარწერით: „წმ. გიორგი შოდის“.

წმინდა გიორგის ხატი. ვერცხლისა, ოქროთი დაფარული. 42x29 სმ. არა უგვიანეს XIV საუკუნისა. აქვს წარწერა „წმ. გიორგი შოდისა“. მის ქვემოთ ეკითხულობთ: „წმიდაი გიორგი, შეიწყალე შოდელი კავა (?) ბერი წინაშე ქრისტესა“.

ვერცხლის ჯვარცმის ხატის 40x29 სმ. წარწერა ასე იკითხება: „მაცხოვარო გაუმარჯვე ღებისა ხევისა ამინ. უფალო ღმერთო და მაცხოვარო, გაუმარჯვე გიორგისა და დაცხობისა და შოაშისა ამინ, უფალო ღმერთო.“

ჯვარცმულის ზევით წერია: ქ. მიქელს: შოდის; კიდევ; გიურგისა; და ნიკოლი, სამუნის; ცხოზა; საქისა, დღგრძელობით ენებით-

თა: ამინ: უფალო: ზემოდ არშია-
ზედ ვითხულობთ: იქრისტე მოგი-
ჭედინებთა

ჩენს გიორგობიანსა და გრ (?)
ვიილსა ურევ
ელსა ქებინებას. (?)
თქმობეჭდობას მისდევდენ სო-
ფელ გლოლაში. აქაურ ნათლიმცემე-
ლის ეკლესიაში ნაპოვნი ვერცხლის
სახტის წარწერა ბრძნის ასე წაუკი-
თხავს:

„წო: გი: გლონისაო...
გლონისა: მოიჭედა...
შვილსა: გიგას: პტრო...“

ადგილობრივი რკინის მადნისა და
ხის ნახშირის სიუხვე დიდად უწყობ-
და ხელს მჭედელთა საქმიანობას.
წედისა და მისი მახლობელი თემები
„სარკინეთისა“ უწინ მხოლოდ რკი-
ნის დამამუშავებთ ცხოვრობდნენ.

წედის რკინის წარმოების შესა-
ხებ აქად გ. ჩიჭიაა წერს: „წედისის
რკინის მადნის ამოღების და დამუ-
შავების ტექნიკის შესწავლას უმაღ-
ლესი კულტურულ-ისტორიული მნი-
შნელობა აქვს. ამიტომ აუცილ-
ებულ საჭიროებას წარმოადგენს წე-
დისის მადანთან დაკავშირებულ,
ხალხში ადგილობრივ შემონახული:

განაწამების შეგროვება“. ლითონის
დამამუშავების კულტურას რომ
ქართული ხალხის ყოფაში დრმა
ტრადიციები ჰქონდა, ეს ფოლკლო-
რული მასალითაც დასტურდება. ერთ
რაჭულ სახეურ ლექსში წედისური
ქურა ასეა აღწერილი:

„დაუბერ დაუღუღუნე,
სამბრველო არცხვისაო,
ხელობრელო ცაცხვისაო,
ძროხეო ნალოპრისაო,
ნახშირო წვერთქვისაო,
ლითონო ქვეწოღლისაო,
მიწა იწყურისაო,
აჯალო ხანეთისაო,
დაუბერ დაუღუღუნე,
ჩაწურე სოპრლისაო.“

საინტერესოა, რომ ამ ლექსს მჭე-
დლები გრდემლის (რაჭ. დგემლის)
თავზე რკინის ქედისას და მთიბე-
ლი მამაკაცები თიბვის დრის ლესერ-
ში ამღვრებდნენ და ამით შრომას
იმსუბუქებდნენ. აქაურ მჭედლებს
ბუნება უხვად სთავაზობდა რკინის
მასალას. წედური რკინის მთაკარ
დამამუშავებელ „გლო“ ადგილებს
შორის პოფო. ნიკო რტყვიანული
ლებსაც ასახელებს. მდ. რიონის მხ-
რეცხენა სანაპიროს მთა „სარწუფე-
ძირის“ მდამთებში ყოფილა ნაშთე-

ბი მღარობისა, საიდანაც რკინის
მადნის იღებდნენ და იქვე ამუშა-
ვებდნენ. „სახეური გადმოცემა წერი-
ლობითი წყაროებითაც დასტურდე-
ბა. ნ. ტოლონოვისა და ა. ივლიევი
აღწერილობაში რაჭაზე ვითხუ-
ლობთ: „რკინის მთაში ბევრს ად-
ნობენ“, „სკილენძი ბევრია“, „გვარ-
ჯილა თვითნაბადია მთაში“.

რკინის მადნით და სამჭედლო
საქმიანობით განთქმული ყოფილა
კირტიშის მთის ძირა ჭანჭანისა და
გონის მდამთები. ღებინან ხუთიო-
დე კილომეტრის დაშორებით, მდინა-
რე ჩვეურისა და სანარცხულას შე-
სართავთან, მარცხენა ნაპირს ე. წ.
„ნახოსლზე“ მჭედლობის დაკავლენი
დღესაც შეიმჩნევა. რკინის დამუშა-
ვების ნაშთები მიკვლეულია აგრეთვე
ზუღის მთაში, სოფელ გლონის მხ-
ლობადა. მთის რაჭაში საბითუმადნო
წარმოების მაღალ დონეზე მიუთი-
თებს გ. პუფოვი, რაც დასტურდება აგ-
რეთის რკინის სათავებში მოპოვე-
რული არქეოლოგიური მასალებით,
რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის
დამდეგად და ახ. წ. III-IV საუკუ-
ნეებს განეკუთვნება.

რაჭველი ხელოსნები უძველესი
დროიდან ცნობილი ყოფილან, რო-
გორც ლითონის დამამუშავების შესანი-
შნავი ოსტატები. ამას ადასტურებს
მატერიალური ძეგლების სიუხვეც,
ხალხური გადმოცემებიც და მთის
„რაჭული ტომონიმიკური სახელებიც:
„მჭედლის ტყე“, „ხანთაკი“, „სარ-
კინეთი“, „სახუნდარა“, „ნახოსლი“,
„მადარობე“. მთის რაჭული საგვა-
რეულო კომლური სახელი „მჭედ-
ლიანთი“, თავის წარმოშობით, სამ-
ჭედლო საქმიანობას უკავშირდება.

— შორეული წინაპრის საპატრიცემ-
ლოდ დაურქმევიათ მჭედლიანთი. ეს
საგვარეულო მჭედლობის მამაპაპურ
ცოდან-გამოცდილებასა და სამჭედ-
ლო საქმიანობის საიდუმლოს სხვას
არ ანებობდა. მამა მხოლოდ შვილს
ასწავლიდა მჭედლობას, რკინის ჭე-
დვის საიდუმლოსაც მას გაანდობდა
და ეს საქმე ასე გადაეცემოდა თაო-
ბიდან თაობას. ამრიგად, საგვარეუ-
ლოში მჭედლობა დავიწყებას არ
ეძლეოდა. მთის რაჭის ყველა სოფელს
ჰქონდა სამჭედლო და ჰყავდა მჭედ-
ლები.

რკინის მოპოვებისა და დამუშა-
ვების ნაშთები მიკვლეულია აგრეთვე
ვეზუბის მთაში, სოფელ გლონის
მახლობლად. სოფელი ღები და
ზროლის მდამთები კი ძველთაგანვე
საკაბრეულოს მჭედლურების მნიშე-
ნელოვანი კერები ყოფილა. აქედან
ბლომად გაქონდათ ჩრდილო კავკა-
სიაში რკინა და რკინეულის ნაწარ-
მი, რომელსაც მეტი მოთხოვნილება
იყო. აქად გ. ჩიჭიაა წერს: „მთიუ-
ლარის მიერ დამზადებული სახენელი
იარაღი დიგორშიც მიპოვნდათ ად-
გილობრივ სახმარებლად“.

სამჭობა პერიოდშიც ყოფილა შე-
მოსხმული მთის რაჭაში მალყარელი
და დიგორელი კერძა. გადმოცე-
ლისა რკინეულის საყიდადა. „1936
წლის ზაფხულში სახენელი იარაღ-
ნი ჭოჩიბანი და ღებიდან ჩემს თვა-
ლწინ წაიღეს დიგორლებმა“. — წერს
პროფ. ნ. რტყვიანი.

ღებელი ლობჯანიძეების საგვა-
რეულობა მჭედლობის მიმდევარი
ყველაზე ტრადიციული ოჯახები ყო-
ფილან: მჭედლიანთი, ნანჭლიანთი,
ზვიადენთი, ჯოტენთი, სვანენთი.
ღებულს ცნობილია ამ ოჯახებიდან
გამოსული მრავალი ხელმარჯვე
მჭედლის სახელი, რომლებსაც მთას
იქითა აუღლებდნენ უმუშავით. მჭე-
დლიანთაგან: მჭედლეა, ბარისპი,
შიო, ივანე, ლექსო, ნესტორა, დიანო-
ხა, ილიკო; ნანჭლიანთაგან: მიხეა,
ისმილა, იასნა, ვასილა; ზვიად-
დენთაგან: თედორა, გნატო, მაქსო,
სეფე, ისმილა; ჯოტენთაგან: მახა-
რა; სვანენთაგან: პავლე; გობეზ-
შვილებისაგან: ივანე და პავლე; ბო-
ხაშვილებისაგან: მამუკო; გოგრიჭია-
ნებისაგან: ნესტორა, ივანე, მამუ-
კო.

ღებულ მჭედლებს თავისი საქმი-
ანობის ძირითად ადგილად ძველთა-
განვე აურჩევითა ყარაჩის აულები.
უქმელანი, ზურძეკი, კარჯურთი,
ზემო თებერდა; მალყარის აულები:
ზემო ჩეგემი, დიდი მალყარი ქუჩამ,
ბილემი, ბუხნივი, ხოლამი, ზემო
ბაქსანი. იქ ყველაზე სამჭედლოები
გაუმართაუო. ამრიგად, რაჭის ურ-
თიერთობა ჩრდილო კავკასიის ხა-
სებთან მხოლოდ რკინისა და რკინეუ-
ლი ნაწარმის გატანით კი არ განი-
სარწმუნებოდა, არამედ თვით მჭედ-
ლებიც გადიოდნენ რაჭიდან. გარდა
ზემით ნახსენები ადგილებისა, ისე-



რიტუალური საგნები ადამიანის გამოსახულებით.



რიტუალური რკინის ხელი.

რკინის რიტუალური საგნები ადამიანის გამოსახულებით.



ნი ხშირად იყენენ მოზღოვში, ყიზ-ლარსა და ალაგორში, ნალჩიკში, კის-ლოვოდსკში, სადაც ბევრი ცხოვრობდა კიდევ უკანასკნელ ხანამდე.

გაერთი მონათესავე მჭედლები შეადგენდნენ ამხანაგობას, რომელშიც 2-10 კაცი შედიოდა, აიყვანდნენ შვიტრს და სამუშაოდ მთას იქით გასწვდნენ. დებელი მჭედლი თედროა (ზეგადეგენით) ლობჯანიძე ჯერ კიდევ X VIII საუკუნის პირველ ნახევარში გაკვილია წინაპართა ნაკვალავს და აულ უჩქულანში მჭედლობა დაუწყია. შემდეგ იმავე აულში თედროს საქმე მახარა (ჯოტენით) ლობჯანიძის გაუგრძელებია. რაჭველი მჭედლები კავსიყელ მთიელებში ძირითადად ცხენისა და ხარის ნალ-ლურსმნისა და სამკაულის, აგრეთვე სამეურნეო იარაღების — ცეხის, სახნების პირებისა და ცუ-ლის ჭედვით ყოფილან განთქმული. შამილ ურუსოის (აული უჩქულანი) გადმოცემით, რაჭველი მჭედლების ნახელავი ყველაფერი მოსწონდა ყარაჩველ ხალხს, მაგრამ განსაკუთრებით მათი ნაჭედი ცული მოგეწონდა, რომელშიც თითო ბატკანს გაძლევდით.

ქართველი მჭედლები ჩრდილო კავკასიის აულეებში მიდიოდნენ, რადგან აქ მჭედლები ჭირდებოდათ. ისინი ყარაჩაის აულ უჩქულანში უკუმირდებოდნენ კოჩაროებისა და ქიფკეების მდიდარ მეჭოფე ოჯახებს, მათ სამოსახლოში ჰქონდათ სამჭედლოები გამართული და თან იქვე ცხოვრობდნენ წლობით. აულ ხურტუკში დღემდე მოქმედებს რაჭველების ძველი სამჭედლო. სამჭედლო მთავარსებელი იყო ხალხსათვის მოხერხებულ ადგილზე, მაშაყათის საკერებულის წინ ან გჯავარდინზე, რათა ყველა ადვილად მისულიყო სამჭედლოში.

მიხელა ლობჯანიძეს 1870 წელს აულ უჩქულანში შევირდად წაუყენია შვილი, ისამილა. მიხელას იქ მჭედლად ოცი წელი უმუშავია და 1390 წელს სამჭედლო შვილისთვის დაულოცნია, თვითონ, ღრმად მოხუცებული, მშობლიურ სოფელში დაბრუნებულა. უჩქულანში თანდათან გამრავლებულან ქართველი მჭედლები და მალე აულში ორი სამჭედლო გაუმართავთ, სადაც დებელი მჭედლების ორ ამხანაგობას დაუწყია მუ-

შაობა. პირველ ამხანაგობაში გაერაიანებულან: გნატო (თავაკი) მჭედლი: ნესტორა, ალექსი და დიანოზა (მჭედლიანთი) ლობჯანიძეები, მეორე ამხანაგობაში შესულან: იასონა (თავაკი), ვასილა (ნანუკიანთი) ლობჯანიძეები და ნესტორა (მამუჩიანთი) გოგრიჭიანი. ისამილა და მისი ამხანაგობა აულ უჩქულანში 40 წელი მჭედლობდა. ალექსე მჭედლეს ერთი ამხანაგობა უჩქულანიდან ზემო თებერდამი გადასულა. XIX საუკუნის 80-იანი წლების სამჭედლო ზემო თებერდამი ბაიჩოროების ბინის მოშორებით მდგარა. მჭედლები აქ დაკვეთით მუშაობდნენ მთელი წლის განმავლობაში, გაზაფხულზე, სენა-თესვის დაწყების წინა დღეებში, მათი სამუშაო საგრძნობლად მატულობდა, იმიტომ, რომ ახალ ხანისებს მთიელები იშვიათად იძენდნენ და ძველებს შეაკეთებდნენ ხოლმე.

ამრიგად, მაღყარისა და ყარაჩაის აულეებში XVIII-XIX საუკუნეებში და XX საუკუნის 30-იან წლებამდე ქართველი მჭედლები ჯარობდნენ ადგილობრივს, რაც, გარდა ლიტერატურული წყაროებისა, ხალხური გადმოცემებითაც დასტურდება. ჩემს სოფნაში აულ უჩქულანში ერთი ყარაჩველი მჭედლი მკავდათ, ჩვენი ნაჭედი რკინა უფრო მოსწონდა ხალხს, ამიტომ მეტი შემკვეთი გვეყავლა, — ამბობს ისამილ ლობჯანიძე. XIX საუკუნის 80-იანი წლების მოღვაწე, ი. ხურუმივი უჩქულანში, კარჯურთსა და ხურტუკში მომუშავე ექვსი მჭედლიდან სამ ქართველს ასახელებს. ყარაჩაის აულეებში, ტრადიციულად, ქართველი მჭედლების საქმიანობა არ წყდებოდა, უფროსებს უმცროსები ცვლიოდნენ და ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე. რაჭველ მჭედლეს ოჯახში როგორც კი ვაკი წამოეზრდებოდა, მთას იქით მიჰყავდა თავის საქმის განმგრძობად, ყმაწვილთა უმეტესობა „სხვისშვილად“ იყო გაზრდილი და ამზრდელებისაკენ მიიქნობდა, მათთან შრომა-გარჯა საზამყო საქმედ ითვლებოდა.

1913 წელს ისამილა და დიანოზა ლობჯანიძეებს, აულ ზემო თებერდამი მჭედლად მუშაობის დროს, უმცროსი ძმა, 12 წლის ვასილი აუყვანიათ შევირდად და მჭედლობაში გა-

უჭერნით. ამ პერიოდში, ვ. კისო-
ვის ცნობით, აულ უჩქელანში სამი
სამჭედლო ყოფილა, აქედან ორში
ქართველი მჭედლობდნენ, ერთი —
ადგილობრივი მთიელის კუთვნილებას
წარმოადგენდა.

იძენად დიდი მოწონებას ჰქონია
მეზობელი ხალებში ქართველი მჭე-
დლების ნახელაჲს, რომ ზოგჯერ მათ
აულში მჭედლად სახანგებოდ იწვევ-
დნენ. შიღ ლობჯანიძეს ასე უაღ
ქალაქში დაუწყია მჭედლობა. დგა-
დღეებში იმ დროს თოფ-იარაღით იწ-
ონებდნენ თავს მთიელები. შიღს
დაწების, ხანჯლების, ცულების, და-
მბანების, ქართული თოფების ჭედვა-
გამართვით გაუთქვამს სახელი. პავ-
ლე (ხანთი) ლობჯანიძეს, კისლო-
ვოდსკის მახლობლად, აულ სხავათ-
ში გაუმართავს სამჭედლო, ოქრისა
და ვერცხლის სამკაულებს ჭედვაში
დახელოვნებულა, მის ნაჭედ ცხენის
კაშმულობასა და ქალის სამკაულებს
განსაკუთრებული მოწონებას ჰქონია
მთიელებში. ამის შესახებ დღესაც
ჰყვებიან.

1920 წლის გაზაფხულზე ვასილ
ლობჯანიძე გამოყოფია ძმის —
ნიკიტის ამხანაგობას და ზემო თიბე-
რდში, იზრაგიმ ყარაქოთლარიანის
ბინაში სამჭედლო მოუწყვია, სადაც
ორი წელი უმუშავია მჭედლად. შემ-
დეგ ნესტორ (მამუჩიანთი) გოგრი-
ჭიანთან ერთად კისლოვოდსკეში და-
უწყვია მჭედლობა. გარდა ცხენის კა-
შმულობისა, აქ ფაიქონებისა და ურ-
ჭების რკინის ნაწილებსაც ჭედავდ-
ნენ. 1925 წლის შემოდგომიდან ვა-
სილა ნალჩიკის მეკიდრი გამხდარა
და იქვე სამჭედლოც გაუმართავს, ამ-
ხანაგად ილიკო (მჭედლიანთი) ლო-
ბჯანიძე მიუყვანია და მალე მათ ხე-
ლმარჯვე ისტატების სახელი მოუ-
ხვეჭიათ. გაბა თემუდარის ძე უ-
ლიევის (ზემო ბაქსანი) გადმოცე-
რით, ზემო ბაქსანში ორ ქართველ
მჭედელს უმუშავია. ისინი ბოტა
ხოვაყვის ბინაში ცხოვრობდნენ და
სამჭედლოც იქვე ჰქონიათ. ეს მჭე-
დლები ზემოთ მოხსენიებული ვასილ-
და ილიკო ლობჯანიძეები ყოფილან,
რომლებიც ნალჩიკიდან ზემო ბაქ-
სანში მიუწყვევიათ მჭედლად.

წარსულში, ჩრდილო კავკასიის
აულეებში მჭედლები ძირითადად რა-
ჭული „რკინა ჭედლით“ საქმიანო-
ბდნენ. როცა აქ რუსეთიდან რკინის

მემოტანა დაიწყო, რაჭიდან მთას
იქით რკინის გადატანა შეწყდარა.
ზოლო დროს რაჭველ მჭედლებს
რკინა სტანიცა ბატალბაშინცვიდან
(ასლა ჩერქესკა) შემოჰქონდათ, რაც
უფრო იაფი და ხელმისაწვდომი ყო-
ფილა მათთვის. მართალია, XIX
საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსე-
თიდან ბლომად შემოდიოდა რკინის
სამეურნეო იარაღები, მაგრამ გასრ-
დილ მოთხოვნილებას მაინც ვერ აკ-
მაყოფილებდა. გარდა ამისა ადგი-
ლობრივ პირობებში ძველი იყო გა-
დაუმუშავებლად მათი გამოყენება
ამიტომ მოსახლეობა პირველ ხანებ-
ში ადგილობრივი მჭედლების ნაკე-
ობას ამჯობინებდა. ამას ადასტუ-
რებს მარგრაფი, როცა წერს,
ჩრდილო კავკასიის რუსი მოსახლეო-
ბა სამეურნეო იარაღებს ძირითადად
დუქნებში ყიდულობდა და მხოლოდ
მის შეკეთებას ანდობდა ადგილობ-
რივ მჭედლებს. სახნისებს, შუებებს,
თიხებს, ცულებს, მოხველები შეკე-
თით აკეთებდნენ, რადგან რუსეთიდან
შემოტანილი ამგვარი იარაღი უზა-
რისხო და მტკად ძვირი იყო.

საქართველოში, ნატურალური მე-
ურნეობის დაცემისა და კაპიტალიზმ-
ის აღმავლობის პირობებში, მეფეა
რუსეთის ძლიერ ექსპანსიას მოჰყვა
შინამრეწველური ცალკეული დარ-
გების გაუქმება. ეს პროცესი განსა-


კურებით გაძლიერდა XIX საუ-
კუნის მეორე ნახევარში.

კავ. ბალოზმის განვითარებ. და
ფაბრიკული ნაწარმის მოძალბა თან-
დათანობით აფერხებდა ქართველი
მჭედლების საქმიანობას ჩრდილო
კავკასიის მაღალმთიან აულეებში,
რაც საბოლოოდ მათი დამლა-დაქ-
საცხის მთავარი მიზეზი გამხდარა.
მთას იქით ქართველი მჭედლები
საქმიანობა XX საუკუნის 30-იან
წლებში ძალზე შესუსტებულა. მალე
მალყარისა და ყარაჩაის აულეებში
სამჭედლოები დახურულა და მჭედ-
ლებს პირველ ხანებში ისეთისა და
ყაზარდოს ბარის აულეებსა და დაბე-
ში გადაუნაცვლებიათ. უმეტესობა
მშობლიურ სოფელს დაბრუნებია,
კლდეურწებობაში გაერთიანებულან
და აქტიური სამჭედლო საქმიანობა
გაუწყალენიათ.

შენიშვნები:

1. კერძი — რაჭველები ასე ეძახდ-
ნენ ჩრდილოკავკასიელ მეგობრებს. ეს
ტერმინი ღელმედ შემოიწინებია რა-
ჭულ, სვანურ და მეგრულ მეტყველე-
ბაში.
2. რაჭველები, უძველესი ჩვეულებით,
ჩველ ბავშვებს (ვიყებს) აღსაზრდელად
აძლევდნენ კერძებს, სადაც ყმაწვილე-
ბი 12-14 წლამდე რჩებოდნენ. ბავშვს,
რომელიც კერძებთან იზრდებოდა,
„სხვისშვილს“ ეძახდნენ, ამ ჩვეულებას
კ. სტეისვილილობას უწოდებდნენ.

ხარის ჭედვა.



პარისის ნანახები...
 1924



ფ. ბარის ნანახები. ულან ბუღალაძე.

ლ. ბუღალაძე. სკენა კაფეში. 1924.



რეთ, სასტუმროში გვიან დაჯერდები. დღითი კი ვნახე, როგორ ვიდაცას გაუქმდნენ... მთელი ჩემი ფული და ლეკსე... რვეული წაუღია. ძალიან შევეწუდი... გაუღია. ვიცი, შენ გემქნება... საკონსულტოში წავალ და იქნებ რაიმე მიმეფილოს... იქიდან ამერიკაში აპირებდა წასვლას.

პარიზში რამდენიმე დღე დაჰყო. შემდეგ მხატვარ აიხიკ ფედერის სახელოსნოში შეხვდით, სურათიც გადავიღეთ... ჩემს არქივში ახლაც ინახება ეს ფოტო. მე პატარა დაბალ მაგიდას ვუხივარ, ჩემ უკან ზის მაიაკოვსკი. ფუნჯით ხელში კი დღას ფრანგი კრიტიკოსი ვოლდემარ ჟორჟი. სხვების სახელები არ მახსენდება. სურათზე კარგად მოჩანს თარო, რომელზეც ზანგური ქანდაკების კოლექციის ერთი ნაწილია მოთავსებული. იმ პერიოდში ზანგური ქანდაკებით ბევრი იყო გატაცებული და აიხიკ ფედერიც მათ რიცხვს ეკუთვნოდა.

იმავე დღეებში ფრანგმა პოეტებმა მოისურვეს აღენიშნათ მაიაკოვსკის ჩამოსვლა პარიზში. შეხვედრა ჩატარდა კაფე „ოსტრევატურში“. მაიაკოვსკის მიესალმნენ იმ დროის გამორჩეული მწერლები და პოეტები. იგი კი მისთვის დამახასიათებელი განუყოფელი გზებით კითხულობდა თავის შესანიშნავ ლექსებს... ამ საღამოს ფოტოსურათიც შემომჩრა...
 აქვე შეხვედრავართ სერგეი ესენინსა და აისედორა დუნკანს. აისედორა დუნკანი იგონებდა „საოცარ საქართველოს“, სადაც იგი რამდენჯერმე იყო გასტროლებზე.

ერთ დღეს კი კაფე „როტონდაში“ სერგეი სუდეიკინი მივიდა... რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა... იგი პირდაპირ თბილისიდან მოდიოდა და მეგობრების წერილიც ჩამომიტანა, რატომღაც შუაზე გადახეული. იცინოდა, — რატომ არ შეკითხვები ამ წერილის ამბავს, თან დასძინა ეს რომ მოგეყვება. სამი დღე არ მეყოფათ. მაგრამ ისეთ განწყობაზე იყო, უთხოვნელადვე დაიწყო...

...ვიცხ მივიღე თუ არა, მამინვე ბათუმში ჩავედი. დამით, როგორც იქნა, გემი დაიძრა. ყველაფერი ჩაწყნარდა. მე ჩემს კაიუტაში შევედი. ის იყო, ჩავთვლიემ, რომ უცვარმა ალაქოთმა გამომავლიდა. მიგაყურადე... შუა ზღვაში ვართ (მერე განიორკვა, რომ თურმე ტრაპიზონის მახლობლად ვიყავით), უცნაური ხმაური და წვილი-კვილი კი თანდათან მატულობს... გემბანზე გამოვედი და რას ვხედავ! გემს თოთხმეტი ნაბდიანი ვაჭაკი დასხმია თავს და მგზავრებს მარცხავენ... მეც მომვარდნენ და დამიწვეს ჩხრეკა. ლამაზი ბიჭები იყვნენ. მთელი ეს პროცესი სიცილსა და ცეკვა-სიმღერაში მიმდინარეობდა. არავითარი ძალდატანება... გვეკითხებოდნენ, გვაქვს თუ არა ფული, შედიოდნენ კაიუტებში, ქალებს სუნამოსა და პუდრს თხოვდნენ, ისხამდნენ თავზე და ხარხარებდნენ. ეს წერილიც ამ აურსაურში გადახიეს... ბოლოს გვითხრეს, — სამი კაცი ნაპირამდე გამოგვეყვას, ვინც წაბოვა, ყველაფერს დაგვბრუნებთ და შეტსაც მივცემთ... ყველამ უარი თქვა. მე გავბედე და წავყვი. ნაპირს მივადექით... აქაც საოცრება... გადმოვიდნენ ნაპირზე... დამიბრუნეს მთელი ფული და მითხრეს, — პატრონებს დაუბრუნეთო. ისე, გავერთეთ, თორემ მართლა მძაცველები კი არა ვართო.

გავიდა დრო და ისინი მაინც შეიპყრეს. ვერ დასაჯეს. თურმე კანონი ყოფილა, — ვინაიდან დანაშაული ზღვაში მოხდა და არა თურქეთში, ხოლო გემი საფრანგეთისა იყო, დანაშაულები საფრანგეთს უნდა გაესამართლებინა... ასე და ამგვარად, ჩამოიყვანეს პარიზში. სასამართლო, თურმე, სულ ხარხარებდა. ბოლოს ყველანი გაუთავისუფლებიათ.

სურგეი სუდეიკინი ძალზე საინტერესო მხატვარი იყო. იგი საქართველოში ფრესკული ხელოვნების გასაცნობად ჩამოვიდა, მაგრამ ისე ღრმად ჩაერთო მაშინდელი თბილისის ლიტერატურული ცხოვრება ბოჰემაში, ისე შეეწყო მის ყოფას, რომ საკმაო ხანი დაჰყო აქ და მრავალი კეთილი საქმეც გააკეთა. შექმნა შესანიშნავი პეიზაჟები და პორტრეტები, რომელთა ერთი ნაწილი ახლაც ინახება მისი თბილისელი მეგობრების ოჯახებში... მანვე ქართველი მწერლების პორტრეტებითა და ძველი თბილისის სურათებით მოხატა კაფე „კომერიონის“ ჩასასვლელის მარცხენა მხარე.

თითქმის ყოველ დღე, ვიდრე სამშობლოში დავბრუნდებოდი, მას ვხვდებოდი „როტონდასა“ და სამხატვრო გალერეებში.

მაშინდელი ჩემი მეგობრებიდან არ შემოძლია განსაკუთრებით არ შოიხისენი ბელგიელი მხატვარი ფრანს მანფილი, მისი შესანიშნავი გრაფიკული ნამუშევრები. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით და ხშირად ვიყავით ერთად. ერთად ვფუნდით ხოლმე ნამუშევრებს. თბილისშიც ჩამოვიდა. საინტერესო იყო ჩვენი შეხვედრა... ერთ დღეს „ინტურისტის“ მხრიდან ძახილი მომესმა: ლადოო, ლადოო...

არც მიფიქრია, რომ მე შემახსენენ, ისე გადავიხედე ფანჯრიდან და რას ვხედავ... ვიღაცა იცინის და ხელს მიქნევს... ნამდვილად ფრანს მანფილია-მეთქი, კინაღამ გაკვივდი სიხარულით. ეს ოცი წლის წინანდელი ამბავი იქნება...

— საქართველოს გაცნობა და შენი ნახვა მომინდაო, მი-თხრა.

შეაედა კიდევ ერთი კეთილი მეგობარი — პიერ ვორმსი... გალერეის პატრონი იყო, შემდეგში წიგნების გამოცემა დაიწყო. შესანიშნავად ერკვეოდა ხელოვნებაში. უყვარდა მხატვრობა და მუდამ ჩვენთან ერთად ატარებდა დროს. პიერ ვორმსი ერთი იმთავთაგანი იყო, ვინც მე მინერავადა რწმუნას... მან არც მერე დაბრუნდა და მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში ჩემი დაბრუნების შემდეგ ერთ პერიოდში მაინც ჩვენ ერთმანეთისა თითქმის აღარაფერი ვიცოდით, 1935 წელს პარიზში ნაცნობ-მეგობართა შორის შეძლო რამდენიმე ჩემი ბოლო პერიოდის გრაფიკული ნამუშევრის შეგროვება და გამოფენის მოწყობა. შემდეგში გავიგე, რომ ამ გამოფენას დიდი ინტერესი გამოუწვევია მხატვრულ სამყაროში, განსაკუთრებით კი მათში, ვისაც თავის დროზე გარკვეული ყურადღება გამოუჩენია ჩემ მიმართ. პიერ ვორმსს გამოფენაზე სპეციალურად მოუწვევია მორის რენალი და ანდრე სალმონი. სხვათა შორის ანდრე სალმონმა, ამჟამად ხელოვნების ცნობილი კრიტიკოსმა, პარიზში ჩემი მეორე გამოფენის (ბილუის გალერეაში გაიმართა 1925 წელს) კატალოგისათვის დაწერა წერილი. ამ წერილში იგი უსაზღვროდ მაქებდა. ანდრე სალმონი ის კრიტიკოსი გახლდათ, რომელმაც სასოვადოებას ღირსეულად გადაცნო პიკასო, მატისი, უტრილო, ვლამენკი, მარი ლორანსენი და სხვები... ჩემისთანა ახალგაზრდა მხატვრისათვის მისი ასეთი ყურადღება, რა თქმა უნდა, დადი ბედნიერება იყო. პიერ ვორმსი შემდეგ პწერდა, — ამ გამოფენით ისინი ძალზე კმაყოფილები დარჩნენო. წერალები დაუწერილი კრიტიკოსებს — ეკადე ლაპარს, რაიმონ კონაოს და ასტეებს. „ხელოვნება“ და ხელმძღვანელ მოყვარულთა წიგნებში — წერს პიერ ვორმსი — ჩვენ ხშირად ვეკავებოდით ერთმანეთს, — რა დაეპართა ლადი ველამიშვილს, იმ მხატვარს, რომლისგანაც ჩვენ ამდენს მიველოდიო და რომელმაც დაგეტოვა, რათა სამშობლო კერას დაბრუნებოდა, და, აი, რამდენიმე წლის




ლ. გუელამვილი.

ოჯახი მონმარტიდან.

ლ. გუელამვილი.

ტერასაზე.



წინათ ვრთმა ჩვენმა მეგობარმა, რომელიც დიდხანს იყო საბჭოთა კავშირში, პირველად ჩამოგვითანა ლადოს ამბავი. ამ მეგობარს აზრად მისაღვია ეთხოვა ლადოსათვის რამდენიმე ნახატი და ჩამოიტანა ისინი პარიზში. ჩამოსვლისთანავე მეწყვია და გადმომცა სურათები. მე კი, როცა ისინი ვნახე, ვერ მოვითმინე, რომ არ მომეწყყო ლადო გუდიაშვილის ბოლო პერიოდის ნამუშევართა მესამე გამოფენა...

მოვიყვან კიდევ ერთ ამონაწერს მისი წერილიდან: „როგორ მიხდა, რომ ლადო გუდიაშვილის ბოლოდროინდელი ნამუშევრების გამოფენას პარიზში ასეთი დიდი წარმატება ხვდა? რად გათავა ასე მისმა მიღწევებმა მეგობრები და თავიანთსცემენი, რომელთა რიცხვშიც, ბედნიერება მაქვს, ვაფთვალო ჩემი თავი? რატომ აღმოუჩნდნენ ახალი მოტრფეალები ამ პატარა გამოფენას? იმიტომ, რომ ლადო გუდიაშვილი, რომელიც ერთ დროს პარიზის სკოლის ახალგაზრდა იმედი იყო, ამ ათი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც გარკვეული სახის დიდი ხელოვანი: ის დღეს გამოხატავს იმ გრძობებს, რომლებიც ასულდგმულენ არა მხოლოდ ეროვნულ სტიქიას, არამედ მთელ თანამედროვე თაობასაც...“

ტუილისში დაბრუნებამ და სამშობლო მიწასთან დაახლოებამ მისცა ლადოს ახალი ძალა, ისე, როგორც ანთოსის.


ლადო გუდიაშვილმა პარიზში შესძლო თავისი ბუნებრივი ნიჭის განვითარება, მისი ორგანიზაცია, მხატვრული ტექნიკის დაუფლება და პარიზის არტისტული ცხოვრების ალში მისი გასაბუთება. საქართველოში დაბრუნებისას კი მან უკეთ დააფასა ქართული ცხოვრების ლირიკული და ეპიკური მხარეები, რომლის სილამაზეს ის ასე თავისებურად უმღერის.

პირ ვორმში საქართველოშიც ჩამოვიდა, თან ჩამოიტანა აპ გამოფენის შესახებ სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებულ რეცენზიები. თვითონაც დაწერა ვრცელი წერილი, რომელშიც დააპარაკა საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებზე და იმაზე, თუ როგორი მხატვრული ცხოვრება განვლეს გუდიაშვილმა და კავკასიუმ პარიზის შემდგომ პერიოდში.

როგორც უკვე ვთქვი, იმ პერიოდში პარიზში თითქმის ყოველ კვირას იმართებოდა დისკუსიები და მსჯელობები ხელო-

ვნების სხვადასხვა საკითხებზე. ამ დისკუსიებზე ხშირად ვინიშნებოდა, რომ უცხოელი მხატვარი არ უნდა მოექცეს ფრანგული მხატვრობის გავლენის ქვეშ, არ უნდა დაკარგოს თავისი ეროვნული სახე. მაშინ ეს ძალზე მტკივნეულად იგრძნობოდა და ამიტომ გაუთავებლად მსჯელოდნენ ამაზე. იყო დისკუსიები ახალი მიმდინარეობების ირგვლივ, მათ მამამთავრებსა და იდეოლოგებზე. ვე სწორედ იმ დროს მომიწია იქ ყოფნა, როცა ფართოდ ვითარდებოდა კუბიზმი, ფუტურიზმი, კონსტრუქტივიზმი, სურერალიზმი, დადაიზმი... ამ სკოლებმა ეკავათ ხელოვნების ფრონტი. პარიზი ცხოვრობდა უადრესად დინამიური მოვლენებით. ყველას თავის პროგრამა ჰქონდა. ცხადია, მათშიც იყო როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშანები. საზოგადოებას უკვე აღარ აინტერესებდა ძველი, დრომოჭმული მიმდინარეობები და დიდის პათოსით ეწაფებოდა ახალს, ხელს უწყობდა მის გავრცელებას. ბევრი რამ, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო. მაგრამ ამ სკოლებმაც მოგვცეს საინტერესო მხატვრები... ბევრი მაშინ ჩაახალხი მიმდინარეობა დღესაც განაგრძობს არსებობას, ახლაც ჰყავს მიმდევრები, მოყვარულები, შემფასებლები... მარტო პარიზში კი არა, სხვა ქვეყნებშიც. მასსოვს, იმ პერიოდში რამდენიმე კვირით გერმანიაში მომიხდა წასვლა... მინდოდა იქაურ მხატვრობას გავცნობოდი. ჩემდა გასაოცრად, იქაც ის ვნახე, რაც პარიზში... როცა ვიკითხე, — ასეთი დიდი კულტურის ქვეყანა ასე ძალიან რატომ განიცდის ფრანგების გავლენას-მეტეი, მიპასუხეს: ეს არის მოდა, ბატონო, მოსაწონი, სრულყოფილი და ამიტომ მივედეთ... ჩვენს ტრადიციებს ეს არაფერს არ აწებესო... მართლაც ასე იყო. ეს მოდა, „მშვენიერი“ და „სრულყოფილი“, როგორც მაშინ უწოდებდნენ, მარტო გერმანიაში კი არა, თითქმის ყველა ქვეყანას მოედო, იქნებოდა ეს ინგლისი, ესპანეთი თუ იტალია.

ყველა, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ცდილობდა ფეხი აეწყო ახალი რიტმისთვის... ცხადია, ამ ორომტრიალში ბევრი სავსებით იკარგებოდა...



მ. აბლო პიკასო.



მ. პიკასო.

კორიდა.

რა თქმა უნდა, მეც მიანტერესებდა ყოველივე ეს, მაგრამ უკიდურესი გარდატეხა მაინც არ განმიცდია. მე ჩემი სტილი მქონდა, შევინარჩუნე და არ მიღალატია მისთვის.

ყოველი დიდი გამოფენის შემდეგ იმართებოდა დისკუტები, იყო მკაცრი კრიტიკა... წამოიჭრებოდა აქტუალური საკითხები ფერწერისა და ქანდაკების გარშემო...

მახსოვს, კუბიზშია და ფუტურშიზის შესახებ კამათი. რა სარგებლობა მოუტანა ამ ეტაპზე კუბიზმა ფრანგულ ეროვნულ მხატვრობას და რა ამოცანები დააყენა მან? ამ მხატვრულმა მიმდინარეობებმა საერთოდ დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდობაზე. იყო სრული თავისუფლება, ვისაც რა უნდოდა, იმას ჰყენდა. კრიტიკა კი ეტეებოდა იმ მხატვრებს, რომლებიც დაკვეთით მუშაობდნენ. დისკუსიაში ფრანგებთან ერთად უცხოელებიც ხშირად მონაწილეობდნენ. ეს იყო ძალზე მწვავე, საინტერესო და საქმიანი საუბრები... მე არასოდეს მიგრძენია შეურაცხყოფა იმის გამო, რომ მათ გვერდით ვიფიქრობდი. ამ გამოფენის დროს ჩემი სურათები ხშირად იყიდებოდა კიდევ... ეს იყო ჩემი ერთადერთი შემოსავალი. ფუტურებივით მოედგობდნენ ხოლმე კოლექციონერები სალონებსა და გალერეებში გამოფენილ სურათებს... უმთავრესად ფრანგები, ამერიკელები, ინგლისელები, ესპანელები და იტალიელები ყიდულობდნენ... ყველაზე მეტი მაინც ამერიკელი მეყენატები და გალერეის პატრონი ჩამოდიოდნენ. არჩევდნენ მათთვის საინტერესო მხატვრებს, იძენდნენ მათ ნამუშევრებსა და შემდეგ ჰყენდნენ. ერთ ასეთ გალერეაში ჩემი სურათიც მოხვდა... მისი პატრონი გახლდათ ჯემს როსენაზერგი, ამერიკელი კოლექციონერი, „ახალი გალერეის“ პატრონი. შემომრჩა ამ გამოფენის კატალოგიც. საერთოდ, ბევრ ქვეყანასა და ქალაქში გაფანტული ჩემი ამ პერიოდის სურათები... საკუთრივ კი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა მაქვს. სულ რამდენიმე ცალი.

იმ პერიოდის პარიზში გაგრძელებული და დაკანონებული იყო ერთი საბჭო — ხელშეკრულებით მუშაობა მოვაჭრესთან. მოვაჭრეს უფრო ხშირად სხვა ქვეყნიდან ჩამოსული მხატვრები მიმართავდნენ. უცხოელი რაც შეიძლება მალე უნდა გახდეს ცნობილი. ამიტომ იგი ყოველ დონეს ხმარობს, რომ ფართო ასპარეზზე გავიდეს. და, აი, დებს ხელშეკრულებას სურათებით მოვაჭრესთან. ხელშეკრულების თანახმად,



სერგეი ესენინი.

მხატვარი ვალდებულია მოუტანოს მას თვეში ერთი, ან ორი სურათი, რაშიც მოვალე წინასწარ უხდის გათვალისწინებულ თანხას. ეს სისტემა იმდენად პოპულარული იყო, რომ მას, თითქმის ყველა მხატვარი მიმართავდა, დიდად ცნობილი მხატვრებაც კი, მათ შორის პიკასო, დერნი, მატისი, ფუგიტა... გარკვეულ პერიოდში იგი ძალზე ხელსაყრელია მხატვრისათვის და, ცხადია, დოკატრისათვისაც... ამას ორი მხარე აქვს — კარგი და ცუდი. მასწავლებელს უაზრებელია მხატვარი, — მოვაჭრე მის ექსპლოატაციას უწევს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მხატვარი ვალდებულია მოვაჭრეს მოუტანოს თვეში რამდენიმე სურათი, ფულს კი იღებს ძალიან ცოტას, მაგრამ იმდენს, რომ არ სრუბობისათვის ჰყოფნის. მოვაჭრე მის სურათს ყიდის ძვირად, მაგრამ ეს უკვე მხატვარს აღარ ეხება. სამაგიეროდ, მხატვარი მალე ხდება ცნობილი. ასე იწყება კონსოლიტაცია... ბოლოს მხატვარი არღვევს ხელშეკრულებას. ამით იგი თავისუფლდება. უკვე სახელგანთქმულია და მატერიალურადაც მომაგრებული.

ჩემს დროს ასე გახდა ცნობილი იაპონელი მხატვარი ფუჟიტა. იგი, როგორც მახსოვს, 1922 წელს ჩამოვიდა პარიზში, სწრაფად გაითქვა სახელი. ხელშეკრულებაც მალე დაარღვია. საინტერესო მხატვარი იყო. არავითარი გავლენა არ განუცდია. თავისისმცემლებიც მალე გაიჩინა.

როგორც ყველა ცნობილი მხატვარი, ფუჟიტაც ხშირი სტუმარი იყო კაფე „როტონდისა“. ცოლიც შეირთო. ძალიან ლამაზი ქალი იყო, მხატვარი. მეც დამხატა. ეს ჩანახატი ახლაც მაქვს. მალე ტკოიდან ჩამოვიდა მისი ბიძაშვილი, ისიც მხატვარი — ესეუ კოინანკი. საინტერესო სახე ჰქონდა... მე მისი ჩანახატიც გავაკეთე... ძალზე ნიჭიერი იყო, ისიც ფუჟიტას გზით წვიანდა და სახელიც მოიხვეჭა, მაგრამ ფრანგული სკოლის გავლენის ქვეშ მოექცა და ბევრი ვეღარაფერი გააკეთა... შემდეგ თავის ბიძაშვილს ლამაზი ცოლიც წაართვა... მაგრამ ფუჟიტას ბედმა ისევ გაუღიძო — უფრო ლამაზი ცოლი იყო და უფრო მდიდარიც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ალბერ კამიუს პიესა „გაშვიტვება“

გიორგი ვეიხაშვილი

დრამატურგიული შემოქმედება ალბერ კამიუს ლიტერატურული მემკვიდრეობის ორგანული და განუყოფელი ნაწილია. თვით მწერალიც ხშირად შეახსენებდა ამ ქვეშარიტუებს მისი შემოქმედების მკვლევართ, რადგან მიიჩნდა, რომ ისინი მაინცდამაინც დიდად არ წყალობდნენ მის პიესებს. კამიუს ესესტის, კამიუს — რომანისტის გვერდით იგივეებდნენ კამიუს — დრამატურგს. „მე ვიცი, — წერდა კამიუს, — რომ ჩემს დრამატურგიას დიდ ყურადღებას არ აქცევენ. ისიც ვიცი, რომ ბევრი მას მარცხადაც მიიჩნევს. მე ამ აზრს ვერ გავიზიარებ, რადგან აქაც, ამ თეატრალურ პიესებშიც, ისევე გამოვხატავ საკუთარ თავს და ნააზრევს, როგორც სხვაგან“.

ჟან გრენიე, კამიუს მასწავლებელი და მეგობარი, თავის მოგონებათა წიგნში წერს:

„თეატრი ყველაზე უფრო მეტად იტაცებდა ალბერ კამიუსს, იგი წერდა თეატრისათვის, რომელიც მისთვის იყო ერთადერთი ადგილი ამ სამყაროში, სადაც ბედნიერად გრძობოდა თავს“.

კიდევ ერთი რამ ხიბლავდა კამიუსს თეატრში: ეს იყო ნეკრინება იმ ადამიანთა თანამონაწილეობისა, რომლებიც ერთ საქმეს ემსახურებიან, სწორედ ის გრძობა რომელიც ერთი აზრით, ერთი მიზნით შეაკავშირებულ ადამიანებს ეუფლებოდა. კამიუს თვით მონაწილეობდა დადგმებში. მან პირველმა ჩამოაყალიბა ალტიერში თეატრალური დასი და სამწერლო ასპარეზზე მისი გამოხსლავ ცნობილი პროზაული ნაწარმოებების თეატრალურ პიესად გადაკეთებას ემსახურებდა.

ერთ-ერთ გამოსვლაში, რომელიც ტრაგედიის მომავალს მიუძღვნა, კამიუს აცხადებს:

„ჩვენი ეპოქა ერთობ საინტერესოა, რადგან იგი ტრაგიკულია და თანხვდება ცივილიზაციის დრამას, რომელსაც და-

ლუძს ხელი შეუწყოს ტრაგედიის განვითარებას. ამ ეპიქის აყვავება კი მუდამ თანხვდება კაცობრიობის ისტორიის იმ პერიოდებს, როცა ადამიანები ზურგს შეუქცევენ ძველ ცივილიზაციას და ახლის ძიების გზას დაადგებიან“.

კამიუს მიზანი ანტიკური ტრაგედიის ტრადიციების აღორძინება იყო. ადამიანის ჭიდილი საკუთარ ბედთან, ურთიერთშეჯახება ორი ძალისა, რომელთაგან თითოეული ერთდროულად ორი ნიღბის ქვეშ წარმოჩნდება, — ხან კეთილის, ხან კი ბოროტისა, და ბოლოს, ანტიკური სიბრძნის ანუ ზომიერების ქადაგება, — აი რა ხიბლავდა კამიუსს ბერძნულ ტრაგედიაში. „ტრაგედია ორაზროვანია, — წერდა იგი, — აქ ყოველი ძალა, თავისთავად, კეთილიცა და ბოროტიც. მთავარი ნიშანი ანტიკური ტრაგედიისა სწორედ იმ ზღვარის წარმოსახვაა, რომელსაც ადამიანმა არ უნდა გადააბიჯოს“.

კამიუს — დრამატურგის პროგრამა ძველი საბერძნეთის ტრაგიკოსების გამოცდილებას და გაკვეთილებს ეყრდნობა. იგი ესწრაფოდა სწორედ ამ ტრადიციების გათვალისწინებით შექმენა თავისი დროის შესაფერისი ტრაგედია, რომელშიც მთლიანად გამოხატავდა „შემოთვებულ“ ფილოსოფიას და შესძლებდა მაყურებლისთვის წარმოედგინა ახალადამიანურ, ერთიანობას მოკვლევულ სამყაროში ადამიანის არსებობის მთელი ტრაგიაზმი.

კამიუს დრამატურგია ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს: პირველი აბსურდის პერიოდი, მეორე კი — ამბოხისა: „„აბსურდის ციკლის“ პიესები „სიზიფის მითის“ ფილოსოფიის ილუსტრაციასა. აქაც, ისევე როგორც ფილოსოფიურ ესეში, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთკავშირის თემაა წამყვანი და სწორედ იგი აყალიბებს ტრაგედიების ბირთვს, ტრაგიკულ კონფ-

ლიქტს. „კალიგულა“ და „გაუგებრობა“, პიესები, რომლებიც ამსურდის ბეჭედს ატარებს, ძირითადად ერთ ხაზს მიჰყვება. მათ გმირებსაც ის აახლოებს, რომ სამყაროს აბსურდულობის ხილვით კავანშიცულნი, ცდილობენ გაარღვიონ აბსურდის სასურველი, ადამიონ საკუთარი ზედი და ადამიანურ ბედ-ნიერებას უჩიარონ. დასახელები მიზნის მისაღწევად გზაც ამ პიესის გმირებს ერთი აურჩევიათ — პირადი თავისუფლება. ჯერ კიდევ „სიზიფუს მითში“, ფილოსოფიურ ესეში, სადც პირველად წარმოჩინდა კამიუს მსოფლალქმის უთავარესი ნაშნები, იგი ადამიანის თავისუფლების სამყაროს აბსურდულობის შეცნობას უკავშირებდა. ამით კამიუ თითქოსდა ეკასუება მისი საყვარელი მოაზროვნის მიშელ მონტენის კრიცნობილ დებულებას, „სიკვდილის გააზრება ნიშნავს თავისუფლების გააზრებას.“

მონტენთან საკუთარი არაკებობის სასრულიანობასთან შეგუება ადამიანს თავისუფლებს ყოველგვარი მორჩილებისა და იძულებისაგან. მსგავსად ამისა, კამიუსთანაც, საკუთარი თავის თავის ნებაზე გამოყენების „disponibilit e“ საშუალებას ადამიანი აბსურდის „დახმარებით“, მისი გავლით მიადევს. იმის გასარკვევად, თუ რა შინაარსს სძენს კამიუ აბსურდის ცნებას, ისევ და ისევ პირველწყაროს უნდა მივმართოთ. „სახიფეს მითის“ გამოცდილება გვასწავლის, რომ „აბსურდულობის გრძნობა (კამიუ გაუბრის სიტყვა „ფილოსოფიის“ ხმარებას და მას ამ შემთხვევაში „გრძნობის“ შეუწყველებს, ადამიანს მაშინ ეუფლება, როცა იგი ამ ქვეყნის და მისივე საკუთარი არსებობის პირველ სიხსნადს (აქც, „სიციხადე“ „ქუმბარტინის“ ნაცვლად) ჩასწვდება. რა არის ეს პირველი სიხსნადე? ეს არის ადამიანური გონებისა და სამყაროს ირაციონალისმის ვადაღურელი ოპოზიცია, ერთ მხარეს — მოთხოვნა სამყაროს საიდუმლოებათა წვდომისა, სამყაროს გამოფერისა, მეორე მხარეს კი — სამყაროს დუმბილი, მისი ჯიუტი წინააღმდეგობა გასცეს სარწმუნო პასუხი გონების კითხვებს. საბოლოო ჯამში ეს არის ადამიანური გონების სამყაროს იდუმალბუნაში შეუღწევადობის მტანჯველი შერძნება, რომელიც ამქვეყნიურ არსებობის ერთ მომენტში, ადამიანს „ცივრი განხილვის“ მსგავსად ყოველგვარი წინასწარი შეჩაღბების გარეშე წარმოუჩნდება. ეს არის თავი და თავი ადამიანური არსებობის ტრაგიზმისა. ამ სამყაროს ადამიანების სამყაროს არ გააჩნია აზრი, ან ადამიანი ამ აზრს ვერ წვდებდა — ასეთია კამიუს მტიციება. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი და იგივეა: ადამიანი თავისუფალია თავისი მოქმედებით შესძინოს აზრი სამყაროს, ეს სამოქმედო პროგრამა სარტრის ნააზრებს უახლოვდება: კონკრეტულ ისტორიულ-საზოგადობრივ სიტუაციაში მოქცეული ადამიანი თავისუფალია საკუთარი ნებით აირჩიოს თავისი თავი, რამეთუ ბოლოს და ბოლოს ადამიანი ის არის, რადაც თავის თავს შექმნის. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სარტრის თავისი ფილოსოფიური მოძღვრების ამისავალ წერტილად ადამიანის ტოტალური თავისუფლების პრინციპს მიიჩნევს. მისი ერთი პიესის, „ბუზინის“ გმირის, ორსტეტეს საიდუმლო იარაღი, რომ-

ლითაც იგი მიწიერი და ზეციური ტირანების უსამართლობას შეებრძოლება, სწორედ პიროვნების ზღვარდებულელი თავისუფლების შეცნობაა. გოც ფონ ბერლინისწინევი („ეჟიმაკი და მამაზეციერი“) თავისი ნებით ადგენს სიკეთისა და ბორტების საზღვრებს. მას შეუძლია იყოს კეთილი ან ბორტი, სურვილისადა მისხედით დადგეს ეშმაკის ან ღმერთის მხარეს. კამიუ უფრო ფრთხილად იქცევა, როცა პიროვნების თავისუფლების სამოქმედო არეს ადგენს. იგი იმ-თავითვე აფრთხილებს თავის გმირებს არ აყვინც ცდუნებას, არ მიენდონ „თავისუფლების დემონს“. ამ შემთხვევაში კამიუს თავისი დიდი მასწავლებლის დოსტოევსკის გმირები უდგას თვალწინ. შივაღვიც, რომელსაც დოსტოევსკის „ალქაჯების“ სხვა გმირების მსგავსად, კამიუ სცენურ სიციცხებს შესძენს რომანის საფუძველზე შექმნილ პიესაში, ამას ასცადებს: „ჩემი მოძღვრების საფუძვლად უსაზღვრო თავისუფლება ვიკუდელ და სინამდვილეში უსაზღვრო დესპოტიზმს მივადგე.“

„სასაზღვრო სიტუაციაში მოხვედრილი ადამიანი, რომელიც იძულებულია თქვას ჰი ან არა, აწინის ყველა „pro“ და „contra“, „გადაჭრას ალტერნატივა „გადაფერი“ ან „არაფერი“ ტანჯვითა და ტკივილით ეძიებს გამოსავალს. ასევე რთულია და სახიფათო პირადი ბედნიერებისკენ მიმავალი გზა. „ყველაფერი დაშვებულია“ ბოლშანარევი ხმით გაყვირის დოსტოევსკის გმირი, რომელმაც ღმერთი მოკლა და საკუთარი თავისუფლება იწაბა. ყველაფერი არ არის დაშვებული — ეპატიურება თავის მასწავლებელს კამიუ, იმითომ რომ აწირად საშუალება არ ამართლებს თვით მიზანსაც კი. წინასიტყვაობაში, რომელიც კამიუმ თავის პიესებს დაურთო, ეს აზრია ხაზგასმული „ილუზიებისა და გაუგებრობის ნაწილის დაძველა ათავსუფლებს ერთ მხარეს ინდივიდისა, ეს მისი საუკეთესო ნაწილია და იგი გულისხმობს აზმობს და თავისუფლებას. მაგრამ როგორ თავისუფლებას ეხება საქმე? არ შეიძლება იყო თავისუფალი სხვების ხარჯზე“. ეს სიტყვები 1944 წელს დაიწერა. მას შემდეგ, რაც კამიუმ თავის გმირებთან ერთად განვლო ნარკოლიანი გზა თავისუფლების და ბედნიერების ძიებისა. სწორედ ამ გზის ერთი მონაკვეთია მისი პიესის „გაგებრობის“ გმირთა მარტვილობაც. ეს პიესა კიდევ იმითომ მიგაჩინებს ან ყურადღების ღირსად, რომ იგი, ჩვენი აზრით, ნათლად წარმოაჩენს კამიუს შემოქმედების პირველი, ნებატურის პერიოდის ხასიათს.

„გაუგებრობა“ („Le Malentendu“) 1943 წელს დაიწერა. ეს იყო ის წელი, როცა კამიუს მიღავრად შემოიტყა ავადმყოფობამ, როცა კიდევ უფრო გამძაფრდა სიმარტვისა და სულიერი დეპრესიის შერძნება. ამასთან ერთად, ეს იყო საშინელი ტრავადების წელიც — ოკუპირებულ საფრანგეთის ღირსება მოსაღადის ჩქმებქმეუ ითიებოდა. ყველაფერი ეს გახდა სწორედ მიზეზი სამყაროს და ადამიანურ უფრთხირობათა ესოდენ პესიმისტური ხილვისა. ფრანგულმა კრიტიკამ „გაუგებრობა“ მწერლის ყველაზე უფრო უშიშოდ, ბნელ ნაწარმოებად აღიარა. თვით კამიუც კარგად ხედავდა ამას: „თქმ-

არ უნდა, „გაუგებრობა“ პირქუში პიესაა, იგი ოკუპირებულ და ყოველმხრივ შემოსასღრულ მხარეში იშვა, შორს ყოველივე იმისაგან, რაც მიყვარდა და ესოდენ მენატრებოდა... — წერდა კამიუ თავისი პიესის შესახებ, — მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ პიესას სრულებით არ არის უიმედობის ქადაგება. მისი მიზანია შთაგვაგონოს, რომ ყოველ ჩვენთაგანმა არის გარკვეული ნაწილი იდუბლებისა და გაუგებრობისა, რიჟველიც ბოლოს და ბოლოს უნდა დაკლებოთ“. სენტ-ტიენში, მშობლიურ ალჟირს დაშორებული მწერალი, საკუთარი აღიარებით, განიცდის „არსებობით გამოწვეულ გულისრევას“ მსგავს იმ გრძნობისა, რომელიც უფრო ადრე, ჩიხოს-სლოვაკიაში მოგზაურობისას შეიცნო პირველად. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ თავისი პიესის მოქმედება კამიუმ სწორედ ჩიხოსსლოვაკიაში გადაიტანა და თავისი გმირები მორავიაში დაასახლა. პიესის სათაურის ერთ-ერთი პირველი ვარიანტიც, „ბუდიოვიცე“, ამას მოწმობს.

მორავიის ერთ-ერთ განმარტებულ კუთხეში პატარა სასტუმროს მუკატონე ქალი და მისი ძალიანვე მართა კლავენ მათთან ჩამოსულ მარტოხელა მდიდარ სტუმრებს. მკვლელობა დიდი ხანია დედა-შვილისთვის გამდიდრების ერთადერთი საშუალებად იქცა. ფული კი ქალებს იმიტომ სჭირდებათ, რომ შორეულ, შიშანი ნაპირებისაკენ გაემგზავრონ, რომელიც ათქმული ქვეყნის მსგავსად, ბუნდოვნებას პირდებდა მათ. სწორედ იქ, მშობლიური და ესოდენ მტრული კუთხისაგან დაშორებულ, უნდა მოხდეს ცოცხლებისაგან განწყვენა და პატარების მოპოვება. და აი, ერთ დღეს სასტუმროს ახალი სტუმარი ეწყვევა. ჩანს, რომ იგი მდიდარია. ეს კაცი ქალებს ბოლო მსხვერპლი უნდა გახდეს. შემდეგ კი ბოროტმოქმედებებს რიგი გაწყდება და ქალებიც, ბოლოს და ბოლოს, სასურველი ნაპირებისაკენ გაემგზავებიან. ახალმოსულიც წინამორბედთა ბედს იზიარებს. მკვლელები ჩვეულ ხერხს იმართავენ, სტუმარს აძინებენ და მერე, ღამით, მდინარეში გადააგდებენ. მეორე დღით სასტუმროს მოსასახსურე მოხუცი კაცი მოკლულს პირადობის მოწმობას წარუდგენს თავის პატრონს. ირკვევა, რომ სტუმარი ოჯახიც გაეშვილა იყო, იანი, რომელმაც ოცი წლის წინ დატოვა მამისხელი სახლი. მას მამის გარდაცვალების ამბავი გაუგია და სამშობლოსკენ გაემოწყვიტა, რომ მხარში ამოუდგეს მარტო დარჩენილ დედას და დას. ეს აღმოჩენა ჰკლავს დედას—იგი მდინარეში ისრობს თავს, რომ სიკვდილში მაინც მიუერთდეს გაეშვილს. იმედგაცრუებული მართა შერისხავს სამყაროს წესს და თავს იკლავს. მართა, იანის ახალგაზრდა ცოლი, მარტო რჩება დაცარიელებულ სახლში. მშველელი არავინა — არც ადამიანი, არც ღმერთი. სამყაროს წესის განსწორებამდე აყვანილი გაუგებრობა გამარჯვებას ზეიმობს.

„უზაბანელი შვილის“ პრობლემა ახალი არ არის ლიტერატურისათვის. იგი კამიუსთვისაც მოსახერხებელი საშუალება გახდა იმისთვის, რომ მხატვრული საშუალებებით გადამოეცა ახალგაზრდა სამყაროს ფატალური გაუგებრობის თავიცი კონცეფცია. პირველ მინიშნებს პიესის თემაზე კამიუს რომანში „უცხო“ („L'Étranger“) ტყდებით. რომანის გმირი, მერსო, თავის საკანში იპოვის გაზეთის ნაგუჯს. სასამართ-

ლო ქრონიკა მსგავს ისტორიას ყვება. იქაც მოქმედების გმირები ერთი ოჯახის წევრები არიან. „ერთის მხრივ ეს ისტორია დაუჯერებელი შეიძლება მოჩვენებოდა კაცს, მეორეს მხრივ კი იგი ბუნებრივივ ჩანს“ — ასეთი დასავლელ გამაოქმად მერსოს ამ შეტად უსწარმო თავადადასვილიან. „უცხო“ გმირს ასეთი შეფასება ზედმიწევნით ესადაგება თვით პიესის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას. „გაუგებრობაშიც“ ხომ ის იდუმალი ძალა, რომელიც ადამიანურის საზღვრებს ცალდებულად მთელ ისტორიას საშინელ კომპარად აქცევს, ცდილობს ბუნებრივისა და ლოგიკურს ნიღბს წარმოიდგინოს მეტიველს. ამაში თვით ავტორსაც მიუძღვის „ბრალი“. „ტრაგიკულ ქმნილებებში ბედისწერა (destin) უფრო კარგად და ნათლად წარმოდგება წიგნისთვის თუ მას ლოგიკურის ნიღბის ქვეშ მოვაქცევო“, წერდა კამიუ, თავის ერთ წერილში, რომელიც ფრანც კაფკას შემოქმედებას მიუძღვნა. აქვე იგი უშეშდებ არს ავითარებს: „რადღაც უცნაური, მაგრამ თვალაჩინო პარადოქსის წყალობით, რაც უფრო არაჩვეულებრივია გმირებს თავადადასავალი, მით უფრო იჩენს თავს თვით ისტორიის ბუნებრიობა“.

კამიუს პირველი პიესის „ალიგულიასაგან“ (1938-1939) განსხვავებით „გაუგებრობაში“ ახალმა პრობლემამ იჩინა თავი. კამიუს ერთი რომ ვილაპარაკოთ, ეს არის ამქვეყნიური, მიწიერი გაბნობის და ხსნის პრობლემა, რომლის პარადოქსურადაც ვითარდება მწერლის მთელი შემოქმედებისათვის ესოდენ ნიშანდობლივი ბუნდოვნება — სამართლიანობის ურთიერთკამიონის თემა. მნიშვნელოვანი სახელეა ისიც, რომ ამ პიესაში პირველად გამოჩნდა კამიუს შემოქმედებისათვის აქამდე უცხო, ჰუმანური იდეალების მატარებელი გმირი, რომელიც ავტორის აზრით ადამიანთა სოლიდარობისთვის, მათი ბუნდოვნებისთვის მუდამოლი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავად ამ კეთილშობილი განზრახვისა, პიესის გმირად გაეყრებული მინც მართას სახავს. ტრაგიკული კონფლიქტის თავი მიხუტავს ისაა. მართას ცხოვრების წინა ამავეი მკითხველისთვის ადვილად გამოსაცნობი უნდა იყოს. ახალგაზრდა ქალი დაბადებულადვე სასტუმროს კედლებს შორისაა გამოქცეული იგი ტალახთან მიწაზე იზრდება, ბრუნდებიან, მოქუშული ცის ქვეშ. მართაც ამ ბუნების შვილია და მას ჰკავს, სადაც შორი კი, პორიზონტს იქით, არის შუა და ზღვა, ის მხარე, სადაც აღამანებთ ბუნდოვრად ცხოვრობენ და ამქვეყნიური სიამოვნებით ტკბებიან. მართას ერთი უღრუბლო დღეც არ ახსოვს და არც იმ სიამოვნებათა განცდა არ ღირსება. აღამანებთ კი ბუნდოვნებისათვის იზადებდა და ახალგაზრდა ქალის პირველი მოთხოვნებიდანაც ეს არის. მართას ზღვისა და მზის ნოსტალგია ტანჯავს. თუკი კალიგულა, ახალგაზრდა რომელიც იმპერატორი, აღამანების სიკეთის სახელით გადაეშვა ერთ მშვენიერ დღეს ბოროტების და მკვლელობის მორევში, მართას საკუთარი ბუნდოვნების, პირალი სიკეთის მოხვედრის სურვილი უნიჭებებს ხსნისიანი საქმეებისაკენ. მართა კალიგულა და მისი მიზნის არარაობა განამარტობებს იმას, რომ არავინ თანაუგრძნობს მას. კალიგულას დიდი ბეზარია მის მტრებშიც კი სიმპათიებს იწვევდა ხშირად (შერეა, სციპიონი). მართას გამარტობა კი, აღამანის მიერ ჩადენილი ყო-

ველი ბორტობის ცდა იქნება. მართამ მიხნა დღისხა რა-
დაც კი უნდა დაუდგეს მიაღწიოს აღთქმულ ქვეყანას, იმ ბე-
დნიერ ნაპირს. მალე საშუალებაც გამოჩნდა, მართა აიყო-
ლიტეს დედას, ცხოვრებით დადილო, სულიერად გატყეხილ
ქალა, რომელსაც ამქვეყნად არაფერი დარჩენია გარდა ინი-
სა, რომ სიმატროვეში და თუკი ამის შესაძლებლობას მისცემენ,
სიმშვიდესი დალოის სული და მასაც თავის ბორტობმოქმედე-
ბას მიუერთებს. მკვლელობა მკვლელობას მოსდევს. მალე ყო-
ველგვარი სინდისის ქენჯნაც გაქრა და პიესის გმირები პრო-
ფესიულ მეკვლეუბად იქცევიან. მეკვლეობა აქაც, ამ პიესა-
ში, ისევე როგორც „კალიგულაში“, პროტესტია, ამბოხი,
მიმართული სამყაროს წესის, მისი უსამართლობის წინააღ-
მდეგ. მართაც უსამართლობას უსამართლობითვე შეებრძოლა.
მისი ყოველი ნაბიჯი გაცნობიერებულია შეხედულებათა
გარეგეული სისტემის ნაყოფია. სამყარო მტრულად მოექცა
მას, არაფერი გაიმეტა მისთვის, მას არც მეგობარი ჰყავს, არც
სულიერი ნათესაობა აახლოებს ვინმესთან. კამიუზ იმთავით-
ვე უარყო ყველა ცდა, მისი გმირების ბორტობმოქმედება მათი
გრძნობა სინდისისათვის ან სულიერი დეგრადისისათვის დაბე-
რალებინა. მაგრამ, ცხადია ისიც, რომ მართას ბორტობმოქმე-
დება მისი ცხოვრების გამოძახილია და მისი „მოღვაწეობაც“
სწორედ ამ ტრაგიაში იღებს სათავეს. ყველა სტუმარი მისი
უსამართლობის მსხვერპლია, მაგრამ თვით მართაც თავის
მხრივ მსხვერპლთა რიცხვს ეკუთვნის. ამიტომ, სხვების ჯალა-
თი თვითონა მსწვერპლი „ცხოვრება ჩვენზე უფრო სასტიკია“
— ეუბნება იგი დედას, ეს მთავი ბორტობმოქმედების გამართ-
ლებაცაა. დედაც, თავის მხრივ, გამართლებას ჭოულობს. ის
ხომ აღარაფერს ითხოვს სიმშვიდისა და დღესვენებას გარდა. და
თუკი თვითონ ვერ პოულობს სასუკვარ გაზას, სხვებს მაინც ეხ-
მარება სასუკვარ განსაცხენელის მოპოვებაში. „ეს არც არის
ბორტობმოქმედება, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩარევია, ერთი
პატარა ბიჭი, რომელსაც უნებო ადამიანებს ვაძლევთ. ცხოვ-
რება უფრო სამინდელია და ამიტომაც მიჭირს თავი დამნაშა-
ვედ მივიჩნიო“ — ეპასუხება იგი მართას სიტყვებს. მას კი-
დეც შურს იმ ადამიანებისა, რომლებიც ასე ადვილად გადა-
დიან სიმშრების საწყაროდან არყოფნის საწყაროში. მართა უმ-
ტიკცებს დედას რომ ის მხარე, რომელიც მათ ელოდებოდა და
რომლის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ბორტობმოქმედებით
შეიძლება. ადამიანს ყველა ცოდვისაგან განწმენდს და განა-
წმენდს სულს დაუშვრდება. მზე და ზღვა მართათვის ბედნიე-
რების სიმბოლო იქცა, დედისთვის კი ორივე თავდავიწყებას-
თა, აფსოლო სიმშრებისთანა გაიგივებოლი. მართა საკუთა-
რი სინდისისგან განთავისუფლებას ელის, ცოდვების გამოსყი-
დავს ესწრაფვის. „დავიდლო ჩემი სულის ზიფით, მზე
კლავს ყველა კითხვას. იგი ნოქვას სულს და სრულიად ცვლის
სხეულს“ — უხსნის იგი დედას. თუკი ეს ასეა, დედასაც ადა-
რაფერი რჩება, იმის გარდა, რომ კიდევ ერთი სტუმარი გაატა-
ნოს მდინარის ტალღებს. ეს სტუმარი კი მისი ვაჟია, რომე-
ლიც ოცე წელია აღარ უნახავს. მოხუცი ქალის გულში დიდი
ხანია ჩავედა ყველა გრძნობა, იგი ავტოკრატს გახდა, რომელიც
ზორჩილად მიჰყავდა ქალიშვილის ნებას. ქალი იქცა ცოცხალ
გვამად, რომელმაც ადამიანური წუთით თუ გაიკლებს. „ეს

სისულელება, მაგრამ არის წუთები, როცა მორწმუნე ვხვდები“
— ეუბნება იგი მართას. სწორედ ეს ადამიანური გრძნობა ილ-
ვიძებს მაშინ, როცა იგი იანს ხვდება. უცნაური სტუმარი აფ-
რთხობს მას. დედა თვალებს ვერ უსწორებს იანს და არც მის
სიტყვებს უგვირდობა. სიტყვებმა დიდი ხანია ყოველგვარი
მინარისა და ძალა დაკარგა მისთვის. აქტოს წინაშე იგი უკან
არ იხევს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ შეუძლია. მოსახდენი
მაინც მოხდება. სტუმარი მოვიდა, სტუმარი უნდა მოკვდეს
სიტყვები აქ შედგებოდა. სწორისა მართა, როცა აცხადებს, რომ
ამ სახლში, სადაც ბორტობას დაუსადგურებია, გრძნობებსა
და განცდებს ადგილი აღარ დარჩა. „ამ ოთახში იმითმ მო-
და, რომ მიიძინოს და მოკვდენ“ — ამბობს მართა. უფრო
ადრე, როცა იანმა მართას გრძნობების ერთი დაუწყო საუბა-
რი, დამ უკმეხად გააწყვეტინა: „ოთახს კი გაძლევთ, მაგრამ
ჩვენს ინტიმურ სამყაროში ვერ შემოვიშვებ“. მართაც
გრძნობს საფრთხეს — სიტყვებმა შეიძლება შორს წაიყვანოს
იგი და დაანახოს, რომ ყველაფერის მის, რაც აქამდე წაშადა,
მხოლოდ ფუჭი ილუზიაა და რომ ბორტობა ბორტობად
რჩება, მზიანი ნაპირი კი—მარად მიუწვდომელ ოცნებად. დე-
დაც გრძნობს, რომ ეს ახალი სტუმარი არ ჰყავს სხვებს, რო-
მლებიც უბრალო კლიენტები იყვნენ და კლიენტების ჩვეულ
ენაზე ლაპარაკობდნენ. დედას არ ესმის იანისა. საკუთარი ბე-
დის სიმძიმით დადილო ქალს აღარაფერი შერჩა, გარდა თავის
ხელეწიასა, რომლებსაც ახლაც იმდენი ძალა მაინც შე-
იწვეთ, რომ ასწორს გაბრუნებული მსხვერპლის ფეხები და მდი-
ნარქიანა მიიტანონ იგი. მისი საქმისთვის და ცხოვრებისთვის
ახლა ენა მთავარი. თუკი მეკვლეობა ერთადერთი ხსნაა,
ერთადერთი საშუალება სიმშვიდის მოპოვებისა, მაშინ მეკვლე-
ლისთვის მეკვლეობის იარაღია ყველაზე მნიშვნელოვანი
გრძნობა და ენა უნდა დუმდნენ, ხელგება კი თავისი საქმე უნ-
და აკეთონ. „მუხედეთ ამ ხელგებს, მათ კიდევ შეჩინა ძალა და
შეუძლიათ ზიფით კაცის ფეხები“ — ეუბნება იგი იანს. ვა-
ტიშვილს კი ხელების ინარტეხის. აი ასე ნაწუხ-ნაბიჯ სულ
უფრო მეტად წარმოიწინა შეუძლებლობა „მართალი სიტყ-
ვის“ გამოჩნებისა. არც მართა, არც დედა, არც იანი არ ცდი-
ლობენ ერთმანეთის გაგებას. თითოეულს სურს საკუთარი ერთ-
ულაპარაკოს დარჩენილ და თავისი ენა გააყვინოს მათ. ტრა-
გედიის სამთა დანარჩენ და უბედურების თავი და თავიც საკუთ-
რი ენის გამოჩნების შეუძლებლობაა. საჭირო სიტყვების პოე-
ნიისა და კონტაქტების დამყარების ყოველგვარი ცდა იმთავით-
ვე განწმენდა, რადგან საწყაროს კანონი — გაუგებრობა —
ადამიანებს შორის უცხოობის გადალახავს ზღუდებს აგებს. და
იღწენად მეკრივად ნაგებია ეს კედელი, რომ დედა შვილს ვე-
ლარ ცნობს, ხილო დას კი მძისა და ესმის. სწორედ იგივე ძა-
ლა აქცევს უნაყოფო მცდელობად ამქვეყნად სიკეთის დამკვიდ-
რების ყოველგვარ სურვილს. იანი კი სწორედ სიკეთის რაინ-
დის მისითი მოვედინა თავისიანებს. იგი თავის ახალგაზრდა
ცოლთან ერთად დაბრუნდა აფრიკიდან, სწორედ იმ მზიანი
ნაპირებიდან, საითყვენაც ასე ისწრაფავს მისი და. მას სურს
უცნობ სტუმრად მოვიდნის თავისიანებს, დააკვირებაც მათ და
გაიგოს რით შეუძლია დასმარება. მაგრამ, ამავე დროს, იანი
პირობასაც უღებს დედას და დას. მათ ენად იყენონ ძალა. იანი

მაღაც ვინაობას და ეს ართულებს საქმეს. როდესაც იგი თავის გვერდს გაეცნობს ცოლს, ახალგაზრდა ქალი ურჩევს გაუშიშროს ვინაობა ქალს, არაფერი დამალოს და „გულის ენით“ ელაპარაკოს მათ. თვითონ მართა, იანის ცოლი, გვიძობის ადამიანია და ამიტომაც, რომ ასეთი უნდობლობით ეკიდება ქმრის გვერდს. იგი გრძნობს, რომ იანი საიდუმლოებით მოსას ეს, რაც თავისთავად ცხადია და ბუნებრივია. „როცა აღდამიანებს სურთ სხვებს ისეთი მოაჩვენონ თავი როგორც სინამდვილეში არ არიან, ამით ისინი ყველაფერს არეკადრევენ ხოლმე“ — აფრთხილებს იგი იანს. იგი თავის ბედნიერებასაც უფროთხილდება. მზიანი ქვეყნის შვილს ამინებს ქმრის სამშობლო, „სადაც ერთ გალიმებულ სახესაც“ ვერ შეხვდება კაცი. მისთვის მხოლოდ ბედნიერება და სიყვარულს აქვს ჭეშმარიტად ღირებულება. იანი კი რაღაც ვადუმულებებს ივინებს და ბედნიერების მოსაპოვებლად აღ უტყვ მხარეში ჩამოყავს იგი. „მამაკაცებმა არასოდეს იცოდნენ სიყვარულის ფასი, — ეუბნება იგი ქმარს — მათ ნხოლოდ ახალი ვალდებულებების მოგონება შეუძლიათ. როცა გვიყვანს არაფერზე ოცნებობ“, ხოლო როცა საქმე პასუხისმგებლობას და რაღაც მოვალეობებს ეხება, მართა გრძნობს, რომ ქმარი უცხო ხდება მისთვის. ასეთ წუთებში იანი მარტოობის ენით იწყებს ლაპარაკს. ახლაც, როცა საქმე ეხება დედასთან და დისთან სურათი ენის გამოხატვის, მართა ისევ და ისევ იმ უცხოების წყურბლს ეძლევა. იანიც გრძნობს, რომ მართა, შეიძლება, მართალიც იყოს. პირად ბედნიერების შენარჩუნებაზე ფიქრი, თუ სხვა მისათვის სიკეთის მოტივია! — აი, რა არჩევანი დგას მის წინაშე. მას ხომ შეუძლია უკან დაბრუნდეს და ძველებურად გააგრძელოს ცხოვრება. მაგრამ იანმა ერთი იყის — მას გარკვეული მოვალეობა აეცხირა და უნდა გაამართლოს კიდევ იგი. „ბედნიერება ყველაფერი არაა და ადამიანებს თავისი ვალდებულებები გააჩნიათ. ჩემი მოვალეობაა ხელმოწოდებ ვიპოვო დედა და სამშობლო... მე მინდა ბედნიერი გავხადო იანი, ვინც მიყვარს. — მეტს არაფერს ვესწრაფოვ“. — ასე უხსნის იანი ცოლს თავის გვერდს. ამას ისიც ემატება, რომ იანი დანაშაუვდ გრძნობს თავს. მან ხომ დაივიწყა თავისიანები. ახლა მათთან ჩამოვიდა, რომ ეს ცოცხა გამოისყიდოს. დედას და მართას, რომლებიც პატივების და განწესებით გუას ეძებენ, იანიც უერთდება. „არ შეიძლება მუდამ მარტო იყო — აცხადებს კამიუს გმირი — არ შეიძლება ბედნიერება მოიპოვო გადასახლებამში და სხვების დავიწყებით. ადამიანს არ ძალუძს მუდამ უცხო იყოს“. აქ არ შეიძლება არ გავისინთო კალაგულის მტკიცება: „ადამიანი სხვების ხარჯზე ბედნიერი“. იანი კალიგულას ანტიპოლია და ანდენად კამიუს აზრის ევოლუციამში ახალ მიმართულებას აძლევს საწყისს. ეს ის გზაა, რომელსაც მოვიანიენთ გაყვებიან კამიუს სხვა გმირები (როი, ტელუ). იანის სამოქმედო პროგრამის ძირითადი დებულება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ერთის ბედნიერება სხვების ბედნიერებასაც გულისხმობს. იანს სურს გავიდეს პირადულის საზღვრებიდან, სხვებსაც გაუწაწლოს სიკეთე და შიშობის-დაგვარად დაეხმაროს მათ. დედა აქ ისევ და ისევ მიზნისა და საშუალების შესუბამობის თემა ირჩებს თავს. იანი ცრუობს. იგი ეუბნება თავისიანებს, რომ პირველადაა მორავიამი და რომ

